საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№26 (450)
18 - 24 ივლისი, 2018

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

## ტერორი — ამერიკის პოლიტიკის ინსტრუმენტი
18

## ტრამპისა და პუტინის შეხვედრამ შეცვალა ამ ორი ქვეყნის ურთიერთობა, შეცვლის მსოფლიოსაც
6



ტრამპი:
«ჩვენი ურთიერთობები ასეთ დაბალ ნიშნულზე არასოდეს არ ყოფილა, მაგრამ ყველაფერი შეიცვალა ოთხი საათის წინ»

«რუსეთი მიიღებს საპასუხო ზომებს, თუ კი სხვა ქვეყნები, მათ შორის საქართველო, ნატოს წევრები გახდებიან. უნდა გვესმოდეს, რომ ნატოს გაფართოება ცალმხრივი პროცესი არ არის. როცა ხდება ცვლილებები ერთ მხარეს, მას აუცილებლად მოჰყვება შედეგები მეორე მხრიდან»

«საფრთხეების განეიტრალება, უწინარესად, შესაძლებელია იმ ქვეყნებთან დალაპარაკებით, რომლებთანაც კონფლიქტი და დაძაბული ურთიერთობა გვაქვს. ის, რომ ნატო გაუწყრება რუსეთს, დატუქსავს და მერე რუსეთი კარგად მოიქცევა, ზღაპარია. საქართველოს ერთ ჯარისკაცსაც არავინ არ გამოუგზავნის, ვინ აიტკივებს თავს სხვის დასაცავად?» 3

## ის, რაც ვერ გააკეთა შაჰ აბასმა...
11

## «დღეს არ არსებობს ძლიერი, ფართო მასშტაბის ქართული აზროვნება»
10

„ჩვენ არავის ვაიძულებთ, ჩვენს სამშობლოში ექიოს ბედნიერება, მაგრამ, რაკი უცხოელები თავისი სურვილით მოდიან და ჩვენს მიწა-წყალზე ესახლებიან, ჩვენ ზნეობრივი უფლება გვაქვს, ვურჩიოთ, რომ ჩვენი კულტურა შეითვისონ, ჩვენი ენა შეისწავლონ“

## «არ შეიძლება, ქვევით პროკურორის გეშინოდეს ან ევროკომისიის და მაღლა ღმერთის — არა...»

„არ შეიძლება, ბავშვს ნათლავდე, წირვებში მონაწილეობდე, ჯვარს იწერდე და ამ დროს, იმისთვის, რომ თბილი კაბინეტი არ დაკარგო, საქმით განეშორებოდე ეკლესიას“ 16




## ჩვენი «ჰაჰართველო» აქ არის, ანუ ხომ დავუჭყლიტეთ რუსეთს პომიდორები?!
9

## რატომ გგონიათ, რომ 91 პროცენტმა დასვენება არ იცის ან მათ შვილებს თქვენი შვილები სჯობია? რა, მათ ნაკლები მადა და გემოვნება აქვთ? რატომ გგონიათ, რომ ოჯახი თქვენზე ნაკლებად გვიყვარს? და თუ ასე არ გგონიათ, სად არის დაპირებული საწარმოები, სად არის მომატებული ხელფასები, სად არის საოცარი მეოთხე წელიწადი, სად?!
15




## მილიონი, მილიონი მადლობა

ბრწყინვალე მსოფლიო ჩემპიონატი 21

ქვირის ამბები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მსოფლიოში ჯერ-ჯერობით არ არსებობს ჰიბრიდული და ელექტროავტომობილების აკუმულატორების უტილიზაციის ტექნოლოგია და არც მისი შექმნის პერსპექტივა არ ჩანს. როცა ეს აკუმულატორი მწყობრიდან გამოვა (მისი „სიცოცხლის ხანგრძლივობა“ სამი-ოთხი წელია), ნაგავსაყრელზე უნდა გადააგდო. ეს გაფუჭებული აკუმულატორები კი ტოქსიკურად გარემოსთვის იმაზე მავნეა, ვიდრე ბენზინსა და დიზელზე მომუშავე ავტომობილების გამონაბოლქვი ერთად.**



## ეს გამოსავალია თუ შანტაჟი?

## «საქართველოს ინდუსტრიულმა ჯგუფმა» გამოთქვა მზადყოფნა, კომპანია «საქნახშირი» უსასყიდლოდ გადასცეს სახელმწიფოს

# ტრაგედია ტყიბულის მაღაროში

**ტყიბულში მორიგი ტრაგედია დატრიალდა. გავრცელებული ინფორმაციით, მინდელის მაღაროში უბედური შემთხვევა ამჯერადაც იმავე ადგილას მოხდა, სადაც მიმდინარე წლის 5 აპრილს ექვსი ადამიანი დაიღუპა, სამი კი დაშავდა. აპრილში მომხდარი ტრაგედიის ფაქტზე დაწყებული გამოძიება ჯერ არ დასრულებულა.**

ტყიბულის მაღაროებში კვლავ დაიღუპა ხალხი. 16 ივლისს, გამთენიისას, მინდელის სახელობის მაღაროში მორიგი ტრაგედია დატრიალდა — ერთ-ერთ გვირაბში, სავარაუდოდ, მეთანის აფეთქების შედეგად კედლების დეფორმაციას ჭერის ჩამოშლა მოჰყვა, დაიღუპა ოთხი მაღაროელი, დაშავდა ექვსი. შსს-მ გაავრცელა განცხადება, რომ „სხეულის მძიმე დაზიანებები მიიღეს მაღაროს მიწისქვეშა სამთო ოსტატებმა — 1961 წელს დაბადებულმა მ.ლ.-მ, 1963 წელს დაბადებულმა მ.გ.-მ, 1988 წელს დაბადებულმა ლ.ფ-მ და 1961 წელს დაბადებულმა ი.ქ.-მ, რომლებიც მიღებული დაზიანებების შედეგად ადგილზე გარდაიცვალნენ“.

მომხდარ ფაქტზე გამოძიება საქართველოს სსკ-ის 240-ე მუხლის მეორე ნაწილით დაიწყო, რაც სამთო, სამშენებლო ან სხვა სამუშაოების წარმოებისას უსაფრთხოების წესების დარღვევას გულისხმობს და ისჯება თავისუფლების აღკვეთით ორიდან ხუთ წლამდე ვადით.

გამოძიების დასრულებამდე ტყიბულში 25-ვე მაღარო დაიხურა. 16 ივლისი კი საქართველოში გლოვის დღედ გამოცხადდა.

„საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის“ ინფორმაციით, კომპანიამ 2006 წლიდან ათეულობით მილიონიანი ინვესტიცია განახორციელა „საქნახშირში“, აღდგა სრული საწარმოო პროცესი, სრულად შეიცვალა არსებული ინფრასტრუქტურა, დასაქმდა 1400 მეშახტე...

მაგრამ, როგორც ჩანს, **ტყიბულში არსებული მაღაროების სპეციფიკიდან გამომდინარე, ვერ მოიძებნა გადაწყვეტილება, რომელიც ნახშირის მოპოვებას მთლიანად უსაფრთხოს გახდიდა.** ამიტომ ახლახან „საქართველოს ინდუსტრიულმა ჯგუფმა“ გამოთქვა მზადყოფნა, კომპანია „საქნახშირი“ სახელმწიფოს გადასცეს.

„სამწუხაროდ, ტყიბულის შახტების სპეციფიკიდან გამომდინარე, კომპანია „საქნახშირში“ ვერ მოიძებნა ისეთი საინჟინრო გადაწყვეტა, რომელიც ნახშირის მოპოვებას სრულად უსაფრთხოს გახდიდა. აქედან გამომდინარე, „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი“ გამოთქვამს მზადყოფნას, უკანასკნელი 12 წლის განმავლობაში გაწეული მნიშვნელოვანი დანახარჯების მიუხედავად, კომპანია „საქნახშირი“ უსასყიდლოდ გადასცეს სახელმწიფოს“, — ნათქვამია განცხადებაში.

კახა კალაძე:

# ძველი ჰიბრიდული ავტომობილები გარემოსთვის უფრო სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს, ვიდრე დიზელსა და ბენზინზე მომუშავე მანქანები



**საქართველოში ელექტრომობილების შემოყვანაზე გარკვეული შეღავათებია დაწესებული. მაგრამ ნაკლებად ფიქრობს ვინმე, უქმნის თუ არა ელექტრო ავტომობილი ეკოლოგიურად სუფთა გარემოს პრობლემას. ახლახან დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ ამ თემაზე შემდეგი ბრძანა:**

„უნდა წავახალისოთ ახალი ავტომობილების შემოყვანა. იცით, რომ ელექტრომობილებზე საერთოდ მოხსნილია ყველანაირი შეზღუდვა იმისთვის, რომ რაც შეიძლება მეტი ელექტრომობილი შემოვიდეს. ასევე ჰიბრიდებზე არის გარკვეული შეღავათები, თუმცა ჯერჯერობით შემოდის ძველი ჰიბრიდული ავტომობილები, რომლებიც, მე მგონია, ასევე სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს გარემოსთვის იმიტომ, რომ ძირითადად ეს არის ავტომობილები, რომლის გაყიდვას ახდენენ ქვეყნები, არის მოძველებული და თვითონ ის ბატარეა, რაზეც მუშაობს ჰიბრიდული ავტომობილი, საქართველოში არ არის მისი უტილიზაცია — თვითონ აკუმულატორების უტილიზაცია თუ როგორ უნდა მოხდეს. ხშირია შემთხვევები, როდესაც ხდება მისი გადაყრა და ეს კიდევ ძალიან დიდ პრობლემას წარმოადგენს გარემოსთვის, ჯანმრთელობისთვის. შეიძლება ითქვას, რომ გაცილებით სერიოზული პრობლემა არის, ვიდრე დიზელსა და ბენზინზე მომუშავე ავტომობილები. შესაბამისად, ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ რაც შეიძლება მეტი ახალი ავტომობილი შემოვიდეს და მოხდეს პარკის განახლება ჩვენს ქვეყანაში“, — განაცხადა კახა კალაძემ *(„ინტერპრესნიუსი“).*

ბატონო კახა! როცა ელექტროავტომობილებს დაუწყებთ რეკლამირებას, არ დაგავიწყდეთ, რომ ელექტროავტომობილების ეკოლოგიურობაზე და მრავალწილად, ბენზინის გამონაბოლქვის ტოქსიკურობაზეც მსოფლიოში აგორებული პიარ-კამპანია ხელოვნურია და თაღლითობის ზღვარზე მოთამაშე ამერიკელი მილიარდერის ილონ მასკის შემოქმედებაა. მასკი ამერიკაში აშენებს რამდენიმე მილიარდად ღირებულ აკუმულატორების ქარხანას და პარალელურად ელექტრომანქანებსაც უშვებს. მისი გათვლა მარტივია: რადგან აკუმულატორებს მე ვაწარმოებ, ჩემი წარმოების ელექტრომანქანა უფრო იაფი იქნება და კონკურენტი არ მეყოლება. თავისი ელექტრომანქანები რომ უფრო მოთხოვნადი გახადოს, პარალელურად ეწევა ბენზინზე მომუშავე მანქანების ანტიპიარს. სწორედ მისი და მის უკან მდგომი ბანკირების მეცადინეობის შედეგია „დიზელგეიტად“ წოდებული სკანდალი და ბენზინისა და დიზელის მავნებლობაზე აგორებული კამპანია

მსოფლიოში ჯერ-ჯერობით არ არსებობს ჰიბრიდული და ელექტროავტომობილების აკუმულატორების უტილიზაციის ტექნოლოგია და არც მისი შექმნის პერსპექტივა არ ჩანს. როცა ეს აკუმულატორი მწყობრიდან გამოვა (მისი „სიცოცხლის ხანგრძლივობა“ სამი-ოთხი წელია), ნაგავსაყრელზე უნდა გადააგდო. ეს გაფუჭებული აკუმულატორები კი ტოქსიკურად გარემოსთვის იმაზე მავნეა, ვიდრე ბენზინსა და დიზელზე მომუშავე ავტომობილების გამონაბოლქვი ერთად. გარდა ამისა, ელექტრომობილს აქვს კიდევ ორი სერიოზული ნაკლი, რომლების გამოსწორებაც ჯერ-ჯერობით შეუძლებელია — დამუხტვას დიდი დრო — 7-8 საათი და გარბენის მცირე მანძილი, განსაკუთრებით ზამთარში. ამასთან, ის შიდაწვის ძრავიან მანქანასთან შედარებით ბევრად ძვირი ღირს. ავტორიტეტული გათვლებით, უახლოესი 30-40 წლის განმავლობაში შიდაწვის ძრავას ალტერნატივა არ ექნება.

და საერთოდაც: სანამ ბრმად და მორჩილად დაიწყებთ ევროკავშირის „სასიკეთო“ რეკომენდაციების (სინამდვილეში — კატეგორიული მოთხოვნების) შესრულებას, ჯერ დაფიქრდით, აწონ-დაწონეთ და შემდეგ გადაწყვიტეთ, რას მოიმოქმედებთ.

კიდევ იმას დავამეტებთ, ბატონმა კახამ რომ გამართული ქართულით ისაუბროს, უკეთესი იქნება. თბილისის მერს, წესით, კარგი ქართული მოეთხოვება.

# შინაგან საქმეთა სამინისტრომ ფონიჭალასა და ყარაჯალაში 7 ნარკორეალიზატორი დააკავა

**შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს უფროსის — მამუკა ჭელიძის განცხადებით, შინაგან საქმეთა სამინისტრო ნარკოდანაშაულის წინააღმდეგ შეურიგებელ ბრძოლას აგრძელებს.**




მიმდინარე წლის 13-16 ივლისს, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, თბილისში, ფონიჭალის დასახლებასა და გარდაბნის რაიონის სოფელ ყარაჯალაში ჩატარებული მასშტაბური ღონისძიებების შედეგად, ნარკოტიკული საშუალებების უკანონო შეძენის, შენახვისა და გასაღების ბრალდებით 7 პირი დააკავეს.

მათ მიერ ჩადენილი დანაშაული 8-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტში დაიწყო გამოძიება 1983 წელს დაბადებული გ.მ-ს, 1983 წელს დაბადებული კ.რ-ს, 1952 წელს დაბადებული გ.რ-ს, 1995 წელს დაბადებული თ.ნ-ს, 1983 წელს დაბადებული შ.ხ-ს, 1977 წელს დაბადებული რ.ი-ს და 1966 წელს დაბადებული თ.ა-ს მიერ ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის და გასაღების ფაქტებზე.

გამოძიების ფარგლებში, სამართალდამცველებმა აღნიშნული პირებისგან სხვადასხვა დროს გაცემული სასამართლო განჩინებების საფუძველზე, რამდენჯერმე განახორციელეს ნარკოტიკული საშუალების საკონტროლო შესყიდვა და აღნიშნული შესყიდვების ფარული ვიდეო-აუდიო ჩაწერა.

დაკავებულთა საცხოვრებელი ბინების ჩხრეკის შედეგად სამართალდამცველებმა 18 შეკვრა ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“, 2 პისტოლეტი, სანადირო თოფი, 2 ცალი ე.წ. ინსულინის შპრიცი ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინის“ შემცველი სითხით, მინის ფლაკონი ნარკოტიკული საშუალება “ჰეროინის” ნალექით, ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის“ შემცველი პრეპარატი „სუბოტექსი“, 10 010 ლარი, 26 200 აშშ დოლარი და 65.000 რუსული რუბლი ამოიღეს.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-4 ნაწილით, მე-5 ნაწილის „ბ“ და მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით.

# პროკურატურაში ქუმსიშვილი და ალავიძე საბიუჯეტო თანხების მითვისებისა და გაფლანგვის საქმეზე გამოკითხეს

**მთავარი პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში მიმდინარეობს გამოძიება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, ასევე რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ცალკეულ მოხელეთა მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისა და დიდი ოდენობით საბიუჯეტო თანხების მართლსაწინააღმდეგოდ მითვისება-გაფლანგვის ფაქტებზე.** „გიდასტურებთ, რომ ხსენებული სისხლის სამართლის საქმის გამოძიების ფარგლებში საქართველოს მთავარ პროკურატურაში გამოიკითხნენ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების ყოფილი მინისტრი **დიმიტრი ქუმსიშვილი** და რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის ყოფილი მინისტრი **ზურაბ ალავიძე**. საქმეზე გრძელდება გამოძიება და შედეგების შესახებ დამატებით ეცნობება საზოგადოებას“, — აცხადებენ საქართველოს მთავარ პროკურატურაში.



**„ნატო არის ბლოკი, რომელიც არავის არაფერს აძლევს, მაგრამ რატომღაც აქ დღეს ამის დაჯერება ბევრს არ უნდა. არაფერს ვამბობ მათზე, ვინც ყველაფერი ძალიან კარგად იცის და ხალხს თვალში ნაცარს აყრის“.**

თვალსაწიერი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**11 ივლისს ბრიუსელში დიდი პოლიტიკური ფუსფუსისა და კულუარული მითქმა-მოთქმის ფონზე დაწყებული ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ორდღიანი სამიტი სტანდარტულად დასრულდა. მოლოდინი, რომ სტოლტენბერგი ან რომელიმე სხვა მაღალჩინოსანი ორგანიზაციის გაფართოებაზე კონკრეტულ განცხადებას გააკეთებდა, არ გამართლდა. ფუჭი აღმოჩნდა ქართულ პოლიტიკურ სპექტრში და განსაკუთრებით პროდასავლურ პოლიტელიტაში არსებული ეიფორიაც, რომ ქვეყანა „მაპზე უკეთესის“ შემდეგ რაიმე მნიშვნელოვანს მიიღებდა. მეტიც, ჟურნალისტის შეკითხვას, რა პერსპექტივა აქვს ან შეიძლება ჰქონდეს საქართველოს ჩრდილო-ატლანტიკურ მისწრაფებებსო, ამერიკის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა მოკლედ უპასუხა: „საქართველოს მიმართ სიტუაცია რთულია, მაგრამ მათ დღეს დარბაზში დადებითი შთაბეჭდილება დატოვეს, რაც შეეხება ნატოს წევრობას, გარკვეულ დროს ექნებათ შანსი, მაგრამ ახლა არა“...**

# ნატოსკენ უსარგებლო სწრაფვა და წყალში გადაყრილი ასობით მილიონი

მიუხედავად ამისა, სამიტიდან დაბრუნებულმა ხელისუფლების წარმომადგენლებმა თბილისში მედიასთან იხტიბარი არ გაიტეხეს და განაცხადეს, რომ საქართველო ამ სამიტის შემდეგ ნატოს კიდევ ერთი ნაბიჯით მიუახლოვდა. განსაკუთრებული ოპტიმიზმით პრეზიდენტ მარგველაშვილის შეფასება გამოირჩეოდა. მისი თქმით, საქართველომ ფაქტობრივად გარანტია მიიღო, რომ ალიანსის სრულფასოვანი წევრი გახდება...

**რას ნიშნავდა ტრამპის განცხადება, რომ „საქართველოს მიმართ სიტუაცია რთულია“ და რა გზავნილები მიიღო თბილისმა რეალურად ალიანსის ბოლო სამიტიდან, „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება სამხედრო ექსპერტი გურამ ნიკოლაიშვილი.**

**— ბატონო გურამ, 12 ივლისს დონალდ ტრამპმა ბრიუსელში განაცხადა, რომ საქართველოს გარკვეულ დროს ექნება ალიანსში შესვლის შანსი, მაგრამ ახლა არაო. ერთი შეხედვით მკაფიო განცხადებაა, მაგრამ ქართულ პოლიტიკურ სპექტრში მას მაინც აზრთა სხვადასხვაობა მოჰყვა. თქვენ როგორ გაიგეთ ეს განცხადება: რა გვითხრა რეალურად თეთრი სახლის მესვეურმა?**

— საერთოდ ეს სამიტი ჩვენთვის არაფერს ნიშნავდა და, როგორც მოსალოდნელი იყო, დასრულდა უშედეგოდ. მეორეც: პრეზიდენტმა, რომელსაც, ფაქტობრივად, ამოწურული აქვს კონსტიტუციური ვადა, იქიდან რა ამბავი უნდა ჩამოიტანს და რა ნაბიჯები უნდა გადადგას მდგომარეობის გამოსასწორებლად, უბრალოდ, გაუგებარია. ხუთი წელი იყო უმაღლესი მთავარსარდალი და მისი გაკეთებული არავის არაფერი უნახავს, გარდა იმისა, რომ გააუქმეს ჯერ სამხედრო საზღვაო, მერე კი უკვე სამხედრო საჰაერო ძალები. არაფერს ვამბობ იმაზე, რომ შეამცირეს შეიარაღებული ძალებიც და 2500 კაცი, მათ შორის ოფიცრებიც შინ გაუშვეს. აი, ეს იყო მათი უსაფრთხოება და, შემდეგ ამას რაც მოჰყვა, ყველამ დავინახეთ. მაგალითად, **2017 წელს სამხედრო აკადემიას უნდა მიეღო 150 ახალგაზრდა, მაგრამ მსურველი მხოლოდ 58 იუნკერი აღმოჩნდა, ანუ, სამხედრო სამსახური პრესტიჟული აღარაა. ცალკე საკითხია რეფორმები, რომლებიც ყველა მინისტრმა ისე გაატარა, რა მიზანს ემსახურებოდა, ვერავინ გაიგო. მოვიდა ალასანია — გაუშვეს კადრების ოფიცერი, მერე მოვიდა ჟანელიძე — ისევ ვიღაც მოხსნეს... ამ იზორიამ კი რეკორდიც მოხსნა — 30 პოლკოვნიკი ერთდროულად გაუშვა ჯარიდან.** საერთოდ, მინისტრმა როგორ უნდა გაატაროს რეფორმა?! ეს ხომ ინსტიტუტისა და პარლამენტის საქმეა. მათ უნდა მიიღონ კონცეფცია, დოქტრინა და შემდეგ მიდის მშენებლობა ხუთი, ათი, ოცდაათი წლით. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებს ეს კონცეფცია გათვლილი აქვს 2075 წლამდე.

**რაც შეეხება საქართველოს მონაწილეობას საერთაშორისო მისიებში, დღეს ეს ოპერაციები შეიარაღებულ ძალებს თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტის 27 პროცენტი, ანუ 175 მილიონი ლარი უჯდება. არადა, რომ ამბობენ, საზღვაო და საჰაერო ძალებს ვერ შევინახავთ, ძვირია, ფლოტი წელიწადში 30 მილიონი ჯდება, ხოლო ავიაცია — 50 მილიონი ლარიო. აი, ეს ყველაფერი გააუქმეს იმიტომ, რომ იმ სამშვიდობო მისიებში მიეღოთ მონაწილეობა,** თუმცა ეს კიდევ არაფერი, ჯამში **ნატოსთან ურთიერთობა საქართველოს 220-დან 250 მილიონ ლარამდე უჯდება.** მათ შორის აქ იგულისხმება იმ კომიტეტებისა და სხვადასხვა სტრუქტურის დაფინანსება, რომლებიც ნატო-საქართველოს პარტნიორობის ფარგლებში შეიქმნა.

**— სახელმწიფო რომ ამ ხარჯების სანაცვლოდ არაფერს იღებს, ფაქტია, მაგრამ თქვენი აზრით, რას იღებს პოლიტიკური ელიტა? ვიღაცის ინტერესში ხომ უნდა იყოს ეს ხარჯები?**

— საერთოდ, **ნატო არის ბლოკი, რომელიც არავის არაფერს აძლევს, მაგრამ რატომღაც აქ დღეს ამის დაჯერება ბევრს არ უნდა. არაფერს ვამბობ მათზე, ვინც ყველაფერი ძალიან კარგად იცის და ხალხს თვალში ნაცარს აყრის.**

ახლა — კონკრეტულად ჩვენთვის რას წარმოადგენს ეს ორგანიზაცია: ცოტა შორიდან დავიწყებ. 1994 წელს, როცა ალიანსთან პარტნიორობის დოკუმენტი გაფორმდა, მე გახლდით გენერალური შტაბის უფროსი. ჩემთან ერთად ამ პროცესში მონაწილეობდა **ზურაბ აბაშიძე**, იმხანად ელჩი ბენილუქსის ქვეყნებში, და კიდევ სხვები. მახსოვს, ყველაფერი რომ გავამზადეთ და ბრიუსელში უნდა წავსულიყავით, მიგვიღო ედუარდ შევარდნაძემ. არის ეიფორია და ემოციები. შეხვედრაზე **ალექსანდრე ჩიკვაიძე**, მაშინდელი საგარეო საქმეთა მინისტრი, ეუბნება პრეზიდენტს: ბატონო ედუარდ, გვპირდებიან, რომ 1998-2000 წლებისთვის საქართველო იქნება ალიანსის წევრიო. ედუარდ შევარდნაძემ გაიღიმა, მარჯვენა ხელს, როგორც იცოდა, რბილად უტყამდა მაგიდაზე და უპასუხა: არაფერი გამოვა აქედან... სიმართლე გითხრათ, მაშინ ეს ძალიან გამიკვირდა, მაგრამ ფაქტია, საქართველოს ჩრდილოატლანტიკური პერსპექტივა ჯერ კიდევ მაშინ იყო განსაზღვრული. **ნატოში ჩვენ ვერ შევალთ ვერასდროს და, თუ შევალთ, მხოლოდ რუსეთის შემდეგ. რატომ? იმიტომ, რომ რუსეთის თავდაცვის გეგმა აგებულია ერთ რამეზე: ნებისმიერი უცხო ძალა, ამ შემთხვევაში ნატო, მის საზღვრებს არ უნდა მიუახლოვდეს იმ მანძილზე, რომ იქიდან რუსეთის მიმართულებით გაშვებულ რაკეტას თხუთმეტ წუთზე ნაკლები დასჭირდეს დანიშნულების ადგილამდე. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის გაანადგურებს სამიზნეს და ცხადია, რუსეთი, ისევ და ისევ მისი უსაფრთხოებიდან გამომდინარე, ამას არასოდეს დაუშვებს...** სხვათა შორის, ნატოს მიმართ ყველაზე ადეკვატურად შედარებით ტრამპი იქცევა. თუ გახსოვთ, მან ადრე ბალტიისპირეთის ქვეყნებზე თქვა, რომ მათი მიღება ალიანსში იყო ძალიან დიდი შეცდომა. რომ ჰკითხეს, რატომო, მარტივად და დიპლომატიური კეკლუცობის გარეშე უპასუხა: მათი სამხედრო პოტენციალი იმდენად უმნიშვნელოა და რისკი იმდენად მაღალი, რომ თუ ვინმე მათთან ომს დაიწყებს, ეს ტერიტორია ამ რისკად არ ღირსო. ბუნებრივია, ჩნდება შეკითხვა: საქართველოს ბალტიისპირეთზე მეტი სამხედრო პოტენციალი აქვს, ტერიტორიულადაა უფრო მნიშვნელოვანი თუ რისკი, რომ ვინმე ომს დაგვიწყებს, ნაკლებია?



გურამ ნიკოლაიშვილი

**«შეიარაღებული ძალების საერთაშორისო მისიებში მონაწილეობას თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტის 27 პროცენტი, ანუ 175 მილიონი ლარი ხმარდება. ჯამში ნატოსთან ურთიერთობა საქართველოს 220-დან 250 მილიონ ლარამდე უჯდება. მათ შორის აქ იგულისხმება იმ კომიტეტებისა და სხვადასხვა სტრუქტურის დაფინანსება, რომლებიც ნატო-საქართველოს პარტნიორობის ფარგლებში შეიქმნა»**

**— 16 ივლისს ჰელსინკში კრემლისა და „თეთრი სახლის“ მესვეურები პირისპირ შეხვდნენ ერთმანეთს. შეხვედრამდე ტრამპმა განაცხადა, რომ ზოგიერთი ამერიკელი პოლიტიკოსის სიბრიყვის გამო მის ქვეყანას რუსეთთან ასე დაძაბული ურთიერთობა არასოდეს ჰქონია. რას ნიშნავდა ეს განცხადება და რას უნდა ელოდოს საქართველო ამ მიდგომების ფონზე?**

— ცოტა სხვანაირად მივუდგეთ ამ ყველაფერს, თავის დროზე, როცა საბჭოთა კავშირი დაიშალა, დასავლეთმა ჩათვალა, რომ რუსეთი ფაქტობრივად აღარ არსებობს, ანუ მოიშალა ეკონომიკა, მრეწველობა, წარმოება და ეს მიიჩნიეს საკმარისად მის გასანეიტრალებლად. არადა, ამ ქვეყანას საკმაოდ დიდი სამხედრო პოტენციალი აქვს, ვინც ერკვევა და იცის ეს საკითხი, მისთვის გასაგებია, რაზეა საუბარი. ცხადია, ისევ არასერიოზულ მიდგომებზე მეტყველებდა ის ფაქტი, რომ ამხელა რესურსების მქონე სახელმწიფო პრაქტიკულად ჩამოწერეს.

რაც შეეხება ტრამპის განცხადებას, რა თქმა უნდა, **აშშ-ის პრეზიდენტი ძალიან კარგად ხვდება, რომ ეს უკვე აღარ არის ის რუსეთი, რომელთანაც დასავლეთს თავის დროზე უფრო მეტი სითამამის გამოჩენა შეეძლო** და ამიტომ გათვლა არ კეთდება კონფრონტაციაზე. ეს, შეიძლება ითქვას, არის პრაგმატული პოლიტიკა, თუმცა დასავლეთში და მათ შორის ამერიკაშიც დღეს არიან სუბიექტები, რომლებიც სწორედ უკომპრომისო პოლიტიკის მომხრეები არიან და ამ პოზიციიდან ტრამპს აქტიურად აკრიტიკებენ...

**— დასაწყისში თქვით, რომ ნატო ვერ იქნება ჩვენი უსაფრთხოების გარანტი. როგორ ფიქრობთ, გარდა ალიანსში შესვლისა, სხვა რა გზებითა და საშუალებებით შეიძლება იმ საფრთხეების განეიტრალება, რომელთა გამოც ნატოსკენ მივისწრაფვით?**

— საფრთხეების განეიტრალება, უწინარესად, შესაძლებელია იმ ქვეყნებთან დალაპარაკებით, რომლებთანაც კონფლიქტი და დაძაბული ურთიერთობა გვაქვს. მე კიდევ ვიმეორებ, ის, რომ ნატო გაუწყრება რუსეთს, დატუქსავს და მერე რუსეთი კარგად მოიქცევა, ზღაპარია. ახლა ზღაპარში თუ გვინდა ცხოვრება, არ ვიცი, მაგრამ **რეალობა ასეთია: მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოს, ამერიკის შეერთებული შტატების, პრეზიდენტი აცხადებს, რომ მოსკოვსა და ვაშინგტონს შორის ურთიერთობების დალაგება მსოფლიოს ინტერესშია. ჩვენ რა, ამ მსოფლიოს ნაწილი არ ვართ?! ღმერთმა ნუ ქნას, ცუდი რამ მოხდეს, თორემ საქართველოს ერთ ჯარისკაცსაც არავინ არ გამოუგზავნის, ვინ აიტკივებს თავს სხვისი უსაფრთხოების დაცვისთვის? აი, ამას გულისხმობს ტრამპიც, როცა ალიანსში შემავალი ზოგიერთი სახელმწიფოს რისკებზე საუბრობს. ცხადია, მას საქართველოს სახით ახალი თავისტკივილი არ სჭირდება და ეს, მისი უსაფრთხოების გარანტიებიდან გამომდინარე, სრულიად ლოგიკურია.**

**«ნატოში ჩვენ ვერ შევალთ ვერასდროს და, თუ შევალთ, მხოლოდ რუსეთის შემდეგ. რატომ? იმიტომ, რომ რუსეთის თავდაცვის გეგმა აგებულია ერთ რამეზე: ნებისმიერი უცხო ძალა, ამ შემთხვევაში ნატო, მის საზღვრებს არ უნდა მიუახლოვდეს იმ მანძილზე, რომ იქიდან რუსეთის მიმართულებით გაშვებულ რაკეტას თხუთმეტ წუთზე ნაკლები დასჭირდეს დანიშნულების ადგილამდე. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის გაანადგურებს სამიზნეს და ცხადია, რუსეთი, ისევ და ისევ მისი უსაფრთხოებიდან გამომდინარე, ამას არასოდეს დაუშვებს»**

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

ახალი მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დონალდ ტრამპი ახალი გაზსადენის, „ჩრდილოეთის ნაკადი 2“-ის, ტორპედირებას ცდილობს, რათა აიძულოს ევროპა, შეერთებულ შტატებში რაც შეიძლება მეტი თხევადი გაზი შეიძინოს. ის არ ერიდება სიტუაციის გამწვავებას და ევროპელი პარტნიორების აშკარა შეურაცხყოფასაც კი. 11 ივლისს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი სანქციებით დაემუქრა იმ ევროპულ კომპანიებს, რომლებიც ამ მილსადენის მშენებლობაში მონაწილეობას მიიღებენ. 12 ივლისს აშშ-ის ენერგეტიკის მინისტრმა რიკ პერიმ მოუწოდა ევროპულ ქვეყნებს, ამერიკული თხევადი გაზის იმპორტი გაზარდონ.**

# საქართველო მათ არ უხსენებიათ...

## ტრამპმა და პუტინმა ამით საქართველოს უთხრეს, რომ მისთვის არ სცალიათ

**16 ივლისს ფინეთის დედაქალაქში რუსეთისა და აშშ-ის პრეზიდენტების შეხვედრა გაიმართა. საუბარი ორ საათსა და ათ წუთს გაგრძელდა და მისი დასრულების შემდეგ დონალდ ტრამპმა თქვა: „ეს კარგი დასაწყისია. კარგი დასაწყისი ყველასთვის“. შემდეგ გაიმართა პრესკონფერენცია. ჟურნალისტები და ექსპერტები ცდილობდნენ, დაედგინათ, რა ქვეტექსტი იმალება საკმაოდ ზოგადი კომენტარების უკან და რაზე შეთანხმდნენ სინამდვილეში ტრამპი და პუტინი.**

რუსეთის პრეზიდენტის თქმით, დაძაბულ ატმოსფეროს რუსეთ-აშშ-ის ურთიერთობებში ობიექტური საფუძველი არ აქვს, ხოლო იდეოლოგიური დაპირისპირება, მათ შორის „ცივი ომის“ დასრულების შემდეგ, აღარ არსებობს. ის მიიჩნევს, რომ ორ ქვეყანას შეუძლია, სირიის ჰუმანიტარული კრიზისის დასრულება უზრუნველყოს. პუტინი შეეხო მდგომარეობას სირია-ისრაელის საზღვარზე და თქვა, რომ ტერორისტების დამარცხების შემდეგ სიტუაცია იქ 1974 წლის შეთანხმების შესაბამისად უნდა დარეგულირდეს (ეს გოლანის მაღლობებიდან ისრაელის ჯარების გაყვანას გულისხმობს). ექსპერტების უმრავლესობა თვლის, რომ ისრაელი ამაზე არ წავა, თუ სირიის სამხრეთ ნაწილს პროირანული ფორმირებები გააკონტროლებენ და უსაფრთხოების გარანტიების შექმნას ამ ზონაში აშშ-ის და რუსეთის შეთანხმებული მოქმედება დასჭირდება. რუსეთის პრეზიდენტმა აგრეთვე აღნიშნა, რომ დონალდ ტრამპი დადებით როლს ასრულებს კორეის პრობლემის დარეგულირებაში, თუმცა შეშფოთება გამოთქვა იმის გამო, რომ აშშ-მა უარი თქვა ირანთან დადებულ „ბირთვულ შეთანხმებაზე“.

დონალდ ტრამპმა თავის გამოსვლაში ორმხრივი დიალოგი დაახასიათა, როგორც „ღია და პროდუქტიული“ და თქვა, რომ პუტინთან აშშ-ის 2016 წლის არჩევნებში რუსეთის შესაძლო ჩარევის სკანდალური თემა განიხილა. საბოლოოდ, პრეზიდენტებმა იდენტური პოზიცია გამოხატეს, რომ მსგავსი რამ არ მომხდარა. ამის გამო აღშფოთდნენ ტრამპის კრიტიკოსები შტატებში. „სიგიჟეა, რომ აშშ-ის პრეზიდენტი თავს ესხმის ფედერალურ საგამოძიებო ბიუროს და ენდობა პუტინს და არა საკუთარ მზვერავებს“, — განაცხადა სენატორმა **კრის ვან ჰოლენმა.** ჯონ მაკეინმა კი ჰელსინკის სამიტს „ტრაგიკული შეცდომა“ უწოდა. მისი თქმით, „პრეზიდენტმა ტრამპმა აჩვენა, რომ მას არა მხოლოდ არ ძალუძს, არამედ არ სურს, პუტინს წინააღმდეგობა გაუწიოს. შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ ის და პუტინი ერთი სცენარით საუბრობდნენ“. მიუხედავად იმისა, რომ მრავალრიცხოვანი ოპონენტები აკრიტიკებდნენ, როგორც ტრამპის განცხადებებს, ისე ზოგადად სამიტის გამართვის იდეას, აშშ-ის პრეზიდენტი შეუვალი იყო: „მირჩევნია, წავიდე პოლიტიკურ რისკზე მშვიდობის გულისთვის, ვიდრე საფრთხეში ჩავაგდო მშვიდობა პოლიტიკის გამო“.

გასული კვირა დონალდ ტრამპისთვის საკმაოდ მძიმე გამოდგა. ჰელსინკის შეხვედრა ნატოს სამიტის შემდეგ შედგა, რომელმაც კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ ურთიერთობა ალიანსის წევრებს შორის საკმაოდ დაძაბულია. **აშშ-ის პრეზიდენტი ისევ მოითხოვდა, რომ ყველა წევრმა სახელმწიფომ თავდაცვითი ხარჯები მშპ-ს 2 პროცენტამდე გაზარდოს. მან განაცხადა, რომ აშშ ნატოს ხარჯების 90%-ს ფარავს, ხოლო თავდაცვაზე მშპ-ს 4 პროცენტს ხარჯავს, გერმანია კი — მხოლოდ 1%-ს, მაშინ, როდესაც ნატო ევროპას უფრო სჭირდება, ვიდრე აშშ-ს.** ზუსტი ციფრები ასეთია: აშშ ხარჯავს 3,5%-ს, ხოლო გერმანიის თავდაცვის ხარჯმა 2017 წელს მშპ-ს 1,24% (37 მილიარდი ევრო) შეადგინა. გერმანიის თავდაცვის მინისტრის — **ურსულა ფონ დერ ლაენის** თქმით, 2024 წლამდე ეს მაჩვენებელი 1,5%-მდე გაიზრდება, თუმცა, წლევანდელ და 2014 წლის სამიტებზე აღებული ვალდებულებებიდან გამომდინარე, ბერლინმა შეიძლება ეს ხარჯები 2 პროცენტამდეც გაზარდოს, მაგრამ, მინიმუმი, 5-7 წლის შემდეგ და არა დაუყონებლივ, როგორც ამას ტრამპი მოითხოვს. ბულგარეთის პრეზიდენტის **რუმენ რადევის** თქმით, ტრამპმა სხდომაზე მოუწოდა, მოკავშირეებს ხარჯები არათუ 2, არამედ 4 პროცენტამდე გაუზარდონ, თუმცა მან არ იცის, ჰქონდა თუ არა ამ წინადადებას ოფიციალური ხასიათი.

**ბრიუსელში აშშ-ის პრეზიდენტის მთავარი სამიზნე გერმანია გახდა. „რა სარგებელს იღებს ნატო იმით, რომ გერმანია რუსეთის გაზისა და ენერგიისთვის მილიარდობით დოლარს იხდის?“ — დაწერა ტრამპმა „ტვიტერში“ 11 ივლისს. სიტუაცია კიდევ უფრო გაამწვავა განცხადებებმა, რომლებიც აშშ-ის პრეზიდენტმა ნატოს გენერალურ მდივან იენს სტოლტენბერგთან შეხვედრაზე გააკეთა: „როგორ შეიძლება ერთად იყოთ, როდესაც ერთ-ერთი ქვეყანა იღებს ენერგიას ქვეყნიდან, რომლისგანაც თავდაცვას აპირეთ?! ისინი, უბრალოდ, ამდიდრებენ რუსეთს... გერმანია, რამდენადაც ვიცი, რუსეთის მძევალია, რადგან თავისი ენერგიის დიდ ნაწილს რუსეთისგან იღებს... ენერგიის 60-70%-ს იღებს ახალი მილსადენით. მითხარით, რამდენად მართებულია ეს, რადგან, ვფიქრობ, ეს ასე არ არის“, — განაცხადა აშშ-ის პრეზიდენტმა. ტრამპმა, ჩვეულებისამებრ, გაბერილი ციფრები გამოიყენა — გაზი გერმანიის ენერგობალანსში 24%-ს იკავებს, რუსულის ხვედრითი წილი კი მხოლოდ 37%-ია. 2025 წლამდე ის შეიძლება 50%-მდე გაიზარდოს. ამის მთავარი მიზეზი ნახშირზე მომუშავე თბოელექტროსადგურების დახურვაა.**




**საქართველო მათ არ უხსენებიათ, მაგრამ ჰელსინკის სამიტმა საქართველოს პროამერიკული საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი გააღიზიანა. ზოგს შეხვედრის ფაქტი ან ცალკეული რეპლიკები არ მოეწონა; ზოგი კი, სავარაუდოდ, ხვდებოდა, რომ ტრამპის საგარეო კურსმა შეიძლება შეცვალოს სიტუაცია პოსტსაბჭოთა სივრცეში, მათ შორის საქართველოში**

დონალდ ტრამპი ახალი გაზსადენის, „ჩრდილოეთის ნაკადი 2“-ის, ტორპედირებას ცდილობს, რათა აიძულოს ევროპა, შეერთებულ შტატებში რაც შეიძლება მეტი თხევადი გაზი შეიძინოს. ის არ ერიდება სიტუაციის გამწვავებას და ევროპელი პარტნიორების აშკარა შეურაცხყოფასაც კი. 11 ივლისს აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტი სანქციებით დაემუქრა იმ ევროპულ კომპანიებს, რომლებიც ამ მილსადენის მშენებლობაში მონაწილეობას მიიღებენ. 12 ივლისს აშშ-ის ენერგეტიკის მინისტრმა რიკ პერიმ მოუწოდა ევროპულ ქვეყნებს, ამერიკული თხევადი გაზის იმპორტი გაზარდონ.

ამ საკითხში ტრამპი კრემლის ინტერესების წინააღმდეგ მიდის და, შესაძლოა, ჰელსინკის შეხვედრის წინ ამიტომ ცდილობდა, ბალანსი დაეცვა და პუტინისთვის საინტერესო წინადადებებიც გაეკეთებინა. „დიდი შვიდეულის“ სამიტზე მან განაცხადა, რომ სასურველია, რუსეთი ამ ფორმატს დაუბრუნდეს და, შესაბამისად, „დიდი რვიანი აღდგეს. ეს განცხადება არა მხოლოდ, ევროპელი პარტნიორების „გულის გასახეთქად“, არამედ პუტინის გასაგონადაც გაკეთდა. შემდეგ ჟურნალისტის კითხვაზე — აპირებს თუ არა, აღიაროს ყირიმი რუსეთის ნაწილად? — ტრამპმა უპრეცედენტო პასუხი გასცა: „ვნახოთ“. საერთოდ, **ეს ტრამპის ჩვეული ტაქტიკაა — ის თითქმის ერთდროულად აკეთებს პარტნიორისთვის სასურველ და არასასურველ განცხადებებს; ცდილობს, მისი რეაქცია მოსინჯოს და წონასწორობა დააკარგვინოს.**

ვლადიმერ პუტინი ფინეთის დედაქალაქში მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატის წარმატებულად დასრულების შემდეგ ჩავიდა. ამ ღონისძიებამ რუსეთს დიდი საიმიჯო ბონუსები მოუტანა. მისი სტრატეგიის ქვაკუთხედს, სავარაუდოდ, წარმოადგენდა დასავლეთის ქვეყნებს შორის გაჩენილი წინააღმდეგობების გამოყენება. მას სურდა, დაეცვა რუსული ენერგეტიკული პროექტები, მაქსიმალური ზიანი მიეყენებინა სანქციების რეჟიმისთვის და რუსეთის იზოლაციის იდეისთვის, რომელიც დასავლეთში აქტუალური 2014 წლიდან, „ახალი ცივი ომის“ დაწყების შემდეგ, გახდა.

**ვაშინგტონი კვლავაც ეწინააღმდეგება ახალი რუსული მილსადენის გაყვანას, ხოლო უკრაინის პრობლემასთან დაკავშირებით მხარეებს დიამეტრალურად განსხვავებული პოზიცია აქვთ. ერთადერთი მიმართულება, რომლითაც დაახლოება შესაძლებელია, არის სირია. „თეთრ სახლს“ სურს, რომ კრემლი თეირანის წინსვლის შეჩერებაში დაეხმაროს. ირანიდან ლიბანამდე გაჭიმული „შიიტური დერეფანი“ ძალიან აშფოთებს, როგორც აშშ-ს, ისე ისრაელს. ცხადია, სირიაში თანამშრომლობის სანაცვლოდ ტრამპს პუტინისთვის რაღაც უნდა შეეთავაზებინა, მაგრამ ამაზე პრეზიდენტებს მინიშნებითაც კი არ უსაუბრიათ.**

საქართველო მათ არ უხსენებიათ, მაგრამ ჰელსინკის სამიტმა საქართველოს პროამერიკული საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი გააღიზიანა. ზოგს შეხვედრის ფაქტი ან ცალკეული რეპლიკები არ მოეწონა; ზოგი კი, სავარაუდოდ, ხვდებოდა, რომ ტრამპის საგარეო კურსმა შეიძლება შეცვალოს სიტუაცია პოსტსაბჭოთა სივრცეში, მათ შორის საქართველოში. დონალდ ტრამპი უარს ამბობს იმაზე, რომ აშშ-მა გლობალიზაციის ფლაგმანის როლი შეასრულოს და თითქოს კლასიკური იმპერიალიზმის, ეროვნული პრიორიტეტების ეპოქას უბრუნდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ვაშინგტონის ინტერესი არასტაბილური, „არამომგებიანი“ ზონებისა და პროექტების მიმართ შეიძლება მკვეთრად დაეცეს. ამასთანავე, სავაჭრო და პოლიტიკურმა ომმა ევროკავშირსა და აშშ-ს შორის შეიძლება წაართვას მათ შესაძლებლობა პოსტსაბჭოთა სივრცეში შეთანხმებული პოლიტიკა გაატარონ. ამ მხრივ ძალზე **სიმბოლური გამოდგა ინციდენტი, რომელიც ბრიუსელში 12 ივლისს, დილით მოხდა. სხდომაზე, რომელსაც საქართველოსა და უკრაინის პრეზიდენტები ესწრებოდნენ, ტრამპმა მოკავშირეებს პრეტენზიები კიდევ ერთხელ წაუყენა. ამის შემდეგ პოროშენკოსა და მარგველაშვილს შეხვედრა, ფაქტობრივად, დაატოვებინეს და ის დახურულ ფორმატში გაგრძელდა. ცხადია, ეს ეტიკეტის სრული დაცვით გაკეთდა და თავი შეურაცხყოფილად არავის უგრძვნია, მაგრამ მომხდარს მაინც მნიშვნელოვანი სიმბოლური დატვირთვა ჰქონდა. ერთმანეთთან დაპირისპირებულმა დასავლელმა პარტნიორებმა ამით უკრაინასა და საქართველოს თითქოს უთხრეს, რომ მათთვის არ სცალიათ და ეს, ალბათ, კარგი საბაბია იმისთვის, რომ ორივე ქვეყნის მმართველი ელიტა რეგიონში მოვლენათა შესაძლო განვითარებაზე დაფიქრდეს.**

ლუკა ნემსაძე

**დონალდ ტრამპი უარს ამბობს იმაზე, რომ აშშ-მა გლობალიზაციის ფლაგმანის როლი შეასრულოს და თითქოს კლასიკური იმპერიალიზმის, ეროვნული პრიორიტეტების ეპოქას უბრუნდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ვაშინგტონის ინტერესი არასტაბილური, «არამომგებიანი» ზონებისა და პროექტების მიმართ შეიძლება მკვეთრად დაეცეს**

**თუმცა როგორ არ არის სახსენებელი, მაგრამ არა აშშ-ევროპის მიერ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდამჭერ მორიგ რეზოლუციებში, რომლებსაც რუსეთისთვის იმ ფარატინა ფურცლების ფასიც კი არ აქვს, რომლებსაც წლიდან წლამდე უშურველად შტამპავენ ჩვენი დასავლელი „მეგობრები“. ეს რეზოლუციები რუსეთს მხოლოდ აღიზიანებს და, თუ რამე არ შეიცვალა, მცოცავი ოკუპაცია მხტუნავ ოკუპაციად იქცევა და საქართველოს სახელმწიფო საზღვრებს, უკეთეს შემთხვევაში, იქეთ ქუთაისთან და აქეთ მარნეულთან დაგვიდგენენ.**



ავი მესაიფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# მოსკოვი: საფრანგეთი-ხორვატია — 4:2
# ჰელსინკი: ტრამპი-პუტინი — ?

**ფიფას პრეზიდენტ ჯანი ინფანტინოს შეფასებით, მოსკოვის მუნდიალი აქამდე ჩატარებულ მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატთა შორის საუკეთესოდ აღიარეს ყველა პარამეტრის მიხედვით. იქნება ეს სპორტული ფორუმის ორგანიზება; მაყურებელთა სარეკორდო რაოდენობა; ღონისძიების მონაწილე გუნდებისა თუ მათი მილიონობით ქომაგის უსაფრთხოება; ქალაქიდან ქალაქებში ფეხბურთის ფანატთა კომფორტული გადაადგილება და სხვა მრავალი წვრილმან-მსხვილმანი, მაგრამ მთავარი მაინც ცნობილი რუსული სტუმართმოყვარეობა აღმოჩნდა, რომელმაც ერთხელ და სამუდამოდ დაანგრია დასავლეთის ლიბერასტული მედიაპროპაგანდის მიერ შექმნილი მითი, რომ რუსეთი ველური ქვეყანაა და „ცივილიზებული დასავლეთის“ მოსახლეობას რუსეთში ჩასვლას არ ურჩევდნენ.**



**ყირიმისგან განსხვავებით რუსეთს ჯერჯერობით ოფიციალურად არ განუცხადებია, რომ სოხუმ-ცხინვალის თემაც დახურულია, მაგრამ უნდა გვესმოდეს, რომ ეს «ჯერჯერობით» უსასრულოდ ვერ გაგრძელდება**

მიუხედავად ამისა, იმ ერთი თვის განმავლობაში, როდესაც მუნდიალი მიმდინარეობდა, არ მომხდარა არც ერთი კონფლიქტი, შეხლა-შემოხლა არც სტუმრებსა და მასპინძლებს და არც ფეხბურთის ფანებს შორის, რაც მართლაც უპრეცედენტოა მუნდიალების უახლეს ისტორიაში. პირიქით, რუსეთის სტუმრები გულწრფელად მადლიერნი ტოვებდნენ მასპინძელ ქვეყანას.

ახლა ვინმე შინაურმა ლიბერასტმა შეიძლება ნიშნის მოგებით დამამუნათოს: სტუმართა მადლიერების შემცველი ტელესიუჟეტები რუსული სახელმწიფო მედიის დადგმული სპექტაკლი იყოო, მაგრამ მაშინ რა ვუყოთ ფიფას პრეზიდენტისა თუ სხვა ქვეყნების პირველ პირთა აღფრთოვანებულ შეფასებებს?!

ეს ერთი.

და მეორე, და უმთავრესი: მაგალითად დასავლური „თავისუფალი“ მედიის ერთ-ერთმა ფლაგმანმა — „ევრონიუსმაც“ კი სანთლითაც ვერ იპოვა რუსეთის მიმართ უარყოფითად განწყობილი გულშემატკივარი და იძულებული შეიქნა, რუსეთის მიმართ მადლიერება-აღფრთოვანების შემცველი ტელესიუჟეტები მიეწოდებინა საკუთარი მრავალმილიონიანი ტელეაუდიტორიისთვის.

ეს ისე, წინამდებარე სტატიის შესავლად, მცირე ლირიკული გადახვევა და ახლა — რაც შეეხება მთავარს...

რუსეთისა და ამერიკის პრეზიდენტების პირველი, სრულფორმატიანი შეხვედრა, რომელსაც ასე დაძაბული ელოდა მთელი მსოფლიო, უკვე ისტორიის კუთვნილებაა. მთელი მსოფლიო, რომელშიც, როგორც ჩანს, საქართველო არ შედის, რადგანაც **ჩვენი მასმედია ჰელსინკის სამიტის დღეს უფრო „მნიშვნელოვანი“ მოვლენების გაშუქებით იყო დაკავებული, მაგალითად, პარლამენტის მიერ ქოცების ახალი, ე.წ. მცირე მთავრობის დამტკიცება-არ დამტკიცებით ან ნატოს სამიტის შემდეგ დასავლეთიდან კიდევ ერთი არაფრის მაქნისი განცხადების გავრცელებით, რომ აშშ-ევროპა მტკიცედ და უპირობოდ მხარს უჭერენ უკრაინისა და საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, მაგრამ ისეთ „უმნიშვნელო“ რამეზე, როგორიც ჰელსინკის სამიტია, ჩვენი ლიბერასტული ტელემედია მხოლოდ ნიუსების ბოლოს თუ „დაასველებდა ენას“.**

სიტყვამ მოიტანა და, ნატოს სამიტს კიდევ ერთხელ ვახსენებთ. კიდევ ერთხელ, რადგან ახალმა ინფორმაციებმა გაყონა ნატოს სამიტის კულუარებიდან. როგორც ჟურნალისტებს უყვართ თქმა, სანდო წყაროს ინფორმაციით, **ბრიუსელის სამიტზე მისულ აშშ-ის პრეზიდენტ დონალდ ტრამპს ნატოს გენერალური მდივნის — იენს სტოლტენბერგისთვის სამიტზე დამსწრე დელეგაციათა სია მოუთხოვია. და, ამათ აქ რა უნდათო?! — გაჰკვირვებია ტრამპს და ზაალ ბარათაშვილივით თურმე „ქოში უკულმა ჰყარა“, შემდეგ კი უკრაინის ლოთი და საქართველოს „ქსლის მბეჭველი“ პრეზიდენტები — პეტრე პოროშენკო და გიორგი მარგველაშვილი დარბაზიდან „გაუტანიათ“.**

ეს „სასიამოვნო“ ამბავი, რა თქმა უნდა, „გამორჩა“ ქართულ ლიბერასტულ მედიას. გამორჩებოდა, აბა, რა?! ჩვენი ჟურნალისტები ხომ იმის დათვლით იყვნენ დაკავებულნი, რომელმა ევრომამაძაღლმა სად და რამდენჯერ ახსენა სიტყვა საქართველო.

აქედან გამომდინარე, **ნატოში შესვლაზე მეოცნებე ურწმუნო თომებმა იქნებ ახლა მაინც ირწმუნონ, რომ ნატო ბუქარესტის 2008 წლის სამიტის გადაწყვეტილების ერთგული რჩება, საქართველო კი აუცილებლად გახდება ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრი, მაგრამ როდის? რადგან ჩვენი დასავლელი „მეგობრები“, არა და არ აკონკრეტებენ თარიღს, ჩვენ დავაკონკრეტოთ: როდინობის კვირის შვიდშაბათს...**

სანამ უშუალოდ ჰელსინკის სამიტის შოკის მომგვრელ პერიპეტიებზე საუბარს დავიწყებთ, უპრიანი მგონია, სამიტის ერთგვარ პროლოგზე, აშშ-ის პრეზიდენტის სამიტის წინა ევროტურნეზე, ვთქვათ ორიოდე სიტყვა:

ანტიგლობალიტთა მიერ ორგანიზებული ანტიტრამპული მსვლელობები განსაკუთრებული აგრესიულობით გამოირჩეოდა; მსვლელობები, რომელთა პლაკატებს შორის ლგბტ-თა ცისარტყელის ფერებში აჭრელებული ბაირაღებიც ფრიალებდა (ეს ისე, რომ იტყვიან, უკომენტაროდ)...

რაც შეეხება კომენტარს, ერთს ვიტყვი მხოლოდ: ტერეზა მეისა და ანგელა მერკელის მისამართით დონალდ ტრამპის მიერ გაკეთებულმა შეურაცხმყოფელმა განცხადებებმა შოკში ჩააგდო ეს უკანასკნელნი. ალარაფერს ვიტყვით დონალდ ტრამპის, რბილად რომ ვთქვათ, ექსტრავაგანტურ ქცევაზე ბრიტანეთის დედოფალთან აუდიენციაზე, როდესაც აშშ-ის პრეზიდენტმა, ჩემის აზრით, უნებურად დაარღვია ეტიკეტი და დედოფლის წინ მიაბიჯებდა საპატიო ყარაულის დათვალიერებისას და კიდევ — ბრიტანეთის პრემიერმინისტრ ტერეზა მეისთან ერთობლივ ბრიფინგზე აშშ-ის პრეზიდენტმა აშშ-ის წამყვანი ტელევიზიის შეკითხვას დემონსტრატიულად არ უპასუხა, უწოდა რა ტელეკომპანია „სიენენს“ ფეიკნიუსების ტელევიზია...

ახლა კი დროა, რომ მხოლოდ ჰელსინკის სამიტზე ვისაუბროთ. სამიტის, რომელიც ბევრი რამით აღმოჩნდა უპრეცედენტო, მათ შორის დონალდ ტრამპის მიმართ „სიენენის“ განსაკუთრებული აგრესიულობით, რომლის ერთ ჟურნალისტს, რომ იტყვიან, მიკროფონი ხელიდან ვერ გააგდებინეს და შეკითხვას შეკითხვაზე სვამდა აშშ-ის არჩევნებში რუსეთის ჩარევის თაობაზე.

პასუხად კი აშშ-ის პრეზიდენტმა პრაქტიკულად ღიად გამოუცხადა უნდობლობა საკუთარი ქვეყნის სპეცსამსახურებს, რომლებმაც ზუსტად სამიტის წინა დღეებში დადეს ახალი „კომპრომატები“ აშშ-ის არჩევნებში რუსეთის ჩარევის დასამტკიცებლად, რაც სინამდვილეში სხვა არა იყო რა, თუ არა ჰელსინკის სამიტის ჩაშლის კიდევ ერთი მცდელობა.

რაც შეეხება რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს, მან, როგორც ყოველთვის, მაყურებელთა სიმპათია დაიმსახურა თავისი დახვეწილი იუმორით, რკინისებური ლოგიკითა თუ მარტივი, ნაკლებად დიპლომატიური ლექსიკით...

მაგალითად, ღიმილის მომგვრელი იყო, როდესაც **ვლადიმერ პუტინმა მოსკოვის მუნდიალის ბურთი აჩუქა დონალდ ტრამპს — აქაოდა, 2026 წელს აშშ-მა უნდა ჩაატაროს ფეხბურთის მორიგი მუნდიალიო. მაგრამ ამ ჟესტის მთავარი ქვეტექსტი მაინც ის იყო, რომ მე, რუსეთმა, ყველაფერი გავაკეთე ამ სამიტზე და ახლა ბურთი შენს, ამერიკის, მხარეზეა, ანუ თქვენი სვლააო, მისტერ ტრამპ!**

რბილად რომ ვთქვათ, არც ხისტი გამოთქმები დაუშურებია რუსეთის პრეზიდენტს. მან ზემოთ ხსენებული აბეზარი ჟურნალისტის შეკითხვას რუსეთის არჩევნებში ჩარევის შესახებ ბოდვა, უაზრობა უწოდა და „სიენენის“ ჟურნალისტს თავიდან ამ „შელუხის“ გამობერტყვა ურჩია.

სამიტის დღესვე აჭრელდა დასავლეთის ლიბერასტული მედია რუსეთის პრეზიდენტის ქების შემცველი სათაურებით; იმავე დღეს უწოდეს აშშ-ის პრეზიდენტის გამოსვლას ჰელსინკში უპრეცედენტოდ სუსტი და სამარცხვინო, ხოლო მავანმა კონგრესმენ-სენატორებმა პრეზიდენტი დონალდ ტრამპი აშშ-ის სახელმწიფო ღალატში ღიად დაადანაშაულეს, რომელსაც, აქედან გამომდინარე, სამშობლოში ფრიად „გულთბილი“ დახვედრა ელის...

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჩვენ, ქართველებს, რა ხეირი?! არც არაფერი, რადგან, როგორც მოსალოდნელი იყო, საქართველო არც კი უხსენებიათ აშშ-სა და რუსეთის პრეზიდენტებს, მაგრამ სამაგიეროდ ახსენეს უკრაინა და ყირიმი. პირველის შესახებ პრეზიდენტები შეთანხმდნენ, რომ ე.წ. მინსკის ფორმატი სრულად აამოქმედონ; რაც შეეხება ყირიმს, ჯობდა, საერთოდ არ ეხსენებინათ, რადგან რუსეთის პრეზიდენტმა ხისტად აღნიშნა, რომ მართალია, დონალდ ტრამპს ყირიმის მიერთება რუსეთთან უკანონო ანექსიად მიაჩნია, მაგრამ რუსეთისთვის ეს თემა დახურულიაო, მკაცრად მოჭრა რუსეთის პრეზიდენტმა.

საქართველოს მიმართ ეს ის შემთხვევაა, რომელსაც ერთი ქართული ანდაზა ღაღადებს: „რძალო შენ გეუბნები და მულო შენ გაიგონეო“!

**რუსეთის პრეზიდენტმა უზარმაზარი უკრაინა-ყირიმის თემა გამოაცხადა დახურულად; ყირიმის, რომლიც მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუერთდება უკრაინას, თუ უკრაინა შეუერთდება რუსეთს. ამ რეალობას, დიდი ხანია, შეგუებულია აშშ-ევროპა და ერთი ბეწო საქართველოს კიდევ უფრო „ბეწო“ სოხუმ-ცხინვალი რაღა სახსენებელია?!**

**თუმცა როგორ არ არის სახსენებელი, მაგრამ არა აშშ-ევროპის მიერ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდამჭერ მორიგ რეზოლუციებში, რომლებსაც რუსეთისთვის იმ ფარატინა ფურცლების ფასიც კი არ აქვს, რომლებსაც წლიდან წლამდე უშურველად შტამპავენ ჩვენი დასავლელი „მეგობრები“. ეს რეზოლუციები რუსეთს მხოლოდ აღიზიანებს და, თუ რამე არ შეიცვალა, მცოცავი ოკუპაცია მხტუნავ ოკუპაციად იქცევა და საქართველოს სახელმწიფო საზღვრებს, უკეთეს შემთხვევაში, იქეთ ქუთაისთან და აქეთ მარნეულთან დაგვიდგენენ.**

ყირიმისგან განსხვავებით რუსეთს ჯერჯერობით ოფიციალურად არ განუცხადებია, რომ სოხუმ-ცხინვალის თემაც დახურულია, მაგრამ უნდა გვესმოდეს, რომ ეს „ჯერჯერობით“ უსასრულოდ ვერ გაგრძელდება.

ეს ისე, წერილის ბოლოს ინფორმაცია ფიქრისთვის, თორემ წერილის სათაურში რუსეთის მიმართ დასმული კითხვის ნიშანი უკვე ზედმეტი მგონია, რადგანაც, უფლის ნებით, მომავალი კონსერვატიულ-ეროვნულ ძალებს ეკუთვნით მსოფლიოში, რომელთა უპირველესი ფლაგმანი ერთმორწმუნე რუსეთია.

**დავით მხეიძე**

**P.S. „რუს და ქართველ ხალხთა ტრადიციული ურთიერთსიყვარული, — წერდა ი. ჭავჭავაძე თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორ სერაფიმეს 1898 წელს, — ჩვენთვის უფროა საჭირო, ვიდრე რუსთათვის, ვინაიდან ამაშია ჩვენი კეთილდღეობის, ჩვენი ხსნის ერთადერთი საწინდარი. დიდ, თვალუწვდენელ რუსეთისათვის კი — ქართველის მისდამი სიყვარულის საკითხი შეიძლება იყვეს მხოლოდ ზნეობრივი ხასიათის კეთილშობილური მზრუნველობის საგანი და მოკლებულია ყოველგვარ პრაქტიკულ მნიშვნელობას; ვინაიდან რუსეთი თავისთავად მეტად ღონიერი და ძლიერია და ამიტომ არ სჭირდება, რომელიმე პატარა ხალხის თანაგრძნობაში ეძიოს თავისთვის საყრდენი; ვიმეორებ, ჩვენთვის, ქართველებისათვის, ეს სიყვარული დაკავშირებულია ჩვენი ყოფნა-არ ყოფნის საკითხთან.**

**...დიდი რუსეთის გარეშე არ არის ხსნა საქართველოსა და ქართველებისათვის“.**

მსოფლიოს ამბები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ისლა დაგვრჩენია, დავამატოთ, რომ რუსეთის პოზიცია ყველამ გაიგო — საფრანგეთმაც, გერმანიამაც და ევროპის სხვა ქვეყნებმაც, ახლა — ამერიკამაც. მარტო ჩვენმა ტვინგაყინულმა და დაბრმავებულმა „პოლიტიკოსებმა" ვერ გაიგეს (თუ არ უნდათ გაიგონ) ვერაფერი. როდემდე?!**

# მოსკოვის «წითელი ხაზები»

**ტრამპთან გამართული შეხვედრის შემდეგ ვ. პუტინმა ვრცელი ინტერვიუ მისცა ამერიკულ ტელეკომპანია „ფოქს ნიუსს". პუტინმა კიდევ ერთხელ გაიმეორა მრავალგზის ნათქვამი, რომ ნატოს ინფრასტრუქტურის განლაგებას მის საზღვრებთან რუსეთი განიხილავს პირდაპირ და უშუალო საფრთხედ მისი ეროვნული უშიშროებისთვის და ამიტომ რუსეთის რეაქცია ნატოში საქართველოსა და უკრაინის მიღებაზე უკიდურესად მძაფრი იქნება.**



11-12 ივლისის ნატოს ბრიუსელის სამიტი მოსკოვს უყურადღებოდ არც ახლა დაუტოვებია. სამიტის პირველ დღეს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ნატოს უსარგებლო ბლოკი უწოდა, რომელსაც მხოლოდ „კბილების ღრჭიალი" შეუძლია. მეორე დღეს რუსეთის მიდ-ის ოფიციალური წარმომადგენელი მარია ზახაროვა ნატოში საქართველოს შესაძლო მიღებასაც გამოეხმაურა.

**ზახაროვამ განაცხადა, რომ რუსეთი მიიღებს საპასუხო ზომებს, თუ კი სხვა ქვეყნები, მათ შორის საქართველო, ნატოს წევრები გახდებიან.** „ნატოში ახალი წევრების მიღება შეცვლის ევროპაში დღეს არსებული უსაფრთხოების სურათს. და ამას, რა თქმა უნდა, მოჰყვება შესაბამისი შედეგები. ეს შეეხება არა მხოლოდ საქართველოს, არამედ რუსეთის პრინციპულ პოზიციას მთლიანად. უნდა გვესმოდეს, რომ ნატოს გაფართოება ცალმხრივი პროცესი არ არის. როცა ხდება ცვლილებები ერთ მხარეს, მას აუცილებლად მოჰყვება შედეგები მეორე მხრიდან", — თქვა ზახაროვამ.

ისლა დაგვრჩენია, დავამატოთ, რომ რუსეთის პოზიცია ყველამ გაიგო — საფრანგეთმაც, გერმანიამაც და ევროპის სხვა ქვეყნებმაც, ახლა — ამერიკამაც. მარტო ჩვენმა ტვინგაყინულმა და დაბრმავებულმა „პოლიტიკოსებმა" ვერ გაიგეს (თუ არ უნდათ გაიგონ) ვერაფერი.

როდემდე?!

# ტრამპისა და პუტინის შეხვედრამ შეცვალა ამ ორი ქვეყნის ურთიერთობა, შეცვლის მსოფლიოსაც

## შემაჯამებელი პრესკონფერენციის თეზისები



**პუტინის თეზისები:**

— მოლაპარაკებები ჩატარდა საქმიან და გულახდილ ატმოსფეროში;

— ორმხრივი ურთიერთობები ცუდ დღეში გვაქვს, მაგრამ ამ სირთულეებისთვის ობიექტური მიზეზები არ არსებობს. ახლა „ცივი ომი" აღარ არის, ახლა სხვა გამოწვევები გვაქვს;

— მინდოდა, რომ ტრამპს გაემარჯვა არჩევნებში, მაგრამ რუსეთი პროცესში არ ჩარეულა;

— უილიამ ბრაუდერმა დაახლოებით მილიარდ-ნახევარი დოლარი მოიპარა რუსეთში და შტატებში გაიტანა. ამ ფულიდან დაახლოებით ოთხასი მილიონით ჰილარი კლინტონის საარჩევნო კამპანია დააფინანსა;

— კურსი განიარაღებაზე გაგრძელდება;

— ჩვენ გავუზიარეთ ამერიკელ კოლეგებს ჩვენი მოსაზრებები სტრატეგიული სტაბილურობისა და მასობრივი განადგურების იარაღის გაუვრცელებლობის სფეროებში თანამშრომლობის თაობაზე, აგრეთვე შევთავაზეთ, ალვადგინოთ ანტიტერორისტული თანამშრომლობის ჯგუფი;

— მოსკოვსა და ვაშინგტონს შეუძლიათ, საკუთარ თავზე აიღონ სირიაში ჰუმანიტარული კრიზისის გადაჭრის საკითხი;

— ტერორისტების განადგურების შემდეგ სირიის სამხრეთ-დასავლეთით გოლანის მაღლობებზე სირიისა და ისრაელის სამხედროები უნდა დაშორიშორდნენ;

— კონფლიქტი ჩრდილოეთ კორეასთან ჩაცხრობისკენ წავა;

— ტრამპის პოზიცია ყირიმის მიმართ ცნობილია — ის ამას უკანონოდ მიიჩნევს. ჩვენ კი მიგვაჩნია, რომ ყირიმში რეფერენდუმი ჩავატარეთ ყველა საერთაშორისო კანონისა და გაეროს წესდების შესაბამისად. ჩვენთვის ეს თემა დახურულია;

— უკრაინის კონფლიქტის დარეგულირებისთვის მინსკის შეთანხმებებს ალტერნატივა არ აქვს, მაგრამ პროცესი შეცერებულია უკრაინული მხარის მიზეზით. მიმაჩნია, რომ აშშ-ს შეუძლია უკრაინაზე გავლენა იქონიოს და დარეგულირების პროცესი გაააქტიურებინოს;

— რუსეთი შეინარჩუნებს ბუნებრივი აირის ტრანზიტს უკრაინის გავლით, იმ პირობით, რომ რუსული „გაზპრომი" და უკრაინული „ნაფტოგაზი" მორიგდებიან სამეურნეო დავის ფარგლებში სტოკჰოლმის არბიტრაჟში;

— ორმხრივ ვაჭრობასა და ინვესტიციებს რომ ხელი შევუწყოთ, მე და პრეზიდენტმა ტრამპმა მოვილაპარაკეთ, შევქმნათ მაღალი დონის ჯგუფი ამერიკელი და რუსი ბიზნესმენებისგან;

— უნდა განვაახლოთ კულტურული და ჰუმანიტარული თანამშრომლობა;

— უნდა ვიფიქროთ გრძელვადიანი თანამშრომლობის ფილოსოფიაზე;

— ამ პირველი სრულმასშტაბიანი შეხვედრით კმაყოფილი ვარ, მაგრამ ყველა წინაღობის გადალახვა ვერ შევძელით.

**ტრამპის თეზისები:**

— ვთვლი, რომ ამერიკაც და რუსეთიც — ორივე დამნაშავეა ჩვენ შორის ცუდი ურთიერთობის ჩამოყალიბებაში;

— ჩვენი ურთიერთობები ასეთ დაბალ ნიშნულზე არასოდეს არ ყოფილა, მაგრამ ყველაფერი შეიცვალა ოთხი საათის წინ;

— ჩვენ გვქონდა პირდაპირი, გულწრფელი და პროდუქტიული დიალოგი;

— მადლობა პრეზიდენტ პუტინს, რუსეთმა ასე კარგად რომ გაართვა თავი მსოფლიო ჩემპიონატის ორგანიზებას;

— მშვიდობის მისაღწევად მე უფრო წავალ პოლიტიკურ რისკზე, ვიდრე პოლიტიკური მიზნებისთვის მშვიდობით გავრისკავ;

— რუსეთმა წამოაყენა საინტერესო წინადადება კიბერუსაფრთხოებისთვის სამუშაო ჯგუფის შესაქმნელად;

— პრეზიდენტმა პუტინმა დამაჯერებელი პასუხები გასცა ამერიკული მხარის წუხილს (იგულისხმებოდა ე.წ. რუსული კვალი ტრამპის არჩევაში);

— ჩვენი ქვეყნების თანამშრომლობას ასიათასობით სიცოცხლის გადარჩენა შეუძლია;

— განვიხილეთ ჩრდილოეთ კორეის საკითხი და რუსეთი დაგვთანხმდა დახმარებას;

— განვიხილეთ რადიკალური ისლამური ტერორიზმი და ამ მიმართულებით კვლავაც ვითანამშრომლებთ;

— სირიაში ვითანამშრომლებთ რუსეთთან, მაგრამ ირანმა უპირატესობა არ უნდა მიიღოს;

— ევროპის ენერგეტიკულ ბაზარზე ვითანამშრომლებთ კონკურენციის პირობებში;

— ეს იყო ძალიან კონსტრუქციული დღე. მჯერა, რომ მომავალში უფრო ხშირად შევხვდებით. დღევანდელი შეხვედრა გრძელი გზის მხოლოდ დასაწყისია. ჩვენი მოლოდინები რეალიზმს ეფუძნება, ხოლო ჩვენი იმედები მოდის მშვიდობისა და თანამშრომლობისკენ;

— იმედი მაქვს, რომ მომავალში ყველა იმ პრობლემას გადავჭრით, რომლებზეც დღეს ვილაპარაკეთ.

# ნატოს სამიტზე იუნკერი ისეთი მთვრალი იყო, რომ წონასწორობას ვერ იცავდა და კინაღამ პოროშენკოს დაეცა



**ინტერნეტში გავრცელდა ვიდეო, სადაც ევროკომისიის ხელმძღვანელი ჟან-კლოდ იუნკერი ბრიუსელში ნატოს სამიტის დროს კინაღამ წაიქცა და პოროშენკო ქვეშ მოიყოლა.**

როგორც ბრიტანული მედია იუწყება, იუნკერი, სავარაუდოდ, ფხიზელი არ იყო, რადგან ფეხზე ძლივს იდგა და ქანაობდა.

ვიდეოს დასასრულს ჩანს, რომ იუნკერმა ვერ შეინარჩუნა წონასწორობა და კინაღამ უკან მომავალ პოროშენკოს დაეცა. გარდა ამისა, ევროკომისიის ხელმძღვანელს ხელის შეშველება სჭირდებოდა კიბეებზე ჩამოსვლისას.

მოგვიანებით ევროკავშირის ოფიციალურმა წარმომადგენლმა მ. სკინასმა განმარტა, რომ უწყების ხელმძღვანელს იშიაზის (საჯდომი ნერვის ანთება) შეტევა ჰქონდა, მაგრამ ახლა ის თავს უკეთ გრძნობს. მან მედიის მიერ სამიტზე მომხდარი ინციდენტის გაშუქებას „ცუდი გემოვნება" უწოდა.

ეს პირველი შემთხვევა არაა, როდესაც იუნკერს ალკოჰოლის ბოროტად გამოყენებაში სდებენ ბრალს. გასულ წელს ჟენევის სამიტზეც შეამჩნიეს ჟურნალისტებმა მისი უცნაური საქციელი, როცა ის სულ ხალხსა და ავეჯს ეჯახებოდა.

უფრო ადრე ინტერნეტში გავრცელდა ვიდეო, რომელზეც იუნკერი ფრიად მხიარულ ხასიათზეა, თავზე კოცნის პოლიტიკოსებს და სილასაც უტყაპუნებს.



# რადას დეპუტატი ჩივის, რომ ევროპაში უკრაინის ხსენება უკვე გაღიზიანებას იწვევს

**უკრაინის საკითხი ევროპას უკვე აღიზიანებს, განაცხადა უკრაინის უმაღლესი რადას დეპუტატმა პარტია „ოპოზიციის ბლოკი"-დან — ნესტორ შუფრიჩმა ტელეარხ „112. უკრაინა"-ს ეთერში.**

„კიდევ კარგი, რომ იქ [პრეზიდენტ დონალდ ტრამპისა და ვლადიმერ პუტინის მოლაპარაკებებზე ჰელსინკში] უკრაინის საკითხი ჯერ კიდევ დგას, რადგან მე ახლახან დავბრუნდი ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის ბერლინის სამიტიდან, და იცით რა, უკრაინის საკითხი იქ უკვე ყველას აღიზიანებს", — თქვა შუფრიჩმა.

მისი თქმით, ევროპაში „არავის არ ესმის", რატომ არ სრულდება მინსკის შეთანხმებები და უკრაინის პარლამენტი რატომ არ იღებს შესაბამის კანონებს. „თუმცა, ჩვენ (პარლამენტარებს) ამის გაკეთება არ შეგვიძლია, რადგან ამ საკითხს ბლოკავს კოალიცია და პრეზიდენტი", — განმარტა შუფრიჩმა.

გარდა ამისა, ბრიუსელში ნატოს სამიტზე ტრამპისა და პოროშენკოს შეხვედრის კომენტირებისას დეპუტატმა იმედი გამოთქვა, რომ უკრაინის ლიდერის მომდევნო შეხვედრა რუსეთის პრეზიდენტთან შედგება.

ადრე იტყობინებოდნენ, რომ ტრამპის პოროშენკოსთან 20-წუთიანი შეხვედრისას, ამ უკანასკნელის თქმით, ორივე ლიდერმა „დეტალურად" განიხილა ამერიკის პრეზიდენტისა და პუტინის შეხვედრა ჰელსინკში და გაზსადენი „ჩრდილოეთის ნაკადი -2"-ის პრობლემაც.



rbc.ru

**ტრამპი მოითხოვს, ევროპა მთლიანად მოექცეს ამერიკის პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესების გავლენის ქვეშ, ეს კი ამერიკას სჭირდება იმ მსოფლიო წესრიგის დასანგრევად, რომელსაც ცოტა ხნის წინათ თვითონვე ქმნიდა. ამერიკელებმა უკვე დაიწყეს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის დაშლა და ახლა ჯერი სხვა მსოფლიო გლობალისტურ ინსტიტუტებზეა.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ტრამპი, რუსეთი და გლობალისტები

**გასულ კვირას ევროპული ტურნეს ფარგლებში დონალდ ტრამპმა ბრიუსელი, ლონდონი და ჰელსინკი მოიარა.**

ბრიუსელში ნატოს სამიტზე ნიშანდობლივი რამ მოხდა — ტრამპმა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ლიდერებთან საუბარი არ ისურვა. მან სტოლტენბერგის განცხადებაც კი უგულებელყო, როცა ამ უკანასკნელმა თქვა, რომ საქართველო იქნება ნატოს წევრი.

**(ზოგიერთი ინფორმაციით, როცა ტრამპმა ოფიციალური სამიტის დაწყებამდე საგანგებო დახურული შეხვედრა გამართა ნატოს წევრი ქვეყნების ლიდერებთან, წინასწარ მოითხოვა იმ ქვეყნების სია, რომლებიც სტოლტენბერგმა ამ შეხვედრაზე მოიწვია. როცა სიაში მარგველაშვილისა და პოროშენკოს გვარები აღმოაჩინა, ტრამპი ძალიან უკმაყოფილო დარჩენილა და სტოლტენბერგისთვის თითქმის აგდებული ტონით მოუთხოვია: ესენი აქედან მოაშორეო. ნატოს გენმდივანიც მორჩილად დათანხმებია და მარგველაშვილი და პოროშენკო სხდომიდან გამოუზრძანებიათ. — რედ.).**

სსრკ-ის დაშლის შემდეგ ასეთი რამ პირველად მოხდა. აქამდე სწორედ აშშ და მისი პრეზიდენტები იყვნენ ალიანსის გაფართოების ინიციატორები. ნატოს ბიუროკრატია, რა თქმა უნდა, წინააღმდეგი არ იყო, მაგრამ ინიციატივასაც არ იჩენდა. დასავლეთი ევროპა აღტაცებას არ გამოხატავდა, მაგრამ აშკარა წინააღმდეგობა მხოლოდ ერთხელ — 2008 წლის ბუქარესტის სამიტზე გასწია, როცა გერმანიამ და საფრანგეთმა საქართველოსთვის მაპ-ის მინიჭება დაბლოკეს.

ნატოს წევრობისთვის საქართველოს მზადყოფნაზე ტრამპს სკეპტიციზმზე უარესი რეაქცია ჰქონდა. მან საერთოდ საკითხის იგნორირება მოახდინა. მასთან ერთად საქართველოს საკითხს იგნორირება გაუკეთეს ბლოკის წამყვანმა ქვეყნებმაც. ამასთან, ნატოს წევრად მიღებაზე გადაწყვეტილებას იღებს არა ნატოს ბიუროკრატია (მას არავითარი დამავალდებულებელი გადაწყვეტილებების მიღება არ შეუძლია), არამედ წევრი ქვეყნები, და თანაც კონსენსუსით.

საფიქრალია, რომ პრობლემა იმდენად თვითონ საქართველოში კი არაა (თუმცა პრობლემა აქაც გვარიანია — ქვეყანას ტერიტორიული პრეტენზიები აქვს და თანაც სადავო ტერიტორიებზე რუსეთის სამხედრო ბაზებია), არამედ აღმოსავლეთ ევროპაში მთლიანად. ამ სამიტზე ტრამპმა კვლავ გაიმეორა თავისი ულტიმატუმი: ევროპამ მეტი ფული უნდა დახარჯოს თავდაცვისთვის და, რუსულის ნაცვლად, უნდა იყიდოს ამერიკული გაზი. წინათ, როცა დასავლეთ ევროპასა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის წინააღმდეგობები ჩნდებოდა, ამერიკა ყოველთვის აღმოსავლეთელთა მხარეს იჭერდა, ამჯერად კი ტრამპი დემონსტრაციულად აგდებით მოექცა მათ. ტრამპმა პლენარულ სხდომაზე გამოაცხადა თავისი მოთხოვნები, რითაც თავისი მონაწილეობა დასრულებულად ჩათვალა, სხვებისთვის არც მოუსმენია და შემდეგ გააუქმა ყველა ორმხრივი შეხვედრა აღმოსავლეთევროპული ქვეყნების ლიდერებთან.

გამოვიდა ისე, რომ, თუ დასავლეთ ევროპის ქვეყნებს ჯერ კიდევ ეუბნებიან, რა უნდა მოიმოქმედონ, თუკი ამერიკის მოკავშირედ დარჩენა უნდათ, აღმოსავლეთი ევროპა საერთოდ აღარ აინტერესებს ამერიკას.

**ბრიუსელიდან ტრამპი ლონდონს ესტუმრა, აქაც თავისი პირობები წამოაყენა: დაბეჯითებით ურჩია ინგლისელებს, გადააყენონ პრემიერ-მინისტრი ტერეზა მეი და მის ნაცვლად აირჩიონ უკვე ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი ბორის ჯონსონი. ეს ევროკავშირისკენ ნასროლი კიდევ ერთი ქვა იყო.** საქმე ისაა, რომ გადადგომამდე ბორის ჯონსონი გამალებით აკრიტიკებდა ტერეზა მეის დათმობის პოლიტიკის გამო ევროკავშირიდან გასვლის თაობაზე. ის ჯგუფი, რომელსაც მიეკუთვნება ჯონსონი, თვლის, რომ ევროკავშირთან მოლაპარაკებები უსარგებლოა და ბრიტანეთი ხისტად უნდა მოიქცეს.



ტრამპმა დამაჯერებლად დაანახვა მსოფლიოს, რომ პოლიტიკურად და ეკონომიკურად ძლიერი ევროკავშირი მას არ სჭირდება, მეტიც, ის ასეთ ევროპას ეკონომიკურ სანქციებს უწესებს (ცოტა ხნის წინათ მრავალ ევროპულ საქონელზე ამკრძალავი საბაჟო გადასახადები შემოიღო).

**ტრამპი მოითხოვს, ევროპა მთლიანად მოექცეს ამერიკის პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესების გავლენის ქვეშ, ეს კი ამერიკას სჭირდება იმ მსოფლიო წესრიგის დასანგრევად, რომელსაც ცოტა ხნის წინათ თვითონვე ქმნიდა. ამერიკელებმა უკვე დაიწყეს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის დაშლა და ახლა ჯერი სხვა მსოფლიო გლობალისტურ ინსტიტუტებზეა.**

**როცა სიაში მარგველაშვილისა და პოროშენკოს გვარები აღმოაჩინა, ტრამპი ძალიან უკმაყოფილო დარჩენილა და სტოლტენბერგისთვის თითქმის აგდებული ტონით მოუთხოვია: ესენი აქედან მოაშორეო. ნატოს გენმდივანიც მორჩილად დათანხმებია და მარგველაშვილი და პოროშენკო სხდომიდან გამოუზრძანებიათ**

ტრამპი ასრულებს თავის საარჩევნო დანაპირებს. ის მკაცრად გმობდა ობამასეულ გლობალიზაციას, ვინაიდან ამერიკა სულ უფრო მეტ ხარჯებს სწევდა გლობალური ინსტიტუტების სასარგებლოდ და სანაცვლოდ არაფერს არ იღებდა. ტრამპის გეგმა, კვლავ აქციოს ამერიკა დიდებულ ქვეყნად, სწორედ იზოლაციონიზმს გულისხმობს და ამისთვის უნდა დაანგრიოს მსოფლიო გლობალური ინსტიტუტები.

ამ ლოგიკიდან გამომდინარე, ტრამპი ჰელსინკში შეეცდებოდა, გაერკვია, რამდენად და რაში შეიძლება ჰქონდეს პუტინის მხარდაჭერის იმედი. თუ ისინი შეთანხმდებიან, მოსკოვსა და ვაშინგტონს ერთობლივად ნებისმიერი გლობალისტური სტრუქტურის დაძლევა შეუძლიათ; თუნდაც იმიტომ, რომ აშშ აკონტროლებს მსოფლიო საზღვაო სავაჭრო მარშრუტებს, რუსეთი — საზღვაოს ალტერნატიულ ტრანსევრაზიულ სახმელეთო მარშრუტებსა და ჩრდილოეთის საზღვაო მარშრუტს.

გარდა ამისა, სხვა, ნაკლებმნიშვნელოვან თემებზეც ექნებოდათ საუბარი. აშშ-ს უნდა კრიზისული წერტილებიდან (ავღანეთი, სირია, ერაყი, უკრაინა...) წასვლა, მაგრამ უნდათ, ახლო აღმოსავლეთში თუნდაც შეკვეცილი გავლენა მაინც შეინარჩუნონ (ისრაელის ფაქტორი). ალბათ, შეეცდებიან, უკრაინის დატოვებაშიც რაიმე კომპენსაცია მიიღონ.

თუ კი პუტინი მხარს დაუჭერს ტრამპს გლობალური სამყაროს წინააღმდეგ, ამერიკელებს სანაცვლოდ რუსეთისთვის ბევრი რამის დათმობა შეუძლიათ.

პუბლიკაციებს ამ თემაზე კვლავაც შევთავაზებთ ჩვენს მკითხველებს.

**მომზადებულია ინტერნეტში გამოქვეყნებული მასალების მიხედვით**



# საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ტრამპი ევროპის დესტაბილიზაციის მცდელობაში დაადანაშაულა

**საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჟან-ივ ლე დრიანმა განაცხადა, რომ პრეზიდენტი ტრამპი ევროპის დესტაბილიზაციას ვაჭრობის საშუალებით ცდილობს, იუწყება „რია ნოვოსტი". მან ხაზი გაუსვა, რომ ტრამპმა საშიშროების წინაშე დააყენა შეთანხმება კლიმატის თაობაზე, ასევე, შეეცადა ირანთან შეთანხმების გაუქმებას.**

„ევროპის მიმართ იგი განახორციელებს ინიციატივებს, კერძოდ, ვაჭრობის სფეროში, რომლებიც დესტაბილიზაციისკენ არის მიმართული", — თქვა **ლე დრიანმა**.

უფრო ადრე კი ენერგოკავშირის საკითხებში ევროკომისიის ვიცეპრეზიდენტმა **მაროშ შეფჩოვიჩმა** განაცხადა, რომ „ჩრდილოეთის ნაკადი-2" არ უნდა გახდეს ევროკომპანიების წინააღმდეგ აშშ-ის სანქციების დაწესების მიზეზი. მან ხაზი გაუსვა, რომ ამერიკელ კოლეგებს გააცნო **ევროკავშირის გაზის დირექტივასთან დაკავშირებული საფრანგეთის მხარის შენიშვნები.**

# ექიმებმა ფიფას ხელმძღვანელის ქალიშვილი გადაარჩინეს



**საერთაშორისო საფეხბურთო ფედერაციის პრეზიდენტის (ფიფა) — ჯანი ინფანტინოს 7 წლის ქალიშვილს სანქტ-პეტერბურგში სასწრაფო ოპერაცია გაუკეთეს. ინფანტინოს მეუღლე გასულ კვირას შვილთან ერთად ჩავიდა რუსეთის ჩრდილოეთ დედაქალაქში. მოგვიანებით ბავშვს მწვავე ტკივილები გაუჩნდა მუცლის არეში და გულისრევამ შეაწუხა.**

ექიმებმა ივარაუდეს მწვავე აპენდიციტი და გოგონა გადაიყვანეს პეტერბურგის სახელმწიფო პედიატრიის სამედიცინო უნივერსიტეტის (СПбГПМУ) პედიატრიულ აკადემიაში, სადაც 8 ივლისს ჩაუტარეს ოპერაცია.

ოპერაცია რთული იყო, მაგრამ წარმატებით ჩაიარა. დღეისთვის ბავშვი უკვე გამოჯანმრთელდა და საავადმყოფოდან გაწერეს.

ფიფას ხელმძღვანელი ოპერაციამდე ერთი დღით ადრე სოჭში იმყოფებოდა სადაც 2018 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მეოთხედფინალური მატჩი იმართებოდა რუსეთისა და ხორვატიის ეროვნულ ნაკრებებს შორის.

მოგვიანებით ინფანტინო პირადად ესტუმრა პედიატრიულ აკადემიას, ქალიშვილი მოინახულა და ექიმებს მადლობა გადაუხადა.

უკვე 10 ივლისს ფიფას მეთაური მსოფლიო ჩემპიონატის ნახევარფინალურ მატჩს დაესწრო, რომელშიც საფრანგეთისა დაბელგიის გუნდები თამაშობდნენ. VIP ლოჟაში ინფანტინო საფრანგეთის პრეზიდენტ ემანუელ მაკრონთან და ბელგიის მეფე ფილიპთან ერთად იჯდა.

თითქმის ერთი თვეა, ინფანტინო რუსეთში იმყოფება და მუდმივად აქებს ქვეყანას ჩემპიონატის სანიმუშო ორგანიზებისათვის.

**„ჩვენ ვნახეთ ქვეყანა, რომელიც ძალიან ბევრს აკეთებს. როდესაც ადამიანი ხედავს მოსკოვს, რომლის სილამაზის სიტყვებით გადმოცემა შეუძლებელია, როდესაც ის ხედავს ამ ზღაპრულ ფერებს და ფეხბურთელებს, რომლებიც ჩამოდიან მსოფლიო ჩემპიონატზე სათამაშოდ; როდესაც ის ხედავს გულშემატკივრებს სხვადასხვა ქვეყნიდან, რომლებიც თავიანთ სახეებს ეროვნული დროშის ფერებში იხატავენ, ზეიმობენ რუსებთან ერთად, ასეთ დროს შეუძლებელია არ შეგიყვარდეს ეს ქვეყანა",** — თქვა ჯანი ინფანტინომ.

ჟურნალისტებთან საუბრისას ინფანტინომ ჩემპიონატზე რუსეთის პოლიციის თანამშრომლების შესანიშნავ მუშაობაზეც გაამახვილა ყურადღება. **„სწორედ ეს წარმოადგენს რუსეთის ახალ სახეს და რუსეთის ახალ იმიჯს",** — დასძინა მან.

ახლა ფიფას ხელმძღვანელს კიდევ ერთი მიზეზი აქვს, უყვარდეს რუსეთი და მსოფლიო ჩემპიონატის ორგანიზატორ ქვეყანაში მედიცინის ხარისხიც შეაფასოს.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ტრამპი რუსეთს სთავაზობს მშვიდობიან ურთიერთობას, რომელიც, მიმომხილველთა აზრით, კალაპოტიდან აგდებს დასავლეთის ლიდერებს, რომლებიც, ფაქტობრივად, მსოფლიო საბანკო კაპიტალის სამსახურში დგანან.

# ფულის, კვლავ ფულის და კიდევ ერთხელ ფულის შესახებ

## ტრამპი და ევროპელები ფულს ვერ იყოფენ

**ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრი ქვეყნების შეხვედრის შემაჯამებელი დოკუმენტის შინაარსის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ნატოს სამიტი უშედეგოდ დამთავრდა. ასეც ხდება და ამაში გასაკვირი არაფერია. გასაოცარი არის ის, რომ მსოფლიოს უძლიერესი ქვეყნების ლიდერებმა ჩრდილოატლანტიკური ალიანსის — ნატოს — სამიტზე დაადასტურეს მაკარ ტყუილკოტრიაშვილის გენიალური დებულება: „ფული და მხოლოდ ფული, სხვამ ყველაფერი ტყუილია, კნიაზჯან!“**

გამოჟონილი დეტალების მიხედვით, სამიტის მონაწილეებმა სამი თემა განიხილეს: ფულის, კვლავ ფულის და კიდევ ერთხელ ფულის შესახებ.

პირველად **ტრამპმა** მიუკიბ-მოუკიბავად ილაპარაკა ფულზე. და, თუ პირველ დღეს ასე თუ ისე თავი შეიკავა, შემდეგ თავისი პოზიცია მეხივით თავს დაატეხა ევროპელ ლიდერებს: **მონაწილენი ვალდებული არიან, არმიის დასაფინანსებლად გადაიხადონ მშპ-ს 4 პროცენტი სრულად და ახლავე.**

ეს იდეა ევროპელებს არ მოეწონათ. მაგალითად, **მაკრონმა** იმწამსვე უპასუხა, რომ საფრანგეთი მზადაა, განიხილოს სამხედრო ხარჯების საკითხი მხოლოდ „2014 წლის ობამას გეგმის“ ჩარჩოებში (ამ გეგმით, ევროპის ქვეყნებმა ივალდებულეს, რომ ყბადაღებული „ორი პროცენტის“ დონეს მიაღწევდნენ 2016 წლის ბოლოსთვის, მაგრამ ვერ შეძლეს). **მერკელის** გამოსვლა მკრეხელური იყო. მან განაცხადა, რომ სინამდვილეში ევროპა იცავს აშშ-ს. ამით არაორაზროვნად მიანიშნა, რომ ამერიკას უფლება არ აქვს, მოითხოვოს ის, რაც სამხედრო ხარჯებთან არის დაკავშირებული.

იტალიის პრემიერმა **ჯუზეპე კონტემ** გასაგებად განაცხადა, რომ მის ქვეყანას სამხედრო ხარჯებზე ბევრად უფრო მნიშვნელოვანი ხარჯები აქვს გასასტუმრებელი. ასე რომ, პირდაპირი სამხედრო ხარკის გადამხდელი არავინაა. ესპანეთმა ასევე დაადასტურა, რომ ორპროცენტიანი ზღვარი ის მინიმუმია, რომლისკენაც მიისწრაფის, მაგრამ როდის მიაღწევს, უცნობია.

მეორეჯერ ტრამპმა ფულზე „ჩრდილოეთის ნაკადი-2“-ის თემაზე ისაუბრა. მიიჩნია, რომ კატეგორიულად დაუშვებელია ისეთი ვითარება, როცა გერმანიას შეუძლია გამონახოს თანხები რუსული გაზის საფასურის გადასახდელად, ამერიკის მიერ რუსეთისგან დაცვისთვის კი — არა. მეორე მცდელობა პირველზე უფრო ნაკლებპროდუქტიული გამოდგა. საფრანგეთმა დაუყოვნებლივ უარყო გერმანიის რუსეთზე დამოკიდებულების ბრალდება, ხოლო ნატოს გენერალურმა მდივანმა **იენს სტოლტენბერგმა** პირდაპირ მიუთითა, რომ ევროკავშირის შიდაეკონომიკური საკითხები ჩრდილოატლანტიკური ბლოკის კომპეტენციაში არ შედის. ამასთანავე, უგულებელყო ლიტვის პრეზიდენტ **დალია გრიბაუსკაიტეს** პოზიცია, რომელმაც მხარი დაუჭირა ტრამპს.

და კიდევ ერთხელ, ანუ მესამედ ტრამპმა ფულზე ილაპარაკა, როცა მოკავშირეებისგან მოითხოვა გეოპოლიტიკურ და სამხედრო საკითხებში უფრო მეტად შეკავშირება და მხარდაჭერა ბოლო პერიოდში წარმოქმნილი **ეკონომიკური ხასიათის წინააღმდეგობათა** მიუხედავად. ასე უწოდა მან ეკონომიკურ ომს, რომელიც ექვს თვეზე მეტია, მიმდინარეობს ევროკავშირსა და აშშ-ს შორის. ირიბად ეს იყო მითითება იმაზე, რომ უადგილოა ევროპის ჩინეთთან ძალიან დაახლოება.




ამრიგად, ასკვნიან ექსპერტები, **ბრიუსელში ტრამპის ბრძოლა ნატოსთან ფრედ დამთავრდა. წარმატება ვერც ერთმა მხარემ ვერ მოიპოვა. ტრამპმა მოკავშირეები ვერ დაიმორჩილა, ვერც ფული გამოსძალა. ევროპელებმა თითქოს მოიგერიეს ოკეანისგაღმელი ლიდერის შემოტევა, მაგრამ გადააწყდნენ თავიანთი სამომავლო მოქმედების ბოლომდე გაურკვეველი სტრატეგიის პრობლემას და გამბედაობის დეფიციტს მისი პრაქტიკული გადაწყვეტის საქმეში.**

სანამ ლიდერები ერთ ადგილს „თქვენთვისაც და ჩვენთვისაც“ რეჟიმში ტკეპნიდნენ, ნატოს ბიუროკრატიამ შეადგინა აბსოლუტურად პოზიტიური შემაჯამებელი დოკუმენტი. ვერც ერთ მნიშვნელოვან საკითხში შეთანხმებას სამიტის მონაწილეებმა ვერ მიაღწიეს, მაგრამ სანიმუშოდ ხალისიანი პრესრელიზი გავრცელდა მასმედიისთვის.

მონაწილე მხარეებმა „დაამტკიცეს“ ნატოს სწრაფი რეაგირების ძალების მორიგი პროექტი, რომელიც ითვალისწინებს 2020 წლისთვის ოცდაათი მექანიზებული ბატალიონის, ოცდაათი ავიაესკადრილიისა და ოცდაათი საბრძოლო ხომალდის შემადგენლობით ერთიანი დაჯგუფების ფორმირებას. დაამტკიცეს იმიტომ, რომ ამას ითვალისწინებდა ბიუროკრატიული პროცედურა. რადგან განაცხადი შეტანილი იყო, რადგან შესაბამისობა კომისიებმა და კომიტეტებმა მოიწონეს, წინააღმდეგი კი არავინ აღმოჩნდა, მაშასადამე, უნდა დამტკიცებულიყო. ხოლო ის, რომ ამ გადაწყვეტილებას იგივე ბედი ელის, რაც აბსოლუტურად ანალოგიურ ოთხ წინა დოკუმენტს, არაფერს ნიშნავს. რაიმეს შექმნას არავინ არასოდეს აპირებდა და ამჟამადაც ასე უნდა იყოს.

**ახლა კი, ძვირფასო მკითხველებო, დააკვირდით ამ ფოტოსურათს, რომელიც უსიტყვოდ, დოკუმენტის სიზუსტით გადმოსცემს ნატოს სამიტზე დონალდ ტრამპის მიერ შეგდებული განხეთქილების ვაშლის ეფექტს: აშშ-ის პრეზიდენტი ერთ მხარეს იყურება, ევროპის ლიდერები კი სხვა მხარეს მისჩერებიან... ერთი ალთას, სხვები ბალთასო.**

**დაბოლოს, ქაღალდების მიხედვით, სამიტი პროდუქტიული იყო, მაგრამ მხარეები ერთმანეთს ინგლისურად დასცილდნენ, დაუმშვიდობებლად.**

# აშშ-ისა და ნატოს მიზნები ერთმანეთს შორდება

## გამოვა აშშ ნატოდან?

**ნატოს სამიტამდე ერთი დღით ადრე დონალდ ტრამპმა „ტვიტერში“ დაწერა, რომ ნატოს წევრი ქვეყნების დასაცავად აშშ ძალიან ბევრ ფულს ხარჯავს. ევროპის საზღვრები ცუდია, „მილსადენური დოლარები“ რუსეთში გადის, რაც ამერიკისთვის მიუღებელიაო.**



ამიტომ ისურვა, რომ მოკავშირეებმა თავდაცვისთვის გაიღონ თავთავიანთი მშპ-ს — არა 2, არამედ 4 პროცენტი.

მის ამ შეთავაზებას არ იზიარებს ალიანსის წევრი ქვეყნების უმრავლესობა. მათი ასეთი პოზიცია ალიზიანებს ტრამპს და ბრიუსელში გამგზავრების წინა დღეს „ტვიტერში“ მისეული ჩანაწერი, როგორც ანალიტიკოსები შიფრავენ, მოკავშირეების გაფრთხილებაა, რომ ამის გამო მკაცრად მოჰკითხავდა მათ ნატოს სამიტზე.

„ვფიქრობ, ძალიან სამწუხაროა, როცა გერმანია მასშტაბურ ხელშეკრულებას დებს რუსეთთან ნავთობისა და გაზის მიწოდების თაობაზე, — სწორედ ეს უთხრა ტრამპმა ნატოს გენერალურ მდივან **იენს სტოლტენბერგს** ალიანსის სამიტის წინ გამართულ სამუშაო საუზმეზე, — ვფიქრობ, რომ გერმანია რუსეთის მძევალია იმიტომ, რომ რუსეთისგან დიდ ენერგიას იღებს. ჩვენ ვიცავთ გერმანიას, ვიცავთ საფრანგეთს, ვიცავთ სხვა ქვეყნებს, მაგრამ ისინი გარიგებას დებენ რუსეთთან გაზგამტარის საკითხზე და მილიარდობით დოლარს ყრიან რუსეთის ქისებში. ჩვენ გიცავთ თქვენ რუსეთისგან, მაგრამ თქვენ მილიარდობით დოლარს უხდით რუსეთს, ეს არაფრად ვარგა“.

ექსპერტების ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ ტრამპმა შეუტია ევროპას, მაგრამ საქმეში ღრმად ჩახედული ანალიტიკოსები, მათ შორის **იური ბარანჩიკი,** საწინააღმდეგოს ამტკიცებენ, **მათი აზრით, ტრამპმა ევროპელ ლიდერებს განუცხადა: „ძვირფასო ამხანაგებო, თქვენ ძალიან კარგად მოეწყვეთ. იმ დროს, როცა ჩვენ (აშშ) ქვეყნის ბიუჯეტს ვხარჯავთ შეიარაღებასა და რუსეთისგან თქვენ დაცვაზე, ანუ დიდ ზარალს განვიცდით, თქვენ შესანიშნავი ბიზნესი გაქვთ გაჩაღებული, ამასთანავე, გსურთ, ჩაგვითრიოთ პუტინთან ბრძოლაში ისეთი მიზეზების გამო, რომლებიც ამად არ ღირს. ამიტომ არ უნდა გეწყინოთ, თუ ჩვენ პუტინს ომს არ გამოვუცხადებთ და თქვენსავით შესანიშნავად მოველაპარაკებით მას ერთობლივი დიდი ბიზნესის საწარმოებლად“.**

ეს ნიშნავს, რომ ტრამპი, დასავლეთის პოლიტიკური კლასის გაგებით, აბსოლუტურ კრამოლას ლაპარაკობს: რუსეთი არ არის ტრანსცედენტური მტერი. იგი ისეთივეა, როგორებიც ჩვენ ვართ, ცივილიზაციის ნაწილი, რომელთანაც შესაძლებელია კეთილმეზობლური ურთიერთსასარგებლო კონტაქტების დამყარება. ეს არის საბჭოთა კავშირისადმი (რუსეთისადმი) ტრუმენ-ჩერჩილისეული მიდგომის, რომელსაც ეფუძნებოდა „ცივი ომი“, სრული უარყოფა.

ესე იგი, ტრამპი რუსეთს სთავაზობს მშვიდობიან ურთიერთობას, რაც, მიმომხილველთა აზრით, კალაპოტიდან აგდებს დასავლეთის ლიდერებს, რომლებიც, ფაქტობრივად, მსოფლიო საბანკო კაპიტალის სამსახურში დგანან.

მათი თავსატეხია!




# მაკრონი ტრამპის წინააღმდეგ

**საფრანგეთის პრეზიდენტ ემანუელ მაკრონს არ მოსწონს აშშ-ის პრეზიდენტ დონალდ ტრამპის იდეა — ნატოს ქვეყნების თავდაცვით ბიუჯეტში მშპ-ს 2 პროცენტიდან 4 პროცენტამდე გაზრდა.**

„ციფრებს რომ ვუყურებთ, ვხედავთ, რომ მიღებული გვაქვს მკაფიო ვალდებულება. ჩვენ არ შეგვიძლია შენატანი ხელის ერთი მოსმით გავზარდოთ 2 პროცენტიდან 4 პროცენტამდე. არც კი ვიცი, კარგია თუ არა ეს ღონისძიება და შეეფერება თუ არა ჩვენს კოლექტიურ უშიშროებას“, — განაცხადა მან ბრიუსელში გამართულ პრესკონფერენციაზე.

მან ჟურნალისტებს შეახსენა, რომ ნატოს სამიტზე მიღებულია ერთობლივი კომუნიკე. „გუშინ გამოქვეყნდა კომუნიკე, ძალიან დეტალური, რომელშიც მითითებულია ყველა დამსწრე ქვეყნის ვალდებულებები. და ეს კომუნიკე ზუსტად ადასტურებს ვალდებულებებს — მშპ-ს 2 პროცენტიდან 4 პროცენტამდე გაზრდას 2024 წლისთვის“, — აღნიშნა მაკრონმა.

„დღეს ჩვენ ვრჩებით იმ პოზიციებზე, რომლებიც მივიღეთ და რომელთა რეალიზება აუცილებელია“, — დაამატა საფრანგეთის ლიდერმა.

**მათი მთავარი მწვრთნელი ჩერჩესოვი ჩეგევარას შეადარეს, თქვენ კი დგახართ და „ჰაჰა“-ო დასცინით... რას დასცინით და რა გიხარიათ: ოკუპანტისა და მტრის ასეთი ისტორიული წარმატება? თან ვინ „ჰაჰაობთ“ — იმ ქვეყნის მოქალაქეები, რომლის საფეხბურთო ნაკრებმა ლუქსემბურგის მსოფლიოში ყველაზე სუსტ გუნდთან წააგო? იმ ლუქსემბურგისა, რომელსაც არსებობის იტორიაში ერთადერთი გოლი აქვს გატანილი და ისიც საქართველოს კარში.**



ბაქარ სვანიძის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მსოფლიო ჩემიონატი ჩამოიშალა...
უი, უკაცრავად! კი არ ჩამოიშალა, ჩამთავრდა. მინდოდა, მეთქვა, რომ ჩამოშლილ, დანგრეულ, გაუბედურებულ და მიწასთან გასწორებულ, სანქციებდადებულ რუსეთში ტრიუმფალურად დასრულდა მსოფლიოს ნომერ პირველი საფეხბურთო ზეიმი. განსაკუთრებით სასიხარულოა, რომ ამ მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილეებსა და გულშემატკივრებს სამუდამოდ დავამახსოვრეთ თავი ქართველებმა.**

# ჩვენი «ჰაჰართველო» აქ არის, ანუ ხომ დავუჭყლიტეთ რუსეთს პომიდორები?!

ლამაზი ფეხბურთით? — არა! ჩვენი ნაკრები ხომ, მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე კი არა, შესარჩევი ჯგუფის შუაგულშიც ველარ ტივტივებს და უსასრულოდ მიისწრაფვის ფსკერისკენ... მაშ, რით? საქმეც ეგაა და სწორედ ამიტომ დაგვიმახსოვრა მსოფლიომ, რომ მსგავსი პრეცედენტი ჯერ არავის ახსოვს. **ქართველები, ფაქტობრივად, მსოფლიოს ჩემპიონები გავხდით „ჰაჰავში“. დიახ, ეს სპორტის ერთგვარი ახალი სახეობაა, რომელსაც საქართველოში საკმაოდ ბევრი მიმდევარი გამოუჩნდა, და მათ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ძალიან პროფესიონალურადაც „ჰაჰაობენ“.**

ოფიციალური ინფორმაციით, საქართველოს მოქალაქეების გარკვეულმა ნაწილმა გადაწყვიტა, დაეცინა რუსეთის ნაკრებისთვის და რუსეთის ფეხბურთის ფედერაციის „ფეისბუკ“-გვერდზე გაგზავნეს ერთნაირი კომენტარი: „ჰაჰა“. ეს მოხდა მას შემდეგ, რაც რუსეთის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატს გამოეთიშა, ხოლო ქართველმა „ძაან პატრიოტებმა“ გადაწყვიტეს, ეს ამბავი რუსების დასაცინი თემააო და კიდეც „დაუჰაჰავეს“ რუსებს გვერდი.

მესმის, რომ ჩვენი გაზეთი სპორტული გაზეთი არ არის და მკითხველს შეიძლება კიდეც გაუკვირდეს, რატომ ვუთმობთ ასეთ ყურადღებას ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატს, მაგრამ საქართველოს საზოგადოებრივ არხზე და სოციალური ქსელის ქართულ სეგმენტზე ეს მსოფლიო ჩემპიონატი რომ ყველაფერი იყო, ფეხბურთის გარდა, ალბათ, ბევრი დამეთანხმება.

ხორვატების მიერ გადამწყვეტი პენალტის გატანისას ქართველი ტუტუცი კომენტატორის მიერ წამოძახებული „შიგ — კრემლში!“ რად ღირს მარტო. ან ის მარაზმი, რომელიც მანამდე დააბრეხვა იმავე კომენტატორის მეწყვილემ, მაშინ, როდესაც პენალტს რუსი ფეხბურთელი ასრულებდა — „პირდაპირ მოგიწოდებთ, ვისაც როგორ შეგიძლიათ, რაც იცით, ყველაზე მაგარი დათარსვა, ყველამ ერთად დავთარსოთ რუსეთის ნაკრები“.

მთელ ამ ამბავში ყველაზე დიდი უბედურება ისაა, რომ არსებობენ ადამიანები, რომლებიც ვერ იგებენ, რატომ ვლაპარაკობ ირონიით ასეთ „პატრიოტრებზე“. როდესაც სოციალურ ქსელში ირონიულად გამოვეხმაურე ფეხბურთის ქართველი კომენტატორების ასეთ უტვინობას და ქართველი „გულშემატკივრების“ სამარცხვინო „ჰაჰაობას“, ზოგიერთმა მომწერა: „მერე რა მოხდა?! გაუხარდათ ადამიანებს მტერი ქვეყნის ნაკრების გამოვარდნა მსოფლიო ჩემპიონატიდან და აღნიშნეს, რა არის ამაში ცუდი?“

სიმართლე გითხრათ, ყველაზე დიდი ტრაგედია სწორედ ის არის, რომ ზოგი მართლა ვერ ხვდება, რა არის ამაში ცუდი და მიუღებელი. კი, ბატონო, ადამიანს შეიძლება გაგიხარდეს მტრის წარუმატებლობა, თუნდაც ფეხბურთში, მაგრამ მისთვის ასეთი გადაჭარბებული მნიშვნელობის მიცემა, უბრალოდ, სიტუტუცეა. ეს იმას ჰგავს, ერთი ადამიანი მეორეს რეალურად რომ ვერაფერს უბედავს და სასაცილოდ „ეშპილკავება“. ბავშვობაში ერთი მეზობელი მყავდა, რომელსაც უბნელი ტიპი ჩაგრავდა ხოლმე — როცა დათვრებოდა, ხან აგინებდა, ხანაც თავში წაუთაქებდა. ეს „დაჩაგრული“ კი ვერაფერს უბედავდა, ხამადაბალი წაწუწუნების გარდა. ერთხელაც, ვხედავ, ეს „მჩაგვრელი“ ხილბოსტნის მაღაზიიდან მოდის კარგად შეზარხოშებული, ხელში სავსე ცელოფნებით. ერთი პარკი, როგორც ჩანს გახეულა და ყოველ 5 ნაბიჯში თითო პომიდორი ვარდება ასფალტზე. უკან ის „დაჩაგრული“ ტიპი მოჰყვება და ამ პომდვრებს ჩუმად ჭყლეტს ფეხით, სახეზე კი უზომო სიამოვნება აწრია. ცოტა ხანში ერთ-ერთმა შემხვედრმა უთხრა „მჩაგვრელს“: პომიდორები გიცვივათო. „დაჩაგრული“, იგრძნო რა საფრთხის მოახლოება, იმ წამს მოტრიალდა და ზუსტად იმ სადარბაზოში შემოვარდა, რომელშიც უბნელი ბიჭები ვიდექით.

მოკლედ, მოიხედა მჩაგვრელმა უკან და რომ დაინახა ეს საგულდაგულოდ დაჭყლეტილი პომიდორები, კი გაუკვირდა, მხრები აიჩეჩა, მაგრამ მაინც ღიღინ-ღიღინით განაგრძო გზა. სადარბაზოში შემოვარდნილი „ჩაგრული“ კი ამას აღფრთოვანებული ადევნებდა თვალს. მერე ბიჭებს მოგვიბრუნდა: „აგე, ასე ვიცი მე სამაგიეროს გადახდა! დიდხანს ვითმენ მარა, თუ ამომასხა და გადამეკეტა, არავის არაფერს შევარჩენ. აწი ისწავლის ეგ ჭკუას, ხომ დავუჭყლიტე პომიდორები?!“

მაშინ კი ბევრი ვიცინეთ ბიჭებმა, მაგრამ, ახლა რომ ვუყურებ, ეს ცრუპატრიოტები როგორი რიხით „უჭყლეტენ პომიდორებს“ რუსეთს, ცრემლი უფრო მადგება თვალზე, ვიდრე მეცინება.

**ასე ულირსი, ასე გასაცოდავებული, ასე გამოშტერებული ქართველი საზოგადოების ეს არც თუ მცირე ნაწილი მართლა ძალიან ამაზრზენი საყურებელია. მტერთან, ოკუპანტთან თუ ვისთანაც გინდა, როდესაც რეალურად და პრაქტიკულად არაფრის თავი არ გაქვს და ასე საჯაროდ და სამარცხვინოდ მოუწოდებ ქვეყნის მთავარი ტელევიზით ხალხს მისი საფეხბურთო გუნდის „დათარსვისკენ“, ამაზე მეტი „პომიდორების ჭყლეტა“**




**ქართველები, ფაქტობრივად, მსოფლიოს ჩემპიონები გავხდით «ჰაჰავში». დიახ, ეს სპორტის ერთგვარი ახალი სახეობაა, რომელსაც საქართველოში საკმაოდ ბევრი მიმდევარი გამოუჩნდა, და მათ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ძალიან პროფესიონალურადაც «ჰაჰაობენ»**

**რაღა უნდა იყოს?!**

მით უმეტეს, როცა ხალხის ნაწილი მას დიდი შემართებით ჰყვება ამ „პომიდორების ჭყლეტაში“ და არის ერთი ჟივილ-ხივილი და კომენტატორების „გმირებად“ შერაცხვა.

ვიმეორებ: **კი, ბატონო, გამოხატე შენი მიწების ოკუპანტის მიმართ უარყოფითი განწყობა, მაგრამ ხომ შეიძლება ეს ცოტა ღირსეულად გააკეთო და არა გაბუტული და განაწყენებული ბავშვებივით „თარსი კატას“ ძახილით?!** თუმცა გია თვალაბეიშვილის (ზედმეტსახელად „თვალიას“) ამ საყოველთაო საჯარო დათარსვასაც გადააჭარბა გიორგი ზურაბიშვილის სისულელეებმა, ბოლოს კი მოსკოვში გადაღებული ფოტოთი მისმა „პატრიოტულმა“ მარიაჟობამ. ზურაბიშვილმა „ფეისბუკზე“ ატვირთა ფოტო — მას აცვია მაისური, რომელზეც გამოსახულია არათანაბრად გაყოფილი ფეხბურთის მოედანი, რაც სიმბოლურად რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე „გადმოწეულ“ საზღვრებს ნიშნავს. ამ ფოტოს სოციალური ქსელის ზოგიერთი ქართველი მომხმარებლის აჟიტირებული კომენტარები მოჰყვა.

„ჩემს თვალში გმირია ეს კაცი. მოსკოვში ასეთ მაისურით სიარულს გაბედვა, გმირობა უნდა!“ — წერდნენ აღფრთოვანებული ძალადპატრიოტები. არადა, ფოტოზე ერთი შეხედვითაც კარგად ჩანს, რომ ზურაბიშვილს სპეციალურად აქვს მონახული ცარიელი „ლუჟნიკების“ ფონი ამ ფოტოს გადასაღებად. გარშემო კაციშვილის ჭაჭანება არ არის, ხოლო „გმირს“ ცალი ხელით მიკროფონი ისე უჭირავს და მეორე ხელით გამარჯვების („ვიქტორია“) ჟესტს ისე აკეთებს, რომ ფაქტია, მაისურის დამალვას ცდილობს შემთხვევითი გამვლელების თვალისგან — ემანდ არავინ შემამჩნიოს და არ დამახიოს თავზეო. დააკვირდით ფოტოს და მითხარით, ოდესმე გინახავთ ასე ჭიპთან დაჭერილი მიკროფონი ან კიდევ გამარჯვების ჟესტი არა შემართული ხელით, არამედ იდაყვში მოხრილი, მაცხენა ფილტვთან გაჩერებული გაფარჩხული თითებით?

აი, ასე ემუქრებიან კრემლს და პუტინს ჩვენი ძაანპატრიოტი კომენტატორები. ერთი ქართული ფილმის პერსონაჟი ცხენს მუქარით შემოახტება და რიხით ყვირის: „მოიდა ზურაბა!“. არადა, ვისაც ემუქრება, მასთან მისული, ჭიქას-ჭიქაზე უჭახუნებს და ძმობას ეფიცება. აი, ასეთი „მოიდა ზურაბების“ ცვენაა დღეს საქართველოში და „თარსი თვალიები“ ბანს აძლევენ.

არადა, დარწმუნებული ვარ, ამ „მოიდა ზურაბამ“ ის „ანტისაოკუპაციო“ მაისური სწორედ იმ ერთი, „ფეისბუკზე“ ასატვირთად გამიზნული ფოტოს გადასაღებად ჩაიცვა. მერე რომ გაიხადა, აშკარად ჩემოდნის ყველაზე შორ კუთხეში ჩაკუჭა და მანამდე არც ამოუღია, სანამ თბილისში ჩამსულმა „თარსი თვალიას“ არ გადასცა სამახსოვროდ.

და ბოლოს, ისევ „მოჰაჰავე“ ქართველებს მივუბრუნდეთ და კიდევ ერთხელ ვთქვათ: კაი, ჯანდაბას, **შეიძლება ადამიანს მტრის წარუმატებლობა გაგიხარდეს და, ჰა, ჯანდაბას, ძალიან გამწარებულმა შეიძლება ფეხბურთიც მიაბა პოლიტიკას... მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში რომელი „წარუმატებლობა“ „დავუჰაჰავეთ“ ქართველებმა რუსებს: მსოფლიოს საუკეთესო 8 გუნდში მოხვედრა? მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი ესპანეთის გამოგდება „ფლეიოფიდან“ თუ მსოფლიოს ვერცხლის პრიოზიორ ხორვატიის ნაკრებთან პენალტების სერიით წაგება?** მინდა, მკითხველმა კარგად გაიაზროს, რას ვამბობ, თუმცა აქ გასააზრებელი არც არაფერია, მაგრამ ამ ბოლო დღეებში ცხოვრებაში, ტელევიზორში და სოციალურ ქსელში იმდენი სირეგვნე ვნახე და მოვისმინე, მაინც ვფრთხილობ!

ხალხო, რუსეთის ნაკრებისთვის მსოფლიოს საუკეთესო 8 გუნდიდან გამოვარდნა არის უდიდესი წარმატება და მე (ჩემნაირებსაც!) რომ მაძალებთ, — მტრის წარუმატებლობა თუ არ გაგიხარდა და თუ არ „დაუჰაჰავებ“ სამშობლოს მოღალატე იქნებიო, — მართლა ამ დონის რეგვნები ხართ თუ სხვა გგონიათ რეგვენი? ასეთი შედეგის გამო რუსეთის ნაკრებს ქუჩებში ოვაციებით ხვდებიან. **მათი მთავარი მწვრთნელი ჩერჩესოვი ჩეგევარას შეადარეს, თქვენ კი დგახართ და „ჰაჰა“-ო დასცინით... რას დასცინით და რა გიხარიათ: ოკუპანტისა და მტრის ასეთი ისტორიული წარმატება? თან ვინ „ჰაჰაობთ“ — იმ ქვეყნის მოქალაქეები, რომლის საფეხბურთო ნაკრებმა ლუქსემბურგის მსოფლიოში ყველაზე სუსტ გუნდთან წააგო? იმ ლუქსემბურგისა, რომელსაც არსებობის იტორიაში ერთადერთი გოლი აქვს გატანილი და ისიც საქართველოს კარში.**

ამ კითხვების რიტორიკულობა თავისთავად აშკარაა, მაგრამ მე ის მაინტერსებს, ასეთ „ჰაჰართველოს“ ოდესმე, ნეტავ, მართლა თუ ეშველება რამე. თუმცა ხალხი, რომელსაც ხორვატიის ცანცარა პრეზიდენტის — კოლინდა გრაბარ-კიტაროვიჩის სამარცხვინო ხუნტრუცი აღაფრთოვანებს და რომელიც ნატრობს: „ვაიმე, მეც მინდა ჩემს ქვეყანაში ასეთი პრეზიდენტიო“, გასაგებია, საბოლოოდ რა სახელმწიფოს მიიღებს... მამრობითი „კოლინდა“ უკვე გვყავდა პრეზიდენტად, ახლა უკვე დიდი ძუძუებია მთავარი, თორემ სხვა რა კრიტერიუმს უნდა აკმაყოფილებდეს კიდევ ჩვენისთანა ტუტუცი სახელმწიფოს პრეზიდენტი?!

საკითხავი აი ეს არის...

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„შეგნებული ერი არც ერთს თავის სიმდიდრეს არ ეპყრობა ისეთი სიფრთხილით და ყურადღებით, როგორც თავის ენას... საღი აზროვნება ყოველთვის განსაზღვრული, ნათლად გამოკვეთილი ენის ტერმინებში ყალიბდება, დღევანდელი ქართველობა კი არ ხმარობს ასეთ განსაზღვრულ ენას, ამიტომ მისი აზროვნება უფორმო და უენერგიოა".**

# «დღეს არ არსებობს ძლიერი, ფართო მასშტაბის ქართული აზროვნება»

მკითხველს ვთავაზობთ გერონტი ქიქოძის ერთ შესანიშნავ იდეოლოგიურ წერილს „ენა და ეროვნული ენერგია", რომელიც დაიბეჭდა 1914 წელს „სახალხო ფურცელში". მაშინ ავტორი მხოლოდ 29 წლისა იყო. ამ წერილით ბევრ რამეს ისწავლის ერის ბედზე დაფიქრებული კაცი. ეს წერილი ძალიან აქტუალურია დღესაც, რადგან საქართველოში ქართული ენისა და კულტურის ყოვლისმომცველად გავრცელების აუცილებლობასა და შესაძლებლობაზე გვესაუბრება.

„საღი აზროვნება ყოველთვის განსაზღვრული, ნათლად გამოკვეთილი ენის ტერმინებში ყალიბდება, დღევანდელი ქართველობა კი არ ხმარობს ასეთ განსაზღვრულ ენას, ამიტომ მისი აზროვნება უფორმო და უენერგიოა. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ დღეს არ არსებობს ძლიერი, ფართო მასშტაბის ქართული აზროვნება", — ვკითხულობთ წერილში და უნებლიეთ გვიჩნდება კითხვა: დღეს არსებობს კი ძლიერი, ფართო მასშტაბის ქართული აზროვნება?

1914 წელს საქართველოს არ ჰქონდა თავისი სახელმწიფოებრიობა და მაშინ ამგვარი ოპტიმისტური და ეროვნული წერილის დაწერა გერონტი ქიქოძის მტკიცე მამულიშვილურ თვითშეგნებაზე და დიდი იდეოლოგისათვის დამახასიათებელ მომავლის განჭვრეტაზე მიგვითითებს.

ძმობის, ერთობისა თავისუფლების იდეები სხვა ხალხებსაც უტარებიათ, მაგრამ ბიძაშვილობის, სტუმართმასპინძლობის, სხვებისთვის თავის გაწირვის ჩვეულება ასეთი გამჯდარი სისხლსა და გენში ბევრ ერს შეიძლება არ ჰქონდეს. ეს კი შემთხვევით არ ხდება, როგორც ჩანს, ღმერთი რაღაცისთვის გვამზადებს, რაღაცით უნდა დავეხმაროთ კაცობრიობას...

თუმცა მანამდე არა ერთი გამოწვევისათვის პასუხის გაცემაა საჭირო, არა ერთი ხიფათია გადასატანი და განსაცდელთაგან უფალი გვიცავს...

ამ გზაზე გერონტი ქიქოძისა და სხვა დიდი იდეოლოგების ნააზრევს დიდი მნიშვნელობა აქვს.

გერონი ქიქოძის წინამდებარე წერილში დაკვირვებული მკითხველი უამრავ საგულისხმოს იპოვის.

# ენა და ეროვნული ენერგია

ეროვნული სულის სიმდიდრე და სიძლიერე ან კიდევ მისი სიღარიბე და უილაჯობა არსად იხატება ისე ნათლად და ხელშესახებად, როგორც ენაში. ენა ააშკარავებს როგორც აზრთა მორჭმულობას და გრძნობათა მრავალფეროვნებას, ისე ეროვნული ტემპერამენტის სიცხოველესაც. ეს იმიტომ, რომ **ენა არი სიტყვათა და გამოთქმათა მკვდარი ლექსიკონი, ის ცოცხალი სალაროა იდეათა და ემოციათა.**

დღეს საყოველთაო ჭეშმარიტებადაა ცნობილი ის დებულება, რომ ენა და აზროვნება ორი სხვადასხვა მხარეა ერთი და იმავე სულიერი პროცესისა. იდეას მხოლოდ სიტყვის შემწეობით ეძლევა ნათელი და მკვეთრი კონტური, წინადადების, ანუ სიტყვიერი გამოთქმის წყობილება სავსებით ეთანაბრება აზროვნების მიმდინარეობას. ამიტომ ენის სხვადასხვაობა ყოველთვის აზროვნებისა და სულის სხვადასხვაობას მოწმობს მრავალი გზით. **ორ მეზობელ ერს ვერავითარი ბუნებრივი და ხელოვნური ზღუდე ვერ აშორებს ისე, როგორც მათი ენა.**

**მაგრამ ენა არ არი მხოლოდ გათიშვის იარაღი: ის ძლიერ შემაერთებელი და შემადუღებელი ელემენტიცაა. მისი შემწეობით ეროვნული ენერგია უდიდეს კონცენტრაციას აღწევს იმიტომ, რომ ის აკავშირებს არა მარტო ცოცხალ თაობებს ურთიერთ შორის, ის ერთიმეორეს უახლოვებს წარსულს, აწმყოს და მომავალსაც.** აი, აქ იჭერენ მიცვალებულნი ცოცხალთ. ისინი მათ ანდერძად უტოვებენ სიტყვათა და გამოთქმათა საუნჯეს. მაგრამ, რადგან სიტყვა იდეის კალაპოტშია, **შთამომავლობა წინაპრებისაგან სიტყვასთან ერთად ტრადიციულ იდეასაც ღებულობს მემკვიდრეობით.**

აქედან ცხადია, რომ, **რაც უფრო მდიდარია ამა თუ იმ ერის ისტორიული წარსული, მით უფრო მდიდარია მისი სული, მით უფრო მრავალფეროვანია მისი ენა.** კულტუროსანი ენის რიტმი მარტო გარეშე საგანთა ფხიზელ შთაბეჭდილებას როდი იძლევა. ის ააშკარავებს ძველისძველ ჩვეულებებს, დრომოჭმულ ტრადიციებს, აჩრდილისებურ ცრუმორწმუნეობებს, ის ხატავს ულრან ტყეებს და თვალუწვდენელ მინდვრებს, რომელნიც ერთ დროს ცის ტატნობს საზღვრავდნენ, ის გვანიშნებს საგანთა ბნელ სულთ, რომელნიც ჩვენს შორეულ წინაპართათვის არსებობდნენ და ჩვენთვის აღარ არიან.

ამიტომაა, რომ **შეგნებული ერი არც ერთს თავის სიმდიდრეს არ ეპყრობა ისეთი სიფრთხილით და ყურადღებით, როგორც თავის ენას.** ის მას ერთი მხრით სწმენდს უცხო ელემენტებისაგან, მეორე მხრით მის გარეთ გატანას ცდილობს. ამგვარად იბადება ორი მიმდინარეობა, ორივე დამახასიათებელი ეროვნული ენერგიისათვის: **მოძრაობა პურისტული და მოძრაობა ექსტენსიური.** პირველი, უწინარეს ყოვლისა, სინტაქსისა და ლექსიკონის სფეროში აშკარავდება; მეორე კი ყველაზე ძლიერ სიტყვაკაზმული მწერლობის შემწეობით ხორციელდება. ენის ლექსიკონი იზრდება და იწმინდება ეროვნული აქტივობის წყალობით, მისი სინტაქსი თანდათან ყალიბდება. ამგვარად, განმტკიცებული ენა უპირდაპირდება დაუმთავრებელ, უსუსურ, უკულტურო ენებს და ამარცხებს მათ: ამარცხებს არა ძალმომრეობით, არამედ პოეზიისა და ლიტერატურის შემწეობით.

ენერგიული ერები — ფრანგები, ინგლისელები, რუსები, გერმანელები თავიანთ ენას თანდათან უფართოებენ სამოქმედო ასპარეზს, როგორც ამას ძველი რომაელები შვრებოდნენ. როგორც ერთ დროს ლათინური, ისე ახლა ფრანგული, გერმანული და ინგლისური სცილდება ნაციონალურ საზღვრებს და ინტერნაციონალურ კუთვნილებად ხდება. **ენა უფრო ბასრი იარაღი აღმოჩნდა, ვიდრე შუბი ან ხმალი იყო და პოეზიამ შესძლო ის, რაც ვერ შესძლო ვერც თოფმა, ვერც ზარბაზანმა.**

ძველი ქართველობა ენერგიული ერების რიცხვს ეკუთვნის. მისი ენერგია გამოიხატა არა მარტო მის მიერ გათხრილ არხებსა, მის მიერ აგებულ ტაძრებსა და ციხე-კოშკებსა, მის მიერ განცდილ ომებში: ეს ენერგია მის ენასა და ლიტერატურაშიც გამოაშკარავდა. **თავის მეზობლებს ქართველობამ შეათვისებინა თავისი საეკლესიო ენა და სასულიერო ლიტერატურა, თავის მეზობლებს მან თვალწინ დაუყენა საუკეთესო ნიმუში ეროვნულად გამოკვეთილი საერო პოეზიისა.**

**თვით ნასესხებ, უცხოეთიდან გადმოტანილ ლიტერატურაში მან ძლიერი ნაციონალური ელემენტები შეიტანა. სპარსული პოემები და რომანები მან უფრო გადმოაქართულა, ვიდრე გადმოთარგმნა**: ერთი გერმანელი მეცნიერისა არ იყოს, „ვისრამიანი" კიდევ უფრო თამამად შეიძლება ქართულ ეპოსად ჩაითვალოს, ვიდრე „ტრისტანი და იზოლდა" — გერმანულად.

ქართული ენის სამოქმედო ასპარეზი თანდათან შევიწროვდა უკანასკნელი საუკუნის განმავლობაში; მან ზედიზედ დაკარგა სახელმწიფო დაწესებულებები, სკოლა, ოჯახი. ამასთან ერთად, ის შეირყვნა და გადაგვარდა უცხო ელემენტების გავლენით.

**საღი აზროვნება ყოველთვის განსაზღვრული, ნათლად გამოკვეთილი ენის ტერმინებში ყალიბდება, დღევანდელი ქართველობა კი არ ხმარობს ასეთ განსაზღვრულ ენას, ამიტომ მისი აზროვნება უფორმო და უენერგიოა.** გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ **დღეს არ არსებობს ძლიერი, ფართო მასშტაბის ქართული აზროვნება.** იოანე პეტრიწის, შოთა რუსთაველის, ვახტანგ მეექვსისა და დავით გურამიშვილის მემკვიდრეები იშვიათად სცილდებიან პაწია ესკიზებსა, მინიატურებსა და კუპლეტებს და უზომოდ იტანჯებიან, როცა რაიმე შემთხვევა მათგან მეტ გონებრივ ენერგიას მოითხოვს.

აუცილებელზე აუცილებელია ჩვენი ამ მდგომარეობიდან გამოსვლა. ამისათვის კი საჭიროა არა მარტო ჩვენი კლასიკური მწერლობის შესწავლა, არამედ ხალხური ენის გაცნობაც. **ქართული ლიტერატურული ენა ისე უნდა გაიწმინდოს, რომ არ გაღარიბდეს.** მწიგნობართა ენა, უწინარეს ყოვლისა, აბსტრაქტული ტერმინებითაა მდიდარი: მხატვრული, ცხოველფერადებიანი სიტყვები უფრო ხალხურ ლაპარაკში უნდა ვეძიოთ. მაგრამ ხალხი სხვადასხვა კილოს ხმარობს სხვადასხვა პროვინციაში. ცხადია, ლიტერატურულ ენას საფუძვლად უნდა დაედოს განსაზღვრული პროვინციის კილო, რომელიც ისტორიული, სოციალური და ესთეტიკური უპირატესობით არის აღჭურვილი. ასეთი კილო ქართლურია.

რასაკვირველია, ქართლის ლექსიკონი უნდა გამდიდრდეს სხვა პროვინციებიდან შემოტანილი სიტყვებით, მაგრამ სამწერლო ენის ძირითადი ფონდი მაინც ქართლური უნდა დარჩეს. ასეთი ენა გამოგვიყვანს თანამედროვე ბაბილონისებურ მდგომარეობიდან, ასეთი ენა საუკეთესო იარაღი იქნება მთლიანი საქართველოს იდეის გასამტკიცებლად. ის ხელს შეუწყობს ძლიერი ეროვნული აზროვნების განვითარებასაც.

მაგრამ მარტო ენის გაწმენდა როდი კმარა ეროვნული ენერგიის გასაღვივებლად: **ენისთვის საჭიროა ფართო სოციალური საფუძვლის შექმნაც,** ამ მხრივ კიდევ უფრო მეტი გვაქვს გასაკეთებელი. ჩვენს დედაენას ხელახლა უნდა დავუპყროთ ის პოზიციები, უკანასკნელ საუკუნის განმავლობაში რომ დაჰკარგა.

დღეს შეგვიძლია იმის თქმა, თუ სად შეჩერდება მომავალში ეს ლტოლვა. მართალია, თანამედროვე ქართველობას აღარ ძალუძს ფართო საერთაშორისო პოლიტიკის წარმოება; მართალია, ქართული ლიტერატურა ისეთი ღირებულებას არ წარმოადგენს, რომ მისი შემწეობით შეიძლებოდეს სხვა ერების სულიერი დაპყრობა, მაგრამ თვით ჩვენი სამშობლოს ტერიტორიაზე მოიპოვებიან სხვა ერების წარმომადგენლები, რომლებიც ძალაუნებურად დაემორჩილებიან ჩვენი ენისა და კულტურის ზეგავლენას, თუკი სათანადო ენერგიას გამოვიჩენთ. **ჩვენ არავის ვაიძულებთ, ჩვენს სამშობლოში ეძიოს ბედნიერება, მაგრამ, რაკი უცხოელები თავისი სურვილით მოდიან და ჩვენს მიწა-წყალზე ესახლებიან, ჩვენ ზნეობრივი უფლება გვაქვს, ვურჩიოთ, რომ ჩვენი კულტურა შეითვისონ, ჩვენი ენა შეისწავლონ.**

წმინდა ქართული ენა იმდენად მდიდარი, კულტურული და კეთილხმოვანია, რომ ის ჭეშმარიტად ღირსია მეტი პატივისცემისა. ის მზადაა, გამოხატოს უმძიმესი ფილოსოფიური იდეები და უმსუბუქესი ეროტული სენსაციები. ის ხან მკვეთრი და ძლიერია, ვით გრდემლის და კვერის შეხვედრა, ხან ნაზი და ტკბილი, ვით პირველი ღიმილი შეყვარებული ქალ-ვაჟისა. ის ხატავს ჩვენს მოღუშულ მთებსა და მოღიმარე მდელოებს, ვეშაპის ხმიან ჩვენს ჩანჩქერებსა და ჩხრიალა მდინარეებს, ჩვენს ულრან ტყეებსა და პიტალო კლდეებს. მის რიტმში ჩვენ გვესმის შორეული სიმღერა ომში მიმავალი რაინდებისა.

**1914 წელი,**
**„სახალხო ფურცელი"**


სახალხო ფურცელი
№ 281
ქალაქის გამგეობა
ვაჟა-ფშაველას
ქართული საბ
მ. ე. ლალიძე და ამ.

„სახალხო ფურცელი"

**ჩვენ არავის ვაიძულებთ, ჩვენს სამშობლოში ეძიოს ბედნიერება, მაგრამ, რაკი უცხოელები თავისი სურვილით მოდიან და ჩვენს მიწა-წყალზე ესახლებიან, ჩვენ ზნეობრივი უფლება გვაქვს, ვურჩიოთ, რომ ჩვენი კულტურა შეითვისონ, ჩვენი ენა შეისწავლონ**

**ცნობისთვის:**

**ქართული პოლიტიკური და ლიტერატურული ყოველდღიური გაზეთი „სახალხო ფურცელი" სოციალ-ფედერალისტთა პარტიის ორგანო იყო. გამოდიოდა 1914-1917 წლებში თბილისში, გაზეთ „სახალხო გაზეთის" ნაცვლად; 1917-1921 წლებში „სახალხო საქმე" ერქვა. 1914-1917 წლებში გაზეთს ჰქონდა ყოველკვირეული „სურათებიანი დამატება"; რედაქტორ-გამომცემელი გახლდათ დ. ჟორჟაძე.**

**რუბრიკას უძღვება დარეჯან ანდრიაძე**

საკითხავი აი ეს არის...
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ის, რაც ვერ გააკეთა შაჰ აბასმა, ახლა ვცდილობთ, ჩვენ გავაკეთოთ: სოფლებიდან მოსახლეობა „გამოვწოვოთ“ და ეს ადგილები სწორედ შაჰ აბასის შთამომავლებს გადავულოცოთ, თანაც ისე, რომ არც გავიბრძოლოთ. ჰოდა, იქნებ ჯობდეს, სოფლების დაცარიელებაზე მეტად იმაზე ვიფიქროთ, რომ როგორმე გლეხს მხარში ამოვუდგეთ, საარსებო პირობები შევუქმნათ, რათა სოფელი ისევ სოფელს დავამსგავსოთ, იმ სოფელს, რომელშიც მოსახლეობის ძირითადი ნაწილი მიდიოდა დასასვენებლად და საკუთარ კარ-მიდამოს ავად თუ კარგად უვლიდა; იქ მოკრეფილ ხილსა და ბოსტნეულს კი სხვა გემო ჰქონდა — სოფლის გემო, ნატურალური გემო.

# ის, რაც ვერ გააკეთა შაჰ აბასმა...

**დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ერთ-ერთი სერიოზული პრობლემა, რომელიც საქართველოს აქვს, სოფლების მოსახლეობისგან დაცლაა. საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ პრაქტიკულად ყველა რაიონში გაჩერდა საწარმოები, რომლებშიც სოფლის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი იყო დასაქმებული. შედეგად, გლეხი დარჩა მხოლოდ ერთი მტკაველი მიწისა და ორმეტრიანი თოხის იმედად. ბუნებრივია, გაუჭირდა ოჯახის რჩენა და გეზი ან დედაქალაქისკენ აიღო, ან სხვა ქვეყნისკენ. მივიღეთ ის, რომ სოფლები ნასოფლარებს დაემსგავსა და ეს განსაკუთრებით მაღალმთიან რეგიონებზე ითქმის, როგორიცაა რაჭა, ლეჩხუმი, სვანეთი, ფშავ-ხევსურეთი... დღეს ამ მხარეებში არის სოფლები, რომლებშიც 1-2 კომლი ცხოვრობს ან საერთოდ არავინ.**




**მსოფლიოში ცნობილი ბრენდი Hipp-ის წარმომადგენელი აცხადებს: «თქვენთან ნატურალურ პროდუქციას ვამზადებთ, რომლის შესყიდვის უნარიც მოსახლეობას არ აქვს, რადგან ძვირია, უცხოეთიდან კი პროდუქცია მინარევებით შემოდის, რასაც ქართველი მოსახლეობა სიიაფის გამო ყიდულობს!»**

სხვათა შორის, როცა „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში მოსვლას აპირებდა, ბიძინა ივანიშვილმა სოფლის მეურნეობაში მილიარდიანი ინვესტიციის ჩადება დააანონსა და განაცხადა: გლეხს სოფელში დავაბრუნებთო. სხვა დაპირებების დარად, ეს დაპირებაც ჰაერში გამოკიდებული დარჩა: მას შემდეგ სოფლებში ხალხი კი არ დაბრუნებულა, პირიქით — სოფელი კიდევ უფრო დაიცალა. ამ ფონზე არაადეკვატურია საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის („ჯი-აი-ჯი“) გენერალური დირექტორის მრჩევლის — **ლევან ვეფხვაძის** ეს განცხადება:

„საქართველოს ეკონომიკას ინდუსტრიული წარმოების განვითარება აკლია. ამ კუთხით საკმაოდ დიდი წყვეტა არსებობს ქვეყანაში, რადგან საბჭოთა კავშირის დროსაც საქართველო აგრარული ქვეყანა იყო და ვერავინ იტყვის, რომ ამ მიმართულებით განსაკუთრებული წარმატება გვქონდა. ამიტომ ვფიქრობ, რომ ეკონომიკის სამინისტროს მთავარი მიმართულება უნდა იყოს ტექნოლოგიების შემოტანა, ინვესტიციების შემოტანა და ამ კუთხით ინდუსტრიული წარმოების განვითარება, იმიტომ, რომ დღეს სოფლებში არის ჭარბი მოსახლეობა და მათი გაწოვა სწორედ ინდუსტრიულ ცენტრებში უნდა მოხდეს“.

ცნობისთვის: „ჯი-აი-ჯი“ საქართველოში ერთ-ერთი უმსხვილესი ინდუსტრიული ჯგუფია. მისი შვილობილი კომპანიაა „საქნახშირი“. მხოლოდ იმის აღნიშვნა, რომ „საქნახშირის“ მიერ ტყიბულში განხორციელებულმა სამუშაოებმა რამდენი ადამიანი შეიწირა, ალბათ, საკმარისი არ იქნება, რადგან დღემდე ბჭობენ იმაზე, რომ ტყიბულის მაღაროებში არ არის დაცული უსაფრთხოების ნორმები, თუმცა ისევ ვეფხვაძის განცხადებას დავუბრუნდეთ, რომელიც სხვათა შორის, ყოფილი პარლამენტარია, მაგრამ საკანონმდებლო ორგანოში სოფლის მიმართულებით მას განცხადებები არ გაუკეთებია.

ახლა — რაც შეეხება ინდუსტრიულ ცენტრებს: ისიც გვახსოვს, ქუთაისში ტექნოლოგიური უნივერსიტეტი რომ უნდა აშენებულიყო ჭაობის ადგილას, მაგრამ იქ ახლაც ჭაობია. 6 წლის განმავლობაში ქვა ქვაზე არ დადებულა და იმ ადგილიდან, საიდანაც, წესით, სტუდენტების ჟრიამული უნდა ისმოდეს, ბაყაყების ყიყინი ისმის კვლავ. და, ბატონი ლევანი რომ ამბობს, ინდუსტრიული ცენტრები უნდა შევქმნათო, უმარტივეს კითხვას დავუსვამთ: საიდან მოგაქვთ ამ ცენტრების შესაქმნელი ფული? ინვესტორები საქართველოში სანთლით საძებარია, რეალურად ხელისუფლებას უჭირს — არასტაბილური ბიზნესის გარემოსა და წილების გაუთავებელი გადანაწილების გამო, უცხოელები ინვესტირებას ერიდებიან. სამაგიეროდ, სწორედ სასოფლო-სამეურნეო მიწებით არიან დაინტერესებულნი ირანელები, ინდოელები, ჩინელები და ვეფხვაძის მტკიცება „საბჭოთა კავშირის დროსაც საქართველო აგრარული ქვეყანა იყო და ვერავინ იტყვის, რომ ამ მიმართულებით განსაკუთრებული წარმატება გვქონდა“, ჩანასახშივე ქარწყლდება. ანუ, **რესურსი იმისა, რომ სოფელი აღორძინდეს და სხვა თუ არაფერი, ჩვენ და ჩვენმა შვილებმა ნატურალური პროდუქტი მივირთვათ, არსებობს,** მაგრამ ამის დანახვა არ გვინდა. მარტივ მაგალითს გეტყვით: საბავშვო პროდუქტების მწარმოებელი, მსოფლიოში ცნობილი ბრენდი Hipp საქართველოში წლების წინათ შემოვიდა, ვაშლის გადამუშავება და მისგან საბავშვო ხილფაფების დამზადება დაიწყო. ამაში საოცარი ის არის, რომ ქართული პროდუქცია იმპორტზე გადიოდა, ხოლო უცხოეთში ნაწარმოები იგივე პროდუქცია ჩვენთან შემოდიოდა. როცა ვკითხეთ კომპანიის წარმომადგენელს, რატომ იქცეოდა ასე, საინტერესო პასუხი გაგვცა: **„თქვენთან ნატურალურ პროდუქციას ვამზადებთ, რომლის შესყიდვის უნარიც მოსახლეობას არ აქვს, რადგან ძვირია, უცხოეთიდან კი პროდუქცია მინარევებით შემოდის, რასაც ქართული მოსახლეობა სიიაფის გამო ყიდულობს!“**

უცხოელი გეუბნება: კარგი მიწა გაქვთ, საოცარი პროდუქტი მოდის, ყველა სტანდარტს აკმაყოფილებსო, მაგრამ ეს თქვენთვის „ძვირი სიამოვნებაა“ და ჩვენ შევჭამთო... როგორია?! და ლევან ვეფხვაძე კი გვეუბნება: ამ მიმართულებით წარმატებები არასდროს გვქონია და არც გვექნებაო. შეგნებული კაცი თავის სიმდიდრეს ასე უდიერად არ უნდა ეპყრობოდეს. მაშინ, როდესაც ჩვენს მიწაზე უცხოელები ესახლებიან, ჩვენი ბუნებრივი სიმდიდრეებით სარგებლობენ, ჩვენ კი გვირჩევნია, ჩვენს მიწაზე მოსავალი სხვამ მოიყვანოს, თავის ქვეყანაში წაიღოს და იქ მოწეული აქ შემოგვასაღოს. ამას სამშობლოს, საკუთარი ერის არაპირდაპირი, მაგრამ მაინც ღალატი ჰქვია. ახლა შოვინიზმსა და ნაციონალიზმში დამდებთ ბრალს, მაგრამ...

**აგერ, მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში გასული ხორვატია 4-მილიონიანი ქვეყანაა, საქართველოს მასშტაბისა და გაბარიტების. მოსახლეობის 90%-ზე მეტი ხორვატია და იცით, რატომ? უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის ბიზნესის წარმოებაზე, მიწის შესყიდვაზე, გადასახადებზე კაბალური პირობები აქვთ დაწესებული. შესაბამისად, ქვეყანაში ყველაფერს ხორვატები აკეთებენ და რატომ გიკვირთ, თუ მსოფლიოში ყველაზე პატრიოტ ერად ითვლებიან?! ეს ჩვენთანაა პატრიოტიზმი შოვინიზმთან და ნაციზმთან გაიგივებული, თორემ ევროპაცა და ამერიკაც უკვე პატრიოტულ მოტივებზე გადავიდა, თვითგადარჩენის ინსტიქტი მუშაობს ყველგან... საქართველოს გარდა.** ჩვენთან მთავარია, სხვები გადარჩნენ და სხვები იყვნენ კარგად, თორემ ჩვენი სოფლები წყალსაც წაუღია... მიაქვს კიდეც...

მეორე მხრიდანაც შევხედოთ — დავუჯეროთ ვეფხვაძეს; დავივიწყეთ, რომ ღვინო, ჩაი, ციტრუსები, აბრეშუმი და კიდევ ბევრი რამ გვქონდა, რითაც გლეხი ცოცხლობდა და გადავედით ინდუსტრიული ცენტრების მშენებლობაზე და „გამოვწოვეთ“ სოფლებიდან მოსახლეობა, ანუ ისედაც დაცარიელებული სოფლები სულ უკაცრიელი გავხადეთ. საიდან მოგვაქვს ინვესტიცია? კომერციული ბანკი იაფ კრედიტსა და „უფასო ფულს“ რომ არ მოგვცემს, ცხადია. ეროვნული ბანკი გასცემს ვითომ რამეს და ამით ავშენდებით? საეჭვოა. ან ინვესტორი რომ გამოჩნდეს, **საქართველოში ნაწარმოები პროდუქციისთვის ბაზარი სად უნდა მოვნახოთ? ევროპა ქართულ ღვინოს ეჭვის თვალით უყურებს, ქართულ თაფლს იმხელა რეგულაციები დაუწესეს, ათეული წელიწადი გვინდა, სტანდარტზე რომ დავსვათ და აქ ნაწარმოებ „ტექნოლოგიურ შედევრს“ დახლზე არ გააჩერებს. რუსეთში? და რუსეთი ხომ მტერია?! მტერია, იმის მიუხედავად, რომ საქართველოს მილიონამდე მოქალაქეს ინახავს; ეს მილიონი მოქალაქე მეორე მილიონს საქართველოში არჩენს; აქედან გასულ ხილს, ღვინოს, მინერალურ წყალს ყიდულობს და სუნთქვის საშუალებას გვაძლევს, ანუ ხელისუფლება ვერ იტყვის: გათვლას რუსეთის ბაზარზე ვაკეთებო. აქეთ ამერიკა აყვირდება, იქეთ — ევროპა, ჩვენ კიდევ მაგათ უნდა დავუჯეროთ.** გამოვა ისე, რომ „ავი ძაღლი“ არც თავის ბაზარზე შეგვიშვებს, რუსეთის ბაზარზე შესვლასაც აგვიკრძალავს და დავრჩებით ამ ჩვენი პროდუქციით ხელში. არა, კი შეიძლება ეს პროდუქცია ბავშვებს „შევტენოთ“, ზუსტად ისე, პირველკლასელებს რომ ურიგებენ „ნოუთბუქებს“ და ერთ თვეში რომ ფუჭდება, მაგრამ რამდენს აიტანს მშობელი?!

**რა გამოდის? რეალურად არაფრის გამკეთებელი არ ვართ და, თუ ვართ, ვერ გავყიდით?** ანუ ვეფხვაძემ თქვა და ქარავანი მიდის?! რეალურად ხომ ათეული წლებია, ამ ინდუსტრიული ცენტრების შექმნაზე მსჯელობენ და წინ ერთი ნაბიჯიც არ გადადგმულა. სამაგიეროდ, ვინც კი სოფელში მიწა დაამუშავა, ფერმა ააშენა, ხეხილი ჩაყარა, ყველამ შემოსავალი ნახა, თავადაც იხეირა და ჩვენც სარგებელი მოგვიტანა, რადგან, ბოლომდე ნატურალურს თუ არა, ნატურალურთან ძალიან მიახლოებულ პროდუქტებს გეახლებით.

სხვათა შორის, როცა შაჰ აბასი საქართველოს იპყრობდა, სოფლებიდან ასახლებდა ადგილობრივებს და მათ ნაცვლად სპარსელები ჩამოჰყავდა. ამით ის, სოფლის დასუსტების გარდა, მთელი ქვეყნის გაქრობას ფიქრობდა. შესაბამისად, **ის, რაც ვერ გააკეთა შაჰ აბასმა, ახლა ვცდილობთ, ჩვენ გავაკეთოთ: სოფლებიდან მოსახლეობა „გამოვწოვოთ“ და ეს ადგილები სწორედ შაჰ აბასის შთამომავლებს გადავულოცოთ, თანაც ისე, რომ არც გავიბრძოლოთ. ჰოდა, იქნებ ჯობდეს, სოფლების დაცარიელებაზე მეტად იმაზე ვიფიქროთ, რომ როგორმე გლეხს მხარში ამოვუდგეთ, საარსებო პირობები შევუქმნათ, რათა სოფელი ისევ სოფელს დავამსგავსოთ, იმ სოფელს, რომელშიც მოსახლეობის ძირითადი ნაწილი მიდიოდა დასასვენებლად და საკუთარ კარ-მიდამოს ავად თუ კარგად უვლიდა; იქ მოკრეფილ ხილსა და ბოსტნეულს კი სხვა გემო ჰქონდა — სოფლის გემო, ნატურალური გემო.**

ასე რომ, ინდუსტრიული ცენტრები რაიონულ ცენტრებში ააშენეთ, ბატონებო, გლეხებმა რომ იმუშაონ და მხოლოდ მიწასა და ოროჯიან თოხზე არ იყვნენ დამოკიდებულნი.

**ევროპაცა და ამერიკაც უკვე პატრიოტულ მოტივებზე გადავიდა, თვითგადარჩენის ინსტიქტი მუშაობს ყველგან... საქართველოს გარდა. ჩვენთან მთავარია, სხვები გადარჩნენ და სხვები იყვნენ კარგად, თორემ ჩვენი სოფლები წყალსაც წაუღია... მიაქვს კიდეც...**

ბესო ბარბაქაძე

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**მოწინავე ქვეყნებს 50-100 წლით ჩამოვრჩით და ეს წლები ათ წელიწადში უნდა გავირბინოთ. ამას ან გავაკეთებთ, ან ნამსხვრევებად გვაქცევენ! იწინასწარმეტყველა სტალინმა ეს თუ გამოიცნო, არ ვიცით, მაგრამ დიდი სამამულო ომის დაწყებამდე ზუსტად ათი წელი იყო დარჩენილი.**

**მემუარული ლიტერატურა, რომელსაც მსოფლიო ისტორიკოსთა ათასობით არმია აქვეყნებს სტალინის შესახებ, ერთი მხრივ ფანტაზიის ნაყოფია, მეორე მხრივ კი — მკვლევარის მხატვრული ოსტატობის შედეგი.**
**არსებობს თუ არა სტალონზე მეტ-ნაკლებად სიმართლეს მიახლოებული ნაწარმოები, რომელიც შთამომავლობას დარჩება, როგორც ნამდვილი ზღაპარი კავკასიონზე მიჯაჭვული ამირანის ან პრომეთეს შესახებ? — ალბათ, არა! მაგრამ სტალინი მაინც დარჩება კაცობრიობის ლეგენდად მარად, რომელმაც „მზეს სხივი მოსტაცა და ხალხს სამშობლო დაუბრუნა“.**

# სტალინის პორტრეტისთვის

## 1931-1941 წელი. იდუმალების სამყარო



სტალინი საბჭოთა მწერლებთან ერთად

მარტივად არის წარმოდგენილი სტალინის ცხოვრება და შემოქმედება. ნამდვილად ვიცით, რომ იგი ქალაქ გორში დაიბადა (მაგრამ რატომღაც 100 წლის შემდეგ აგვერია, თუ რომელ წელს მოევლინა ქვეყანას), დაამთავრა გორის სასულიერო გიმნაზია, ვერ დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია, იყო რევოლუციონერი, შვიდჯერ დაპატიმრებული და საპატიმროდან ექვსჯერ გაქცეული, აქტიური მონაწილე 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციისა, იბრძოდა ცარიცინში. 1922 წელს აირჩიეს სკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად, ქვეყანაში განავითარა მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, კულტურა, ხელოვნება, სპორტი და სხვ.; მოიგო მსოფლიოში ყველაზე სისხლისმღვრელი და სრულიად ახალი, ტექნოლოგიური ომი.

ისტორიამ ცოტა რამ იცის იმ ათწლეულის შესახებ, როდესაც გადაწყდა, იარსებებდა თუ არა სოციალისტური სისტემა საერთოდ და კერძოდ — საბჭოეთი.

ისტორიის ანალებმა არ შემოუნახა (თუ ვერ შემოინახა) ის თავბრუდამხვევი შრომისა და ბრძოლის მასალები, რომლებიც ადამიანურ შესაძლებლობებს აღემატებოდა და მსოფლიო განცვიფრებაში მოჰყავდა.

სრულიად წარმოუდგენელია დღეს 30-იანი წლების კულტურის, პოლიტიკის გენერალური ხაზის განსაზღვრა, როდესაც ქვეყნის „მთავარი ისტორიკოსი“, აკადემიკოსი და ნარკომის მოადგილე **მ. პ. პოკროვსკი** აცხადებდა, რომ ტერმინი „რუსული ისტორია“ შოვინიზმად და კონტრრევოლუციურად გამოცხადდა.

პოკროვსკის აზრით, პოეტმა **დემიან ბედნიმ** ლექსად დაბეჭდილ ფელეტონში „ჩამოდი ღრუბლიდან“, რომელიც გაზეთმა „პრავდამ“ გამოაქვეყნა, კიდევ უფრო განუმტკიცა სტალინს აზრი, რომ ინტელიგენცია სხვა მიმართულებით მიდიოდა და არა სტალინის გზით, ამიტომ იყო, რომ იგი თავს დაესხა თავის საყვარელ ადამიანს — პოეტსა და კარის მეზობელ დემიან ბედნის, რაც მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ნიშნავდა, მან გაზეთ „პრავდაში“ დემიან ბედნის ფელეტონს „ჩვენი ხალხის მიმართ ცილისწამება უწოდა“. დემიან ბედნი შეეცადა, თავი ემართლებინა სტალინის წინაშე, მაგრამ ბელადმა იცოდა, რა უნდა გაეკეთებინა და პირველად მაშინ თქვა: „მუშათა კლასის ისტორია რუსი ხალხის გულებში რევოლუციური ეროვნულობის სიამაყეს ბადებს, რომელიც უდიდეს ძალას წარმოადგენს და რომელსაც, თავის მხრივ, სასწაულების მოხდენა შეუძლია“.

ამ სიტყვების შემდეგ საბჭოეთის ხალხებმა გარკვეულად იგრძნეს, რომ სტალინს არა მხოლოდ კომუნისტური იდეოლოგია ხიბლავს, არამედ მისთვის მთავარია რუსეთის ისტორია, რომელიც მისი ფარი და ხმალი უნდა იყოს მტერთან ბრძოლაში.

30-იან წლებში ლუნაჩარსკის მიერ წარდგენილი პროექტი რუსული შრიფტის ლათინურ ანბანზე გადაყვანის შესახებ ერთი ხელის მოსმით უარყო და გააუქმა სტალინმა და რუსული ანბანი და რუსული სიტყვა იქცა მისთვის ღვთაებრივ მოვლენად.

რუსი ხალხის მეთაურობით შექმნილი დიდი საბჭოეთი, სტალინის აზრით, აუღებელი ციხესიმაგრე უნდა გამხდარიყო და გახდა კიდეც.

მას შემდეგ, რაც რუსეთის სამტროდ მსოფლიოს უდიდესი ქვეყნების მიერ მხარდაჭერილ, ვალუტითა და ოქროთი გაძეძგილი ტომრებით გამაგრებულ ტროცკის, რომელსაც სამხედრო მინისტრისა და რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარის პოსტი ეკავა, ახალგაზრდა მზეჭაბუკმა ბრძოლა დაუწყო და ერთი ათეული წლის შემდეგ ბეჭებზე დადო — ქვეყნიდან გააძევა, რითაც თვითონაც უძლეველობის რწმენა ჩაენერგა და ასი თვალი და ასი ყური გამოიბა, ქვეყანაში აკონტროლებდა ყველას და ყველაფერს. გაძევებულმა ტროცკიმ სხვადასხვა ქვეყანაში პოლიტიკური ოფისი გახსნა და სტალინის წინააღმდეგ მებრძოლმა ტროცკისტულმა ორგანიზაციებმა, რომლებსაც ანგარებით თუ იდეოლოგიით ათასი ჯურის ნაძირალა შეუერთდა, მოიცვა მთელი ქვეყანა. სტალინი ებრძოდა არა მხოლოდ უხილავ გარეშე ძალებს, არამედ შინაურ მტრებსაც და პოლიტიკურ ორთაბრძოლაში იყო ჩაბმული მსოფლიო პოლიტიკის გრანდებთან.

პარტიის მე-16 ყრილობამ ათასი საზრუნავი გაუჩინა სტალინს — პური, ფრონტზე ბრძოლა და ხალხზე ზრუნვა...

ეშინოდა თუ არა მას შინაური თუ გარეშე მტრების? — არა! სწორედ ამაზე მიუთითებს ის გარემოება, რომ ყრილობის შემდეგ ქვეყნის მართვა მოლოტოვს გადააბარა, თვითონ კი შავიზღვისპირა აგარაკს მიაშურა.

1930 წლის 18 აგვისტოს ტუხაჩევსკის თანამებრძოლი და ახლო მეგობარი, დასავლეთის ფრონტის შტაბის ყოფილი უფროსი **კაკურინი** დააპატიმრეს. დაადგინეს, რომ კაკურინის საყვარელ ბოშა ლამაზმანს დასავლეთის სპეცსამსახურებთან ჰქონდა კავშირი. მასთან ხშირად იმართებოდა საღამოები მაღალჩინოსანი სამხედროების მონაწილეობით.

**სტალინმა საექვოდ ჩათვალა უმაღლესი საბჭოს კომპეტენტურობა ფინანსურ მოლაპარაკებებში და ამიერიდან ის ამ საქმით აღარ იყო დაკავებული. დაფინანსების წყაროებსა და მშენებლობის მოცულობას უკვე პოლიტბიურო საზღვრავდა. სტალინი ყველაფერს აკეთებდა იმისთვის, რომ შიდა წარმოება გაზრდილიყო. არსებული ტემპისა და შედეგების გამო უმაღლეს საბჭოს უნიათობაში ადანაშაულებდა, რომელსაც ორჯონიკიძე ხელმძღვანელობდა**

გამოძიებამ, რომელსაც უშუალოდ აკონტროლებდა სტალინი, აგენტურასთან კაკულინის კავშირი გამორიცხა, მაგრამ დადგინდა უფრო შოკისმომგვრელი ფაქტი: კაკულინის მტკიცებით, ტუხაჩევსკი სამხედრო გადატრიალებასა და სამხედრო დიქტატურის დამყარებას არ გამორიცხავდა, ქვეყნის ლიდერის მისამართით კი ასეთ მოსაზრებას გამოთქვამდა: „არსებობს პერსპექტივა, რომ მემარჯვენეთა კლასის გასაუქმებლად ნებისმიერ ფანატიკოსს წინ ვერავინ დაუდგება და ხელი თვით ამხანაგ სტალინზე თავდასხმისთვისაც კი არ ამიკანკალდება“. კაკურინი ასკვნიდა, რომ:

„ახლა, როდესაც ამ ყველაფერზე ღრმად დაფიქრების დრო მქონდა, არ გამოვრიცხავ, რომ ფანატიკოსზე საუბრისას, რომელსაც სტალინისთვის უნდა ესროლა, ტუხაჩევსკი უბრალოდ იმ პერსპექტივას ნიღბავდა, რომელსაც სინამდვილეში თავის გონებაში განიხილავდა“.

10 სექტემბერს **მენჟინსკიმ** სტალინს წერილობით მიმართა: „ეს საქმე მოლოტოვს მოვახსენე და ნებართვა ვთხოვე, თქვენი ვერსიის მიხედვით მივილო თქვენივე მითითებები ჯაშუშობის საქმეზე კაკურინისა და ტროიცკის დაპატიმრების შესახებ. დაჯგუფების მონაწილეების ცალ-ცალკე დაპატიმრება სახიფათოა. ორი გამოსავალი არსებობს: დაუყოვნებლივ იქნეს დაპატიმრებული დაჯგუფების შედარებით აქტიური წევრები ან თქვენს დაბრუნებას დაველოდოთ, მანამდე კი მათი თვალთვალი გაგრძელდეს, რათა გაურკვევლობაში არ აღმოვჩნდეთ. საჭიროდ ვთვლი, აღვნიშნო, რომ დღეს მეამბოხეთა ყველა დაჯგუფება ძალიან სწრაფად მწიფდება, ამიტომ ბოლო გადაწყვეტილება ჩვენთვის ნაცნობ საშიშროებას წარმოადგენს“.

სტალინს არც ამ წერილზე გაუცია სასწრაფო განკარგულება, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ სტალინის შიში ამ საკითხზე გამორიცხულია.

**24 სექტემბერს ამის თაობაზე სტალინს ორჯონიკიძემაც მისწერა წერილი. იგი წერს, რომ „სასწრაფოდ წაიკითხე კაკურინი-ტროიცკის ჩვენებები და ამ საქმის დაუყოვნებლივ ლიკვიდაციის საკითხზე იფიქრე. როგორც ხედავ საკმაოდ საიდუმლო მასალაა: ამის შესახებ იცის მოლოტოვმა, მე და ახლა უკვე, როგორც ხედავ, შენც. არ ვიცი, კლიმმა ამის შესახებ იცის თუ არა. ტუხაჩევსკი ანტისაბჭოთა ელემენტების ტყვეობაში აღმოჩნდა და მათ მიერვე მკაცრად იქნა დამუშავებული. მასალებიდან ასე ჩანს. შესაძლებელია თუ არა ეს მომხდარიყო? რა თქმა უნდა, შესაძლებელია. როგორც ჩანს, მემარჯვენეები სამხედრო დიქტატურაზეც არიან წამსვლელები, რათა ცენტრალური კომიტეტისგან, აგრეთვე ინდუსტრიის ბოლშევიკური განვითარების ტემპისგან გათავისუფლდნენ. როგორც ხედავ, ორლოვისა და სმირნოვის ჩვენებები და კაკურინისა და ტროიცკის ჩვენებები მხოლოდ ერთ წყაროზე — მემარჯვენეთა ბანაკზე მიუთითებს. ამ ბატონებს სამხედრო პირებისგან შემდგარი პარტიის ჩამოყალიბება სურდათ. ასეთი ამბავია...**

**ამ საქმის ჩვეულებრივად დასრულება (დაუყოვნებლივი დაპატიმრება და ასე შემდეგ) არ შეიძლება. კარგად უნდა დავფიქრდეთ. კარგი იქნება, საქმეს ოქტომბრის შუა რიცხვებამდე თუ გადავდებთ. მოსკოვში როცა ჩახვალ, ამის შესახებ მოლოტოვს დაელაპარაკე“.**

სტალინი გადაწყვეტილების მიღებასა და პასუხის გაცემას არ ჩქარობს, მას უფრო ის აინტერესებდა, მოლოტოვისგან გაეგო ბალტიისპირეთის სახელმწიფოების ომისთვის მზადების მიმდინარეობა და რჩევა მისცა მოლოტოვს, — 40-50 დივიზიით გაზარდოს არმია; დამატებითი ფინანსების მისაღებად კი გაზარდოს არყის წარმოება. ამასთანავე, სტალინი ყველა წერილში მოლოტოვის მიმართ მკაცრ მოთხოვნას აყენებს პურის დამზადების საკითხის მოსაგვარებლად.

**სტალინი ათი თავით მაღლა დგას ყველა სახელმწიფო უწყებაზე, ინფორმაციულობითა და საკითხის გლობალური ხედვის უნარით. მოლოტოვს სწერს: „მიხედე პურის დამზადებას და იმპორტს, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ მეტალურგიისა და მანქანათმშენებლობის ქარხნების გარეშე დავრჩებით“.**

როდესაც ეცნობით ამ ეპოქის დოკუმენტებს და უჩვეულოდ განვითარებულ მოვლენებს, ეპოქის ფანტასტიკურობის შეგრძნება გეუფლება.

„მთელ მსოფლიოში რესურსების მოპოვების დარგში მწვავე კონკურენციაა გაჩაღებული. გერმანია მოულოდნელად წინ მიიწევს, ინგლისი კი პირიქით — უკან-უკან მიდის. ამერიკა კრიზისში ცახცახებს. იაპონია, ჩინეთი, პოლონეთი და იტალია ახალი მოქმედების განსახორციელებლად არიან მზად. მათ შორისაა რუსეთიც, რომელიც ჯერ კიდევ გუშინ სულს ღაფავდა, დღეს კი წითელი დროშის ქვეშ უსწრაფესად ვითარდება. ქვეყნის შიგნით კი რაც ხდება, რომაელ ბარბაროსთა მიერ რკინის უროთი ცემას ჰგავს.

მოსკოვი მესამე რომი უკვე იყო, დღეს კი ის მსოფლიო კრიზისის ფონზე „წითელი რომია“. ეს ფანტასტიური აღსაქმელია“.

1930 წელს ტუხაჩევს- ▶

**„ტემპის შეჩერება ჩამორჩენას ნიშნავს, ჩამორჩენილებს კი სცემენ. ჩვენ არ გვსურს, ნაცემები დავრჩეთ. არა, არ გვინდა! დღემდე რუსეთის ისტორია სწორედ იმ ფაქტებისგან შედგება, რომ სხვათა შორის მას ჩამორჩენის გამო გამუდმებით სცემდნენ. სცემდნენ თურქი ბეგები, სცემდნენ შვედი ფეოდალები, სცემდნენ პოლონელი და ლიტველი პანები, სცემდნენ ინგლისელი და ფრანგი კაპიტალისტები. სცემდნენ იაპონელი ბარონები. ყველა მათგანი ჩამორჩენის გამო ურტყამდა, სამხედრო ჩამორჩენის გამო, კულტურული ჩამორჩენის გამო, სახელმწიფო ჩამორჩენის გამო, სამრეწველო ჩამორჩენის გამო. იმიტომ სცემდნენ, რომ მათთვის ეს მომგებიანი იყო და არავინ ისჯებოდა“.**





სტალინი, მოლოტოვი, ვოროშილოვი, კაგანოვიჩი, ორჯონიკიძე და კალინინი (კრემლი, 1936 წლის მარტი)

**სტალინის მიერ კადრების რეფორმირებას არ შეიძლებოდა არ მოჰყოლოდა გუნდის შიგნით აზრთა სხვადასხვაობა, რაც ყველა მმართველ პარტიაში მიმდინარეობს. პირველი წინააღმდეგობა, რომელიც შესამჩნევი გახდა ცენტრალური კომიტეტის მთელი შემადგენლობისთვის, იყო ბესარიონ ლომინაძისა და სერგო ორჯონიკიძის დაპირისპირება, რომელიც სირცოვის საქმის გამოძიებას მოჰყვა. სირცოვი ბესარიონ ლომინაძის მეგობარი და ისეთივე ამბიციური, ადვილად ფეთქებადი და თავშეუკავებელი იყო, როგორც თვით ლომინაძე. სირცოვისა და ლომინაძის დაპირისპირებამ გამოამჟღავნა, რომ სირცოვი არცთუ დადებითად ახასიათებდა სტალინს და ამხელდა მის ზოგიერთ ნაკლოვანებას, არ მოსწონდა, რომ მისი სახელი ლენინის სახელს უტოლდებოდა**

◀ კის შესახებ შეტყობინება მიიღეს, რომელიც კატასტროფის ტოლფასი იყო. სამ მილიონ გლეხს შეეძლო გადატრიალება მოეხდინა. უამრავი გამორკვევის შემდეგ, სტალინს კიდევ ერთხელ სრული შესაძლებლობა ჰქონდა, დაეპატიმრებინა ტუხაჩევსკი, მაგრამ მან ეს არ გააკეთა.

სამაგიეროდ 1930 წლის 8 ოქტომბერს სტალინის ინიციატივით ლენინგრადის საოლქო კომიტეტის პირველ მდივნად **სერგო კიროვი** დანიშნეს, ამით მეამბოხე გენერალს სტალინმა, ფაქტობრივად, მეთვალყურე დაუნიშნა. თვალის ახვევის მიზნით სტალინმა კავკასიიდან მოსკოვში შეტყობინება გაუგზავნა, რომ მოსკოვში ოქტომბრის ბოლოს ჩავიდოდა. მაშინ, როცა მას გადაწყვეტილი ჰქონდა, მოსკოვში 14 ოქტომბერს გამგზავრებულიყო.

ეს კონსპირაცია სტალინს არ დასჭირვებია, რადგან ჩასვლისთანავე მასთან შესახვედრად მივიდნენ მენჟინსკი და ვოლსკი და სტალინს ტუხაჩევსკის ახალი ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობა გააცნეს. სტალინს ბოლოს და ბოლოს საქმის ბოლომდე გამორკვევა სურდა და გადაწყვიტა ბრალმდებელთა და ბრალდებულთა პარტიის პლენუმზე ერთმანეთთან დაპირისპირება.

პლენუმზე კაკურინმა და ტროიცკიმ ჩვენებები დაადასტურეს, მაგრამ ტუხაჩევსკიმ ყველაფერი უარყო. გახარებულმა სტალინმა პლენუმის შემდეგ თავისი უტყუარი წყაროები შეუდარა პლენუმის მასალებს, შემდეგ კი მოლოტოვს ბარათი მისწერა:

„რაც შეეხება ტუხაჩევსკის, 100%-ით მართალი აღმოჩნდა, ეს ძალიან კარგია“.

1931 წლის 4 თებერვალს ეროვნებათა კავშირის პირველ კონფერენციაზე სტალინი სიტყვით გამოვიდა და განაცხადა:

„ტემპის შეჩერება ჩამორჩენას ნიშნავს, ჩამორჩენილებს კი სცემენ. ჩვენ არ გვსურს, ნაცემები დავრჩეთ. არა, არ გვინდა! დღემდე რუსეთის ისტორია სწორედ იმ ფაქტებისგან შედგება, რომ სხვათა შორის მას ჩამორჩენის გამო გამუდმებით სცემდნენ. სცემდნენ თურქი ბეგები, სცემდნენ შვედი ფეოდალები, სცემდნენ პოლონელი და ლიტველი პანები, სცემდნენ ინგლისელი და ფრანგი კაპიტალისტები. სცემდნენ იაპონელი ბარონები. ყველა მათგანი ჩამორჩენის გამო ურტყამდა, სამხედრო ჩამორჩენის გამო, კულტურული ჩამორჩენის გამო, სახელმწიფო ჩამორჩენის გამო, სამრეწველო ჩამორჩენის გამო. იმიტომ სცემდნენ, რომ მათთვის ეს მომგებიანი იყო და არავინ ისჯებოდა. გაიხსენეთ რევოლუციამდელი პოეტის სიტყვები: „შენ, ულმერთო, უხვო, უძლურო, დედა რუსეთო“. ძველი დროის პოეტის ეს სიტყვები ამ ბატონებმა კარგად დაიზეპირეს. ისინი გვირტყამდნენ და თან დაგვძახოდნენ: „უხვი ქვეყანა ხარ, შენს ხარჯზე ცხოვრება შეიძლება“. გვირტყამდნენ და დაგვძახოდნენ: „ულმერთო ქვეყანავ, შეგვიძლია გაგძარცვოთ და ამისათვის არავინ დაგვსჯის“. ასეთია მჩაგვრელთა კანონი — ჩამორჩენილებს და სუსტებს უნდა სცემო. ეს კაპიტალიზმის მგლური კანონია. თუ ჩამორჩი და დასუსტდი, ესე იგი მართალი არ ხარ და უფლება აქვთ, გცემონ. თუ ყოვლისშემძლე ხარ, მაშინ მართალი ხარ და უნდა გიფრთხილდნენ.

აი რატომ აღარ უნდა ჩამოვრჩეთ.

**წარსულში ჩვენ არ გაგვაჩნდა და ვერც გვექნებოდა მამული. დღეს, როდესაც კაპიტალიზმი დავამხეთ და ძალაუფლება ჩვენს ხელში, ხალხის ხელშია, უკვე სამშობლოც გაგვაჩნია და მისი დამოუკიდებლობისთვისაც ვიბრძოლებთ. გინდათ, ჩვენს სოციალისტურ მამულს სცემონ და დამოუკიდებლობა წაართვან? თუ არ გინდათ, ასე მოხდეს, უმოკლეს ვადებში უნდა აღმოფხვრათ მისი ჩამორჩენა და ნამდვილი ბოლშევიკური აღმშენებლობის ტემპი განავითაროთ. სხვა გზა არ არსებობს. ამიტომ ამბობდა ლენინი ოქტომბრის მიწურულს: „ან სიკვდილი, ან დავეწიოთ და გავუსწროთ მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს“.**

მოწინავე ქვეყნებს 50-100 წლით ჩამოვრჩით და ეს წლები ათ წელიწადში უნდა გავირბინოთ. ამას ან გავაკეთებთ, ან ნამსხვრევებად გვაქცევენ!

იწინასწარმეტყველა სტალინმა ეს თუ გამოიცნო, არ ვიცით, მაგრამ დიდი სამამულო ომის დაწყებამდე ზუსტად ათი წელი იყო დარჩენილი.

სტალინმა მთავრობაში გადაადგილებები მოახდინა:

კუიბიშევი ორჯონიკიძის ადგილზე დაინიშნა, ორჯონიკიძე სახკომის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე გახდა და სახალხო მეურნეობას ჩაუდგა სათავეში. მოლოტოვი რიკოვის ადგილზე დაინიშნა და მთავრობის თავმჯდომარეობა მიიღო. რიკოვი ჩამოაქვეითეს, ფოსტა ტელეგრაფი ჩააბარეს და გამოიყვანეს პოლიტბიუროს შემადგენლობიდან.

ქვეყნის მთავარი მამოძრავებელი ბირთვი: სტალინი, მოლოტოვი და კაგანოვიჩი იყვნენ. გუნდის დანარჩენ წევრებს კი, ბიუროკრატიული აზრების გამო, სტალინი ხშირად აკრიტიკებდა, კერძოდ ორჯინიკიძეს, კუიბიშევსა და მიქოიანს.

სტალინს თავისი უახლოესი მეგობრისა და თანამებრძოლის — მოლოტოვის მიმართაც გააჩნდა პრეტენზიები მეუღლის გამო (პოლინა ჟემჩუჟინა — მოლოტოვის ცოლი); თავის მხრივ მოლოტოვმა სტალინის მეუღლეს — ნადეჟდა ალილუევას უსაყვედურა, რომ სტალინს სათანადოდ არ უვლიდა (რაც, ჩემი პირადი მოსაზრებით, მართალია — გრ. ონიანი).

ყველაფრის მცოდნემ და გამგებმა სტალინმა ზღვისპირეთიდან თავის მეუღლეს — ნადეჟდა ალილუევას შემდეგი შინაარსის წერილი მისწერა:

„ჩემი არასათანადო მოვლის შესახებ შენი დადანაშაულება მხოლოდ საქმის უცოდინარ ადამიანებს შეუძლიათ, ასეთები კი ამ შემთხვევაში მოლოტოვები აღმოჩნდნენ“.

მიუხედავად იმისა, რომ ვოროშილოვის მეუღლეს არცთუ ახლო ურთიერთობა ჰქონდა ნადეჟდა ალილუევასთან, მასაც უთქვამს, რომ, როგორ უძლებს სტალინი ამ „ნევროსტენიკ“ ნადეჟდასო.

სტალინის გულის მოსაგებად მიქოიანიც საყვედურობს პოლინა ჟემჩუჟინას:

„ქალბატონივით იქცევა, როგორც „ქვეყნის პირველი ლედი“, არ იჩენს მოკრძალებას, იცვამს მდიდრულად და ქალიშვილსაც ქალბატონივით ზრდის“.

ალბათ, სწორედ ამ წლებში დაებადა სტალინს აზრი, რომ საბჭოთა ძალაუფლების და აგრეთვე საკუთარი ბაზები გაეფართოვებინა.

მას გრანდიოზული ჩანაფიქრი ჰქონდა. პარტიის რეფორმირება უნდა მოეხდინა და სოციალისტური ინტელიგენცია აღეზარდა. დღის წესრიგში დადგა საკითხი, რომ წინ ახალი საბჭოთა გენერლები წამოეწია და ახალი თაობა აღეზარდა. ხალხის შეცვლა უნდა დაეწყო და თანაც სწრაფად!

რა თქმა უნდა, ამის სწრაფად გაკეთება შეუძლებელი იყო, მაგრამ მან დაიწყო.

ყველაფერი, რაც 1931 წლიდან 1940 წლის ჩათვლით ხდებოდა, სტალინის მიერ საზოგადოების შეცვლის გეგმას უკავშირდებოდა. მსგავსი შინაარსის გეგმას ვერც ერთ არქივში ვერ შეხვდებით, მაგრამ ქვეყანაში მიმდინარე მთავარი მოვლენები გვაფიქრებინებს, რომ ბელადის თავში მსგავსი განახლების სტრატეგია ნამდვილად არსებობდა.

**სტალინის მიერ კადრების რეფორმირებას არ შეიძლებოდა არ მოჰყოლოდა გუნდის შიგნით აზრთა სხვადასხვაობა, რაც ყველა მმართველ პარტიაში მიმდინარეობს. პირველი წინააღმდეგობა, რომელიც შესამჩნევი გახდა ცენტრალური კომიტეტის მთელი შემადგენლობისთვის, იყო ბესარიონ ლომინაძისა და სერგო ორჯონიკიძის დაპირისპირება, რომელიც სირცოვის საქმის გამოძიებას მოჰყვა. სირცოვი ბესარიონ ლომინაძის მეგობარი და ისეთივე ამბიციური, ადვილად ფეთქებადი და თავშეუკავებელი იყო, როგორც თვით ლომინაძე. სირცოვისა და ლომინაძის დაპირისპირებამ გამოამჟღავნა, რომ სირცოვი არცთუ დადებითად ახასიათებდა სტალინს და ამხელდა მის ზოგიერთ ნაკლოვანებას, არ მოსწონდა, რომ მისი სახელი ლენინის სახელს უტოლდებოდა.**

ამ განცხადებებმა შოკისმომგვრელად იმოქმედა ისედაც ფიცხ იმერელზე და ორჯონიკიძე კატეგორიულად მოითხოვდა ორივეს პარტიიდან გარიცხვას, მაგრამ სტალინმა ორივეს შედარებით მსუბუქი სასჯელი აკმარა — სირცოვი და ლომინაძე ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობიდან გაიყვანეს და სამეურნეო სამუშაოებზე გადაიყვანეს.

ორჯონიკიძისადმი სტალინის იმედგაცრუება 1931 წლის 17 აგვისტოდან იწყება, როდესაც ბელადმა კაგანოვიჩს შემდეგი შინაარსის წერილი გაუგზავნა:

„კუიბიშევის წერილი და საერთოდ, მისი საქციელი, ჩემზე მძიმე შთაბეჭდილებას ტოვებს. ეტყობა, საქმეს გაურბის, სხვა მხრივ, უარესად იქცევა ორჯონიკიძეც. როგორც ჩანს, არ ფიქრობს, რომ მისი საქციელი ჩვენს გუნდს საფრთხეს უქმნის, სხვადასხვა საშუალებებით, განადგურების საშიშროებას უქმნის მას. ნუთუ არ ესმის, რომ ამ გზაზე ჩვენი მხრიდან ვერანაირ მარდაჭერას ვერ იპოვის? რა სისულელეა!“

სტალინმა საეჭვოდ ჩათვალა უმაღლესი საბჭოს კომპეტენტურობა ფინანსურ მოლაპარაკებებში და ამიერიდან ის ამ საქმით აღარ იყო დაკავებული. დაფინანსების წყაროებსა და მშენებლობის მოცულობას უკვე პოლიტბიურო საზღვრავდა. სტალინი ყველაფერს აკეთებდა იმისთვის, რომ შიდა წარმოება გაზრდილიყო. არსებული ტემპისა და შედეგების გამო უმაღლეს საბჭოს უნიათობაში ადანაშაულებდა, რომელსაც ორჯონიკიძე ხელმძღვანელობდა.

**გაგრძელება იქნება**




**ყურადღება!**

„ბიბლუსისა“ და „ლიბრას“ მაღაზიათა ქსელში, აგრეთვე, მეტროპოლიტენის სადგურებთან: „მარჯანიშვილი“, „რუსთაველი“, „თავისუფლების მოედანი“ შეგიძლიათ შეიძინოთ საერთაშორისო ორგანიზაცია „სტალინის“ თავმჯდომარის, ბატონი გრიგოლ ონიანის წიგნი „სტალინი“, რომელშიც თავმოყრილია ფაქტობრივი მასალები კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი პოლიტიკოსის, დიპლომატისა და მხედართმთავრის — სტალინის შესახებ.

ეს იყო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**გერმანელებს სურდათ თავიანთ სასარგებლოდ შემოეტრიალებინათ შექმნილი მდგომარეობა: ალყაში მოექციათ და გაენადგურებინათ მოწინააღმდეგის აქ თავმოყრილი ძალები. ოპერაცია „ციტადელი“ ითვალისწინებდა, ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან ორი მძლავრი დარტყმით მარწუხებში მოექცია საბჭოთა დაჯგუფება და გაენადგურებინა იგი. გამარჯვების შემთხვევაში გერმანელები ხელთ იგდებდნენ სტრატეგიულ ინიციატივას და კვლავ შეუტევდნენ მოსკოვს.**

# პროხოროვკასთან გამართული ბრძოლა — სამამულო ომის ეპოპეის ერთ-ერთი გადამწყვეტი ეტაპი

**ასობით ტანკის გამაყრუებელი გრიალი, ლითონის ღრჭიალი, ათასობით ნაღმისა და ჭურვის აფეთქება... 1943 წლის 12 ივლისს მსოფლიო ისტორიაში უდიდესი სატანკო ბრძოლა გაიმართა კურსკის მისადგომებთან. პროხოროვკასთან გამართული ბრძოლა სამამულო ომის ეპოპეის ერთ-ერთი გადამწყვეტი ეტაპია. საბჭოთა ჯარებმა ვერმახტს გადაუკეტეს კურსკის გზა — ოპერაცია „ციტადელი“ ჩაფლავდა.**



## აუღებელი ციხესიმაგრე

1943 წლის ზაფხულში გერმანულმა სარდლობამ გადაწყვიტა, მოეკვეთა ე.წ. კურსკის შვერილი, რომელიც ხარკოვის ოპერაციის შედეგად წარმოიქმნა. საბჭოთა ჯარები მოწინააღმდეგის თავდაცვის სიღრმეში 150 კილომეტრით შეიჭრნენ. ფრონტის სიგრძემ 550 კილომეტრი შეადგინა.

**გერმანელებს სურდათ თავიანთ სასარგებლოდ შემოეტრიალებინათ შექმნილი მდგომარეობა: ალყაში მოექციათ და გაენადგურებინათ მოწინააღმდეგის აქ თავმოყრილი ძალები. ოპერაცია „ციტადელი“ ითვალისწინებდა, ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან ორი მძლავრი დარტყმით მარწუხებში მოექცია საბჭოთა დაჯგუფება და გაენადგურებინა იგი. გამარჯვების შემთხვევაში გერმანელები ხელთ იგდებდნენ სტრატეგიულ ინიციატივას და კვლავ შეუტევდნენ მოსკოვს.**

ამ მიზნის მისაღწევად გერმანელებმა კურსკთან თავი მოუყარეს 50 დივიზიას, ანუ 900 ათასზე მეტ ადამიანს, თითქმის 3000 ტანკსა და მოერიშე საარტილერიო დანადგარს, ათი ათას ქვემეხსა და ნაღმსარტყორცნს. ამ ჯავშნოსან არმადას ჰაერიდან იცავდა 2000 თვითმფრინავი, მათ შორის ახალი ავიაგამანადგურებელი „ფოკე-ვულფ-190A“, მოიერიშე „ჰენშელ-190A“ და „ჰენშელ-129“.

მაგრამ საბჭოთა დაზვერვამ წინასწარ დაადგინა, რომ გერმანიის არმია დიდი შეტევისთვის ემზადებოდა. საბჭოთა სარდლობამ გადაწყვიტა, დროებით გადასულიყო თავდაცვაზე, რათა თავდაცვით ბრძოლებში მაქსიმალურად დაესუსტებინა მოწინააღმდეგე და ამ გზით შეექმნა სტრატეგიული შეტევისთვის აუცილებელი პირობები. შეტევაზე გადმოსულ გერმანელებს წინ აღუდგნენ ცენტრალური (სარდალი — არმიის გენერალი **კონსტანტინ როკოსოვსკი**), ვორონეჟის (სარდალი — არმიის გენერალი **ნიკოლაი ვატუტინი**) და ველის (სტეპის) (სარდალი — გენერალ-პოლკოვნიკი **ივან კონევი**) ფრონტების ჯარები. ეს თითქმის ორი მილიონი ადამიანია, 26,5 ათასი ქვემეხი და ნაღმსატყორცნი, ხუთ ათასამდე ტანკი და თვითმავალი საარტილერიო დანადგარი.

**ოპერაცია „ციტადელი“ 5 ივლისს დაიწყო. პირველსავე დღეებში ცენტრალური ფრონტის ჯარებმა შეასუსტეს და ქანცი გამოაცალეს დამრტყმელ დაჯგუფებას კურსკის შვერილის ჩრდილოეთით და შეაჩერეს მოწინააღმდეგის წინსვლა. ვორონეჟის ფრონტის ჯარებმა სერიოზულად დააზარალეს არმიის ჯგუფ „სამხრეთის“ მოწინავე დანაყოფები.**

ჰიტლერელები შეეცადნენ, გაეგოთ, რამდენად შეუღწეველია საბჭოთა თავდაცვა და მთელი ფრონტით გადავიდნენ შეტევაზე. ხუთასმა ტანკმა, რომლებსაც ავიაცია ეხმარებოდა, გაარღვია დაცვის ხაზი და ქალაქ ობოიანის გავლით კურსკის მიმართულებით განაგრძო შეტევა. ამ მანევრის მიზანი ცენტრალური ფრონტის ზურგში მოქცევა და იქიდან დარტყმის განხორციელება იყო. საბჭოთა ჯარებმა ამ დღეს 300-მდე ტანკი გაანადგურეს და მოწინააღმდეგის შეტევა ჩავარდა.

უდიდესი დანაკარგის მიუხედავად, გერმანელები არ კარგავდნენ იმედს, რომ სუსტ ადგილას გაარღვევდნენ ვორონეჟის ფრონტს და შეუტევდნენ კურსკს. 9 ივლისის საღამოსთვის შეძლეს კიდეც, 35 კილომეტრით შეჭრილიყვნენ საბჭოთა საბრძოლო რიგებში.

**კურსკის ბრძოლა სამამულო ომის ერთ-ერთ გარდამტეხ მომენტად ითვლება. სწორედ ამ ბრძოლის შემდეგ შეიქმნა საბჭოთა არმიის საერთო სტრატეგიულ შეტევაზე გადასვლის პირობები. გერმანია და მისი მოკავშირეები მეორე მსოფლიო ომის ყველა თეატრზე თავდაცვაზე გადავიდნენ. ფაშისტური ბლოკის რღვევა დაიწყო**





## ცეცხლი და ლითონი

რამდენიმე ტაქტიკური დამარცხების შემდეგ გერმანელებმა სცადეს, სამხრეთ-აღმოსავლეთიდან გაჭრილიყვნენ კურსისკენ პროხოროვკის მიმართულებით. აქ თავი მოუყარეს მეოთხე სატანკო არმიის — CC-ის სატანკო კორპუსს და მესამე სატანკო კორპუსის ოპერატიულ ჯგუფ „კემპფს“. ეს ნაწილები გამოირჩეოდნენ პროფესიული მომზადებით და ბრძოლებში მიღებული გამოცდილებით. მაგალითად, CC-ის მეორე კორპუსი აერთიანებდა ელიტურ დივიზიებს „ლეიბშტანდარტ ადოლფ ჰიტლერს“, „რაიხს“ და „მკვდარ თავს“.

უნდა აღინიშნოს, რომ იმ დროისთვის გერმანელების სატანკო ბრძოლის ტაქტიკა შეცვლილი იყო. ომის პირველ წლებში საბჭოთა ჯარების თავდაცვის გარღვევაში მთავარი როლი მსუბუქ და საშუალო ტანკებს ეკისრებოდა, რომლებიც სწრაფად გადალახავდნენ თავდაცვის ზღუდეებს და უზრუნველყოფდნენ ოპერაციის წარმატებას, მაგრამ 1943 წლის ზაფხულისთვის საბჭოთა არმიას უკვე ჰქონდა უფრო ძლიერი და მძიმე ტანკები, აგრეთვე, ახალი ტანკსაწინააღმდეგო საშუალებები. ამასთანავე, საბჭოთა ჯარებიც უკვე გამოიყენებდნენ ტანკების დიდ ჯგუფებს გერმანელების თავდაცვის ზღუდეების გასარღვევად.

„ციტადელის“ ოპერაციის დროს გერმანელებმა თავდაცვის მთელი ფრონტის გასწვრივ განალაგეს არტილერიის დივიზიონები, რომლებიც ერთ მეთაურს ემორჩილებოდნენ. რაც შეტევისთვის ფლანგებიდან ცეცხლის გახსნის საშუალებას იძლეოდა. შეტევის „სოლის“ სათავეში იგა მძიმე „ვეფხვები“ და „პანტერები“, მათ თავდაცვის გარღვევა ევალებოდა; კვალში მიჰყვებოდა საშუალო ტანკები — T-IV.

საბჭოთა მხრიდან პროხოროვკასთან თავდაცვის ხაზზე იმყოფებოდა 183-ე მსროლელთა დივიზია და მეორე სატანკო კორპუსი, მაგრამ 10-11 ივლისს მათ მძიმე დანაკარგი განიცადეს მტრის ავიაციის მასიური დაბომბვის შედეგად. ამ რაიონში სასწრაფოდ გადასროლილმა გვარდიულმა საჰაერო-სადესანტო დივიზიამ ვერ შეძლო მოწინააღმდეგის შეჩერება.

საბჭოთა სარდლობამ დაგეგმა მძლავრი კონტრდარტყმა პროხოროვკის მიმართულებით. ამოცანის შესრულება მიანდეს მეხუთე გვარდიულ სატანკო არმიას, რომელსაც მეთაურობდა გენერალ-ლეიტენანტი **პაველ როტმისტროვი**. გასაძლიერებლად გადასცეს რამდენიმე სატანკო ნაწილი, არტილერიისა და ნაღმსატყორცნების ქვედანაყოფები. სამწუხაროდ, ისინი სერიოზულად იყვნენ დასუსტებული კურსკის შვერილზე გამართული ბრძოლების შედეგად. საბოლოოდ ფრონტის ამ უბანზე თავი მოუყარეს 700-მდე ტანკს და თვითმავალ საარტილერიო დანადგარს საბჭოთა კავშირის მხრიდან და თითქმის 500 ტანკსა და ქვემეხს გერმანიის მხრიდან.

12 ივლისის დილას, საბჭოთა ჯარების შეტევის დაწყებამდე, ჰიტლერელების ზღუდეები საბჭოთა თვითმფრინავებმა „დაამუშავეს“. მეხუთე სატანკო არმიამ დივიზია „ადოლფ ჰიტლერის“ პოზიციას შეუტია, მაგრამ საბჭოთა ტანკისტების განკარგულებაში ძირითადად 76-მილიმეტრიანი ქვემეხებით შეიარაღებული საშუალო T-34 ტანკები იყო, რომლებიც ვერაფერს აკლებდა მძიმე გერმანული „ვეფხვების“ ჯავშანს. საბჭოთა ტანკისტებმა ამას თავიანთი მანქანების სისწრაფე და მანევრულობა დაუპირისპირეს.

ბრძოლა 16 ივლისამდე გაგრძელდა.

გერმანელები იძულებულნი გახდნენ, ხელი აეღოთ კურსკზე. 3 აგვისტოს კი საბჭოთა ჯარები გადამწყვეტ შეტევაზე გადავიდნენ ბელგოროდ-ხარკოვის მიმართულებით.

**კურსკის ბრძოლა სამამულო ომის ერთ-ერთ გარდამტეხ მომენტად ითვლება. სწორედ ამ ბრძოლის შემდეგ შეიქმნა საბჭოთა არმიის საერთო სტრატეგიულ შეტევაზე გადასვლის პირობები. გერმანია და მისი მოკავშირეები მეორე მსოფლიო ომის ყველა თეატრზე თავდაცვაზე გადავიდნენ.**

**ფაშისტური ბლოკის რღვევა დაიწყო.**

## ყველანაირი გათვლითა და დათვლით, დღევანდელ საქართველოში ადამიანად რომ იგრძნო თავი, კალორიული კვება არ მოიკლო, წელიწადში ერთხელ ადამიანურად დაისვენო, სწორედ 2500 ლარი უნდა გქონდეს ჯამაგირი. თქვენ კი ამბობთ: ეს ჯამაგირი საქართველოს მოსახლეობის მხოლოდ 9 პროცენტს აქვსო, და საგანგაშო არაფერია?!

მწარე რეალობა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# დეპუტატ გია ჟორჟოლიანის ახალი ინიციატივა — როგორ «ზრუნავს» ელიტური 9 პროცენტი სანაგვეზე მოსროლილ 91 პროცენტზე

**დეპუტატ გია ჟორჟოლიანის განცხადებას თამამად შეიძლება საუკუნის აღიარება ვუწოდოთ. დეპუტატი ინიციატივით გამოვიდა, რომ 2500 ლარს ზემოთ ხელფასი, 20 პროცენტის ნაცვლად, 30 პროცენტით დაიბეგროს. ერთი შეხედვით თითქოს არაფერია, კანონმდებელს ახალი ინიციატივა აქვს, მაგრამ ნურას უკაცრავად! აი, რას ამბობს ჟორჟოლიანი:**

„ეს არ არის საგანგაშო, რამეთუ მეტი საშემოსავლოს გადახდა საქართველოს მოსახლეობის მხოლოდ 9 პროცენტს მოუწევს, რადგან მხოლოდ მათი შემოსავალი აღემატება 2 500 ლარს. მაგალითისთვის გეტყვით, როგორ აისახება ახალი ინიციატივა მოქალაქეებზე:

თუ თქვენი ხელფასი 3000 ლარია, აქედან 2500 ლარი დაიბეგრება 20 პროცენტით, 500 ლარი კი — 30 პროცენტით. ჩემი აზრით, ამ გზით ბიუჯეტში ნახევარი მილიონი ლარის მობილიზებაა შესაძლებელი, საიდანაც 400 ათასი სოფლის მეურნეობის სუბსიდირებას, დარჩენილი 100 ათასი კი სკოლისა და ბაღის მასწავლებლების ხელფასების გაზრდას უნდა მოხმარდეს...“

ჯერ იმით დავიწყოთ, ბატონო გია, რომ **2012 წელს თქვენ და ხელისუფლებაში მოსული გუნდი, სოფლის მეურნეობის სუბსიდირებას ყოველწლიურად მილიარდი ლარით გეგმავდით, ახლა კი ხელფასების დაბეგვრით აღებული 400 ათასი ლარით გინდათ სოფლის მეურნეობის აყვავება?!** ანუ, 999 მილიონ 600 ათასი ლარი დაგვავიწყდა?!

კეთილი, გავიგეთ, რომ 400 ათასი ლარი გემეტებათ სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის, მაგრამ 100 ათასი ლარი მასწავლებლებზე როგორ უნდა გაანაწილოთ?! მხოლოდ სკოლის პედაგოგების რაოდენობა 65 ათასს სცდება, ამას დაუმატეთ ბაღის აღმზრდელები და ნახავთ, ასი ათასზე მეტი გამოდის. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თითოეულ პედაგოგს ხელფასის სახით ერთ ლარსაც ვერ მოუმატებთ, მაგრამ ამაყად ეტყვით, რომ ეს ის თანხაა, რომელიც მაღალხელფასიანი მოხელეების დაბეგვრით ერგოთ და ისინიც ბედნიერები იქნებიან?!

და მთავარი — **ყველანაირი გათვლითა და დათვლით, დღევანდელ საქართველოში ადამიანად რომ იგრძნო თავი, კალორიული კვება არ მოიკლო, წელიწადში ერთხელ ადამიანურად დაისვენო, სწორედ 2500 ლარი უნდა გქონდეს ჯამაგირი. თქვენ კი ამბობთ, ეს ჯამაგირი საქართველოს მოსახლეობის მხოლოდ 9 პროცენტს აქვს და საგანგაშო არაფერია?!**

არადა, სწორედ ის არის საგანგაშო, ბატონო გია, რომ ის 9 პროცენტს, ანუ თქვენ და თქვენი კოლეგები, ცხოვრობთ ადამიანურად, ქვედა რგოლს კი გროშებს უგდებთ, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. დარწმუნებული ვარ, იმასაც დააყვედრით: ჩვენ მოვიკელით, თქვენ გაძლევთ და კიდევ უმადურები ხართო?!

თქვენი ქონებრივი დეკლარაციით თუ ვიმსჯელებთ, თვეში პირადად თქვენი შემოსავალი 6600 ლარს აჭარბებს; 5 ათას ლარზე მეტი აქვს ყოველთვიურად თქვენს მეუღლეს, ანუ ორივეს შემოსავალი თვეში 12 ათას ლარამდეა. როგორც ხედავთ, რა შემოსავალიც თქვენ გაქვთ ერთ თვეში, პენსიონერს იმაზე ნაკლები აქვს ექვს წელიწადში. იმ ექვს წელიწადში, თქვენ რომ ხელისუფლებაში ხართ, ბატონო გია, და დაპირებულ პენსიას არ ზრდით. თქვენივე დეკლარაციით, ოვერდრაფტი გაქვთ აღებული, ანუ ხელფასი წინასწარ აიღეთ, რადგან **12 ათასი ლარი ერთ თვეში არ გეყოთ, პენსიონერმა კი ექვს წელიწადს უნდა იმყოფინოს. როგორია?! უფრო გასაგებად გეტყვით: რასაც თქვენ 30 დღეში ხარჯავთ, იმას პენსიონერი 2 190 დღეში ხარჯავს. გაიგეთ ახლა?** ხშირად რომ იმეორებთ, ციფრები არ ტყუიანო, გეთანხმებით — არ ტყუიან! ამიტომაა თქვენი „ინიციატივა“ ხალხის დაცინვა. ყველას დაგვცინით, იმ 91 პროცენტს დასცინით, რომელსაც შემოსავალი არ აქვს და თავს სრულფასოვან ადამიანად ვერ გრძნობს იმიტომ, რომ შვილებს ვერ ასვენებს ზაფხულში ზღვაზე, ზამთარში ვერ მიჰყავს მთაში, სკოლაში წასვლის წინ ახალ ტანსაცმელს ვერ ყიდულობს მათთვის, ზაფხულში ბალახეულით იკვებებიან, რადგან ფულს ზოგავენ... ტელევიზიით კი უსმენენ, როგორ დადიან დეპუტატები მსოფლიოს კურორტებზე დასასვენებლად, როგორ პოზირებენ ოჯახთან ერთად ფოტოაპარატების წინ და მერე იმის გარჩევა მიდის საშემოდგომო სესიაზე, ვინ უკეთესი დრო გაატარა.




## არ გრცხვენიათ, თვეში 180 ლარის მოიმედე ადამიანებთან 12-ათასლარიანი ჯამაგირის პატრონი რომ მიდიხართ და ეუბნებით: 20 ლარით მოგემატებათ პენსია და ხმა მოგვეცითო?!

გულწრფელად გეკითხებით: **რატომ გგონიათ, რომ 91 პროცენტმა დასვენება არ იცის ან მათ შვილებს თქვენი შვილები სჯობია? რა, მათ ნაკლები მადა და გემოვნება აქვთ?** რატომ გგონიათ, რომ ოჯახი თქვენზე ნაკლებად გვიყვარს? და თუ ასე არ გგონიათ, სად არის დაპირებული საწარმოები, სად არის მომატებული ხელფასები, სად არის საოცარი მეოთხე წელიწადი, სად?! თუ, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ რომ აპირებთ 20 ლარით პენსიის გაზრდას, ეგ არის ყველაფერი?! **არ გრცხვენიათ, თვეში 180 ლარის მოიმედე ადამიანებთან 12- ათასლარიანი ჯამაგირის პატრონი რომ მიდიხართ და ეუბნებით: 20 ლარით მოგემატებათ პენსია და კმაყოფილები იყავით, ხმა მოგვეცითო?!**

ხმა კი იმიტომ უნდა მოგცენ, მომდევნო 4 წელიწადი ისევ 12 ათასი ლარი რომ აიღოთ, თუნდაც 30 პროცენტით დაბეგრილი?! მაგრამ აქაც ძაღლის თავია დამარხული — 2500 ლარამდე 20%-ით დაიბეგრებით, ზემოთ კი — 30-ით.

და იმ კანონს რას უშვებით, ბატონო გია, რომლის მიხედვით, მუნიციპალიტეტების პირველ პირებს მარტივად რომ შეუძლიათ ყოველწლიურად ხელფასი 20%-ით გაიზარდონ?! ჰო, ყოველწლიურად და ეს კანონის ფარგლებში ჯდება. მარტივ მაგალითს მოგიყვანთ: მუნიციპალიტეტების მერებს მინიმუმ 4000 ლარი აქვთ ხელფასი. თქვენ რომ დაბეგრავთ 2500 ლარს 20%-ით და 1500 ლარს 30%-ით, ისინი წლის ბოლოს ხელფასს (ჩვენს ხარჯზე) მოიმატებენ 20%-ით და გაუხდებათ 4800 ლარი, მერე კიდევ 20%-ით და გასცდებიან ასე 6000 ლარს. ახლა თქვენ ამას სათავისოდ შეატრიალებთ და იტყვით, რაც უფრო მაღალი ხელფასი ექნებათ, მით მეტი შემოსავალი შევა დაბეგვრიდან ბიუჯეტშიო. მაშინ დამინიშნეთ თვეში 10 ათასი ლარი, 3 ათასით დამბეგრეთ და ხმის ამომღების დედა ვატირე. ჰო, დედა ვატირე... ძნელია კორექტული იყო, როცა დეპუტატი, ფრაქციის თავმჯდომარე ასე ღიად დაგცინის, ასე ღიად გეუბნება: შენ არარაობა ხარ, მე ვარ ყველაფერი და ეს აიტანეო. ძნელია იმის მოსმენა, როცა იგებ, რომ მოსახლეობის 9%-ის ოჯახები უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე შენი ოჯახი; ის, რომ ვიღაცას ათი შვილი ჰყავს და სახელმწიფოსგან თვეში 400 ლარს იღებს, ანუ დღეში 12 სული 13 ლარად უნდა იკვებოს და ორ სულს 12 ათასი ლარი, ანუ დღეში 400 ლარი არ ჰყოფნის, ეცოტავება, ბანკის სესხი სჭირდება. ხვდებით მაინც, ბატონებო, სადამდე დაეშვით? ხვდებით, რომ ეგ 9% დანარჩენ 91%-ს სულში აფურთხებთ, თავზე ლაფს ასხამთ და სულაც არ გაინტერესებთ, როგორი რეაქცია ექნებათ!

**ნამდვილად ვერ გეტყვით, გაიტანენ თუ არა ამ კანონპროექტს ან დაიბეგრება თუ არა „უკვდავთა“ 9 პროცენტი დამატებით, მაგრამ ფაქტია, რომ ისინი მოსახლეობაზე არ ფიქრობენ.** ფაქტია, რომ პედაგოგებისთვის ხელფასების ზრდა ამ პრინციპით სასაცილოც აღარ არის, სოფლის მეურნეობაში ჩადებული 400 ათასი ლარი კი... 400 ათას ლარზე მეტი გამართული ტრაქტორი ღირს და, ერთი ტრაქტორით თუ ვაპირებთ აშენებას, ვთხოვოთ, ბელარუსის პრეზიდენტს, დამიჯერეთ, გვაჩუქებს და ინტერესით დაგვაკვირდება, ერთი ტრაქტორით როგორ ავყვავდებით. ევროპასა და ამერიკას რომ ვედრებით, ეგებ ჯერ სოციალური პროგრამებითა და ქვედა რგოლის ხელფასებით გავეჯიბროთ და მერე დანარჩენით. თუ ეს არ არის მომგებიანი თქვენთვის?! ყველაზე სასაცილო ამ ამბავში ისაა, რომ ელიტარული 9 პროცენტი სანაგვეზე მოსროლილი 91 პროცენტის არჩეულია, ჰო, სანაგვისთვის გამატებულ ადამიანთა არჩეული.

## გულწრფელად გეკითხებით: რატომ გგონიათ, რომ 91 პროცენტმა დასვენება არ იცის ან მათ შვილებს თქვენი შვილები სჯობია? რა, მათ ნაკლები მადა და გემოვნება აქვთ? რატომ გგონიათ, რომ ოჯახი თქვენზე ნაკლებად გვიყვარს? და თუ ასე არ გგონიათ, სად არის დაპირებული საწარმოები, სად არის მომატებული ხელფასები, სად არის საოცარი მეოთხე წელიწადი, სად?!

**ბესო ბარბაქაძე**

მოკლედ

## შინაგან საქმეთა მინისტრმა გიორგი გახარიამ იტალიასთან ურთიერთგაგების მემორანდუმს მოაწერა ხელი

**გუშინ საქართველოს პრეზიდენტის რეზიდენციაში შინაგან საქმეთა მინისტრმა გიორგი გახარიამ და იტალიის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა და საერთაშორისო თანამშრომლობის მინისტრმა ენცო მოავერო მილანეზიმ ურთიერთგაგების მემორანდუმს მოაწერეს ხელი.**

ურთიერთგაგების მემორანდუმი ხელს შეუწყობს მხარეთა შორის საპოლიციო თანამშრომლობის გაღრმავებას, რაც ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის სხვადასხვა ფორმის თავიდან აცილებასა და მათ წინააღმდეგ ეფექტურ ბრძოლას გულისხმობს.



ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„დღეს სოციალური ექსპერიმენტი ზუსტად იმავე მეთოდებითა და საშუალებებით გრძელდება — არასამთავრობო სექტორის მკაცრი კონტროლის ფონზე მუშავდება სახელმძღვანელო, მიდის განხილვები (ერთი შეხედვით ვითომ საჯაროდ) და ხელოვნურად ქმნიან შთაბეჭდილებას, თითქოს საზოგადოება ყველაფრის საქმის კურსშია. სინამდვილეში სწორედ საზოგადოების ზურგს უკან ხდება იმ მზაკვრული გეგმისა და ჩანაფიქრის სისრულეში მოყვანა, რომლის მიზანიც ახალგაზრდების ზომბირებაა თანამედროვე დასავლური ნეოლიბერალური პროპაგანდით“.**



დიმიტრი ლორთქიფანიძე:

# არ შეიძლება, ქვევით პროკურორის გეშინოდეს ან ევროკომისიის და მაღლა ღმერთის — არა...

**სოციალური ექსპერიმენტი ზუსტად იმავე მეთოდებითა და საშუალებებით გრძელდება. განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ლია გიგაური მედიასთან აცხადებს, რომ სკოლებში ახალი საგნის — რელიგიის ისტორიის სწავლებასთან დაკავშირებით უწყების ბაზაზე შექმნილ სპეციალურ სამუშაო ჯგუფში ამჟამად საქართველოში მოქმედი ყველა კონფესიის წარმომადგენელი შევიდა. მისი თქმით, ამ ეტაპზე ჯგუფის ფარგლებში საგნის სწავლების მიზნებსა და სტანდარტებზე აზრთა გაცვლა-გამოცვლა მიმდინარეობს, თუმცა სახელმძღვანელოს ძირითადი პრინციპები და მიმართულებები ჯერჯერობით განსაზღვრული არ არის. „სამუშაო შეხვედრები დაიწყო, კომუნიკაცია შედგა სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან. პირველ რიგში უნდა განისაზღვროს საგნის სწავლების მიზნები, შემდეგ უნდა შეჯერდეს ჯგუფი სტანდარტებზე და ამის შემდეგ უნდა ვიფიქროთ სარეკომენდაციო პროგრამაზე... განხილვებში ჩართულია ყველა რელიგიური კონფესიის წარმომადგენელი“, — განაცხადა მან.**

## რა მიზნით შემოაქვთ სკოლებში ახალი საგანი «რელიგიის ისტორია»?

**მისივე განმარტებით, სამინისტრო და პარლამენტი ამ ეტაპზე სამუშაო ჯგუფთან ერთად აქტიურ კონსულტაციებს გადის, პრიორიტეტების განსაზღვრის შემდეგ კი უწყება სტანდარტებსა და სარეკომენდაციო პროგრამაზე შეჯერდება...**

**შეგახსენებთ, რომ 12 ივლისს პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარე მარიამ ჯაშმა მედიასთან სკოლებში რელიგიის ისტორიის სწავლების შემოღების მნიშვნელობასა და აუცილებლობაზე ისაუბრა. მისი თქმით, აღნიშნული საგანი და კონკრეტულად თეოლოგიის ძირითადი პრინციპების სწავლება ქვეყანაში რელიგიის სახელით დაპირისპირების აღმოფხვრას, ურთიერთპატივისცემის დამკვიდრებასა და შემწყნარებლობას შეუწყობს ხელს. კონკრეტულად რა მიზანს ემსახურება ამ საგნის სწავლების შემოღება და, საერთოდ, საიდან ქრის ქარი, „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება უფლებადამცველი დიმიტრი ლორთქიფანიძე.**

**— ბატონო დიმიტრი, მარიამ ჯაში აცხადებს, რომ სკოლებში თეოლოგიის პრინციპების სწავლება აუცილებელია, რათა ქვეყანაში რელიგიური კონფლიქტები აღარ მოხდეს. საგანი „რელიგიის ისტორია“ სასწავლო პროგრამაში 2018-19 სასწავლო წლის მეორე სემესტრიდან შევა, თუმცა სახელმძღვანელოს ძირითადი პრინციპები და მიმართულება ჯერჯერობით განსაზღვრული არ არის. რა აზრის ხართ ამ ყველაფერზე და, თქვენი აზრით, რა მიზნით კეთდება ეს?**

— პრაქტიკულად აქ საუბარია ისევ იმ სოციალური ექსპერიმენტების გაგრძელებაზე, რომლებიც თავის დროზე არ გამოუვიდა **თამარ სანიკიძეს** — განათლების ყოფილ მინიტრს. მაშინ საზოგადოების დიდმა ნაწილმა განგაში ატეხა საგანმანათლებლო ბადეში ახალი საგნის **„მე და საზოგადოების“** შეტანის მცდელობაზე. გახსოვთ, ალბათ, მაშინ ამ პროცესს წინ უძღოდა ისეთივე მოვლენები, როგორიც დღეს (ვგულისხმობ იმ მეთოდური სახელმძღვანელოების შემუშავებას, რომლებიც საფუძვლად უნდა დადებოდა ამ საგნის სწავლებას). გარდა ამისა, ინტენსიურად მიდიოდა ბაკალავრი ახალგაზრდა პედაგოგების გადამზადება, რათა სისტემას რეალურად ჰყოლოდა ახალი კადრები და მათი მეშვეობით უმოკლეს დროში მომხდარიყო საგნის დანერგვა. **რომ ნახოთ, რა სახის რეკომენდაციებს შეიცავდა ეს პროექტი, შეიძლება არ დაიჯეროთ — იქ იყო ისეთი ტიპის თამაშები, რომლებიც 7-დან 13 წლამდე ბავშვებისთვის იყო გათვალისწინებული და მასში პირდაპირ ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენდა მოზარდების „ცნობიერების ამაღლება“ არატრადიციულ სექსუალურ ორიენტაციაზე...**

**— ზოგადი საუბარი რომ არ გამოგვივიდეს, მაგალითებით დავაკონკრეტოთ: რა სახის სწავლებას გულისხმობდა ეს საგანი?**

— მაგალითად, ბავშვს უნდა წარმოედგინა, რომ წითელქუდა არის ვაჟი გოგონას ტანისამოსში, რომელიც საკუთარი სექსუალური იდენტობით განსხვავებულია, და ეს თურმე სრულიად ნორმალურია. მოსწავლეებს ასევე მონაწილეობა უნდა მიეღოთ სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ გარკვეულ თამაშებში და თითოეულ მათგანს უნდა განესახიერებინა ესა თუ ის პერსონაჟი: ბიჭებს უნდა შეესრულებინათ გოგონების როლი — ჩაეცვათ მათი ტანსაცმელი და ა.შ. აქ საუბარია იმაზე, რომ **ე.წ. მესამე სქესის არსებობა, როგორც მოცემულობა, უნდა ყოფილიყო ბავშვებამდე დაყვანილი.** მე პირდაპირ შემიძლია გითხრათ, რომ მაშინ ამ ყველაფერს ლობირებდა ქალბატონი თამარ სანიკიძე და მასთან ერთად პროცესში აქტიურად იყო ჩართული არასამთავრობო სექტორიც. სხვათა შორის, განათლების ამჟამინდელი მინისტრის მოადგილეს, ქალბატონ **ლია გიგაურს,** მაშინაც მნიშვნელოვანი ფუნქცია ჰქონდა. ის, ფაქტობრივად, ამ პროცესის ერთ-ერთი მთავარი წარმმართველი იყო. თქვენ წარმოიდგინეთ, **55-ე საჯარო სკოლაში ჩვენ გამოვავლინეთ დანაშაულებრივი ფაქტი, როცა 118 მასწავლებელს ხელი მოაწერინეს დოკუმენტზე, თითქოს ისინი გაეცნენ საგნის „მე და საზოგადოების“ შინაარსს და მოიწონეს. ხელმოწერები, რა თქმა უნდა, გაყალბებული იყო და ჩვენ ეს მტკიცებულებები დავდეთ, თუმცა უშედეგოდ — ცხადია, არ მოხდა იმ ადამიანების გამოვლენა, რომლებმაც ეს ყველაფერი დაგეგმეს და განახორციელეს.**

რაც შეეხება რელიგიის ისტორიის სწავლებას, როგორც გითხარით, **დღეს სოციალური ექსპერიმენტი ზუსტად იმავე მეთოდებითა და საშუალებებით გრძელდება — არასამთავრობო სექტორის მკაცრი კონტროლის ფონზე მუშავდება სახელმძღვანელო, მიდის განხილვები (ერთი შეხედვით ვითომ საჯაროდ) და ხელოვნურად ქმნიან შთაბეჭდილებას, თითქოს საზოგადოება ყველაფრის საქმის კურსშია. სინამდვილეში სწორედ საზოგადოების ზურგს უკან ხდება იმ მზაკვრული გეგმისა და ჩანაფიქრის სისრულეში მოყვანა, რომლის მიზანიც ახალგაზრდების ზომბირებაა თანამედროვე დასავლური ნეოლიბერალური პროპაგანდით.** აი, ასე ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ ხორციელდება თაობების ცნობიერების დამახინჯება და გაუკუღმართება, მაგრამ, საბედნიეროდ, ჩვენი საზოგადოების დიდი ნაწილი ამას ხვდება და სწორად აფასებს...

**— თქვენი აზრით, თუკი ეს საგნები სკოლაში დაინერგა და მათი სწავლება დაიწყო, რა იქნება შედეგი — რა გავლენას მოახდენს ის რეალურად ახალგაზრდების ცნობიერებაზე?**

— ცალკე აღებული ნებისმიერი მსგავსი მცდელობა საერთო გეგმის მხოლოდ ნაწილია, მთლიანობაში კი **მიზანი თანამედროვე დასავლური ტიპის ნეოლიბერალური საზოგადოების ჩამოყალიბებაა.**

რატომ დადგა ახლა დღის წესრიგში კონრეტულად რელიგიის ისტორიის სწავლება? მოგეხსენებათ, საქართველოს კონსტიტუციაში არსებობს ჩანაწერი, რომლიდანაც ჩანს, რომ მართლმადიდებელ ეკლესიას განსაკუთრებული როლი მიუძღვის საქართველოს სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებაში. დასავლური სტრუქტურები და განსაკუთრებით რასიზმისა და შეუწყნარებლობის კომისია ამ ფაქტს განიხილავს, როგორც დიკრიმინაციას. შესაბამისად, მუდმივად არის რეკომენდაციები სხვა რელიგიური კონფესიების უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებაზე. სხვათა შორის, ნონსენსია ისიც, რომ ახლახან სომხეთის სამოციქულო ეკლესია საქართველოს იურიდიულ სივრცეში დარეგისტრირდა, როგორც სომხეთის სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესია. პირდაპირ შემიძლია გითხრათ, რომ ეს არის სამართლებრივი აბსურდი, ვინაიდან ნებისმიერი ეკლესია, რომელიც მართლმადიდებლობისგან შორს დგას, არ შეიძლება სარგებლობდეს ამ სახელით.

## არ შეიძლება, ბავშვს ნათლავდე, წირვებში მონაწილეობდე, ჯვარს იწერდე და ამ დროს, იმისთვის, რომ თბილი კაბინეტი არ დაკარგო, საქმით განეშორებოდე ეკლესიას

აქვე ვისარგებლებ შემთხვევით და კიდევ ერთ მნიშვნელოვან ფაქტს შევეხები: მიუხედავად იმისა, რომ 2010 წელს ქვეყანაში მოქმედ ყველა ძირითად რელიგიურ კონფესიას მიენიჭა სამართლებრივი სტატუსი და ბიუჯეტი ყოველწლიურად დაახლოებით ოთხ მილიონ ლარს გამოყოფს მათი ძირითადი მიზნებისა და საჭიროებებისთვის, **სულ ახლახან საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო უპრეცენდენტო გადაწყვეტილება და არასამართლიანად ცნო ის ფაქტი, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, თანახმად კონკორდატისა და მინიჭებული უფლებებისა, სარგებლობს გარკვეული შეღავათებით.** ამით, ფაქტობრივად, მოხდა იმ ადამიანების უფლებების უხეში შელახვა, რომლებმაც თავის დროზე მონაწილეობა მივიღეთ ჩვენი კონსტიტუციის ფორმირებაში და მხარი დავუჭირეთ კონკორდატის გაფორმებას. აი, ასეთი და სხვა მსგავსი ფაქტები არის თვალსაჩინო მაგალითი იმისა, რომ ხორციელდებოდა და დღესაც ხორციელდება მუდმივი ზეწოლა საქართველოს მართლმადიდებელ ეკელესიაზე, თუმცა ჩვენი ეკლესია არ არის ამჟამად დარტყმის ერთადერთი ობიექტი. მინდა გითხრათ, რომ რუსეთის ეკლესიის მიმართაც ძალიან გაავებული კამპანია მიმდინარეობს და ამის დასტური იყო ის ფაქტიც, რომ 2017 წლის 4 დეკემბერს ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი რუსი მიტროპოლიტის, მეუფე ილარიონ ალფეევის, ვიზიტს საქართველოში მოჰყვა პოლიტიკური მნიშვნელობის აქტი შეერთებული შტატებისგან, რომელმაც საპასუხოდ სულ რამდენიმე კვირაში ვაშინგტონში თორმეტი ქართველი ეპისკოპოსი წაიყვანა. საერთოდ, **ამერიკა და მთლიანად დასავლეთი ბოლო დროს ძალიან ეჭვიანობს ქართულ-რუსულ ურთიერთობებზე, თუმცა მე, როგორც ამ ურთიერთობების საზოგადოებრივი ცენტრის დირექტორი, კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, რომ ჩვენთვის — ქართველებისთვის, რომლებსაც მილიონიანი დიასპორა გვყავს რუსეთში, სულ ერთი არ უნდა იყოს, როგორი უფლებრივი სტატუსის ქვეშ იცხოვრებენ ისინი რუსეთის ფედერაციაში...**

**— თქვენ თქვით, რომ ეკლესიაზე დასავლეთისგან მუდმივად ხორციელდება ზეწოლა. რას ეტყოდით ხელისუფლების იმ წარმომადგენლებს, რომლებიც ოპოზიციაში ყოფნისას თავიანთი კონსერვატული იდეებით გამოირჩეოდნენ და დღეს, ფაქტობრივად, გარე ძალების დირექტივების უსიტყვო შემსრულებლებად გვევლინებიან?**

— უბრალოდ მინდა, კიდევ ერთხელ გამოვხატო ჩემი დამოკიდებულება ხელისუფლების წარმომადგენლების მიმართ და ვთქვა, რომ არ შეიძლება, ქვევით პროკურორის გეშინოდეს ან ევროკომისიის და მაღლა ღმერთის არა; არ შეიძლება, ბავშვს ნათლავდე, წირვებში მონაწილეობდე, ჯვარს იწერდე და ამ დროს, იმისთვის, რომ თბილი კაბინეტი არ დაკარგო, საქმით განეშორებოდე ეკლესიას. მინდა, მჯეროდეს, რომ აქ, საქართველოს პოლიტიკურ სპექტრში, ადრე თუ გვიან გამოჩნდებიან ადამიანები, რომლებიც მხარს არ დაუჭერენ ქვეყნის ძირგამომთხრელ საქმიანობას. ისედაც გვეყოფა იმ პოლიტიკოსების ერთობები, იქნებიან ეს ბოკერიები და უსუფაშვილები თუ „მდიდარი სექსუალური წარსულის მქონე“ პრეზიდენტი, რომლებიც გარედან იმართებიან. ახლა საჭიროა ჯანსაღი ძალები, რომლებსაც ვერავინ და ვერაფერი ვერ შეაშინებს — ვერც კომფორტისა და კეთილდღეობის დაკარგვის შიში და ვერც გარე ძალის მუქარა ძალაუფლების წართმევაზე...

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

**პრობლემა ისაა, რომ მოსახლეობა გადაღლილია, შესაბამისად, ბახტაძის კაბინეტს ძალიან მცირე დრო აქვს იმისთვის, რომ პირველი წარმატებების დემონსტრირება მოახდინოს. აქედან გამომდინარე, ის შეიძლება პიარის მძევალი გახდეს, რაც საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლებისთვის, პრინციპში, ბუნებრივი მდგომარეობაა.**



დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**გასულ კვირას მთავრობა, როგორც იქნა, საბოლოოდ დაკომპლექტდა. მიუხედავად იმისა, რომ საკადრო როტაციას ტოტალური ხასიათი არ ჰქონია, ზოგიერთი ცვლილება პრინციპულია და დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს.**

# ქობულიას ლობიო



მიხეილ ბატიაშვილი



გიორგი ქობულია



ივანე მაჭავარიანი

აღმასრულებელ ხელისუფლებაში შემცირდა ზონა, რომელიც ადრე ბიძინა ივანიშვილის უშუალო კონტროლს არ ექვემდებარებოდა და პრემიერმინისტრის პასუხისმგებლობის სფეროს მიეკუთვნებოდა. გამორიცხული არაა, რომ სწორედ ამ „ჩრდილოვან ზონაში" მოხდა „რაღაც", რამაც აიძულა ბიძინა ივანიშვილი, საჯარო პოლიტიკაში დაბრუნებულიყო, შემდეგ კი გიორგი კვირიკაშვილი გადაეყენებინა (ის, რომ ეს იყო სწორედ გადაყენება და არა გადადგომა, კონსენსუსს საზოგადოების ლამის 99%-მა მიაღწია).

ბოლო დღეებში პროსახელისუფლო პროპაგანდისტები სოციალურ ქსელებში აქტიურად ავრცელებენ ინფორმაციას, რომ ბიძინა ივანიშვილი აღაშფოთა გიორგი კვირიკაშვილისა და მამუკა ხაზარაძის ალიანსმა, მათმა დამოუკიდებელმა ნაბიჯებმა ანაკლიის პორტის პროექტის თაობაზე და ა.შ. ისინი წერენ, რომ ამ ორი პირის წინააღმდეგ შეიძლება სისხლის სამართლის საქმე აღიძრას, ხოლო **დიმიტრი ქუმსიშვილსა** და ინფრასტრუქტურის ყოფილ მინისტრ **ზურაბ ალავიძეს** ქვეყნიდან გასვლა აუკრძალეს. მიუხედავად იმისა, რომ შს მინისტრმა **გიორგი გახარიამ** ყოველივე ამას „ჭორები" უწოდა, ეს ადამიანები ცდილობენ, სიტუაცია ისე წარმოაჩინონ, თითქოს ადგილი ჰქონდა რაღაც დიდ შეთქმულებას. ისინი თავს არ იწუხებენ იმაზე ფიქრით, რომ შეიძლება ხაზარაძის ბანკის კლიენტები დააფრთხონ. **გამორიცხული არაა, რომ ეს სტრეს-ტესტია, რომლის მეშვეობით ხელისუფლება ცდილობს, ხაზარაძეს ცუდად გათვლილი ნაბიჯებისკენ უბიძგოს.**

საქართველოში ყველა დიდი ფულის პატრონი, 99%-იანი ალბათობით, მოხვდება ივანიშვილის „ეჭვმიტანილთა სიაში" ჯერ გადატანითი, შემდეგ კი, შესაძლოა, პირდაპირი მნიშვნელობით. ზოგადად კი, ოლიგარქიული სისტემა ხელს უწყობს მძიმე კონსპიროლოგიური ეჭვების გაჩენას, თუმცა კვირიკაშვილს (ხაზარაძესთან ერთად ან დამოუკიდებლად) მართლა შეეძლო, გადაელახა რაღაც უხილავი ზღვარი და ივანიშვილმა ეს დაუმორჩილებლობის გამოვლინებად აღიქვა. **მას, სავარაუდოდ, არასდროს უთქვამს კვირიკაშვილისთვის: „ეს შეიძლება, ეს კი არაო" (ინსაიდერები ირწმუნებიან, რომ კვირიკაშვილი ამის გამო ხშირად ორჭოფობდა), პრემიერს კი უნდა ეგრძნო, რომ ივანიშვილის „კომფორტის ზონაში" შეიჭრა, მაგრამ ამის უნარი არ აღმოაჩნდა. ამჟამად ყოფილი პრემიერი დუმს, როგორც პარტიზანი დაკითხვაზე და მხოლოდ იმას ამბობს, რომ „საჯარო აქტივობა დაასრულა".**

მიუხედავად იმისა, რა შეცდომები დაუშვეს კვირიკაშვილმა და ქუმსიშვილმა, ის, რაც მათ თავს ხდება (სავარაუდო დაჭერასთან დაკავშირებული კამპანიის ჩათვლით) აღიქმება ათასობით ჩინოვნიკის მიერ, როგორც მესიჯი ლოიალურობის დადასტურების აუცილებლობაზე. საკადრო ცვლილებები მხოლოდ ეკონომიკურ ბლოკში მოხდა, ძალოვან უწყებებში არაფერი შეცვლილა, აგრეთვე იმ სამინისტროებში, რომელსაც ადრეც ივანიშვილის პირდაპირი ვასალები აკონტროლებენ (ჯანდაცვა, ინფრასტრუქტურა). ცალკე განხილვას იმსახურებს იუსტიციის სამინისტრო. მიუხედავად იმისა, რომ ივნისში მომიტინგეები, არასამთავრობოების ნაწილი, აგრეთვე ნაცები და ევრონაცები თეა წულუკიანის გადადგომას მოითხოვდნენ. ის არა მხოლოდ დარჩა პოსტზე, არამედ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა იმაში, რომ მთავარი პროკურორი მასთან დაახლოებული შალვა თადუმაძე გახდა; ამასთანავე, სასჯელაღსრულების სამინისტროც „შემოიერთა". ამით ივანიშვილმა ოპონენტებს თითქოს ესკალაციის გაღრმავება შესთავაზა, თუმცა მათი რეაქცია არც ისე შთამბეჭდავი გამოდგა. „ქართულმა ოცნებამ" დაპირისპირება მისთვის სასურველ კალაპოტში გადაიტანა და სიტუაცია ისე წარმოაჩინა, თითქოს წულუკიანის გადადგომას მხოლოდ ნაციონალები მოითხოვენ, მაშინ, როდესაც პრეტენზიები მინისტრის მიმართ სხვებსაც დაუგროვდათ. ეს „ქართული ოცნების" „კლასიკური" პოლიტტექნოლოგიური შაბლონია — ნებისმიერი პრობლემის დაკავშირება ნაციონალების ინტრიგებთან.

**ახალი მინისტრების შესახებ ძალიან ცოტაა ცნობილი. მიხეილ ბატიაშვილის დანიშვნამ მეტწილად დადებითი გამოხმაურებები გამოიწვია. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი როლი მის დაწინაურებაში, სავარაუდოდ, იმან შეასრულა, რომ მას დიდი უმაღლესი სასწავლებლის «აწყობის» და მართვის გამოცდილება აქვს, ხოლო ბიძინა ივანიშვილს სურს, ტექნოლოგიური უნივერსიტეტის პროექტი ბოლომდე მიიყვანოს**

ახალი მინისტრების შესახებ ძალიან ცოტაა ცნობილი. მიხეილ ბატიაშვილის დანიშვნამ მეტწილად დადებითი გამოხმაურებები გამოიწვია. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი როლი მის დაწინაურებაში, სავარაუდოდ, იმან შეასრულა, რომ მას დიდი უმაღლესი სასწავლებლის „აწყობის" და მართვის გამოცდილება აქვს, ხოლო ბიძინა ივანიშვილს სურს, ტექნოლოგიური უნივერსიტეტის პროექტი ბოლომდე მიიყვანოს, თუმცა ცხადია, ეს არ იყო ერთადერთი კრიტერიუმი. ფინანსთა მინისტრობის კანდიდატ — ივანე მაჭავარიანს ფართო საზოგადოება შედარებით ცუდად იცნობს. თავის გამოსვლაში ის, ახალი პრემიერმინისტრის მსგავსად, კარგად აღწერდა პრობლემებს, მაგრამ ძალზე ბუნდოვნად საუბრობდა მათი გადაწყვეტის გზებზე.

**ფინანსთა მინისტრობის კანდიდატ ივანე მაჭავარიანს საზოგადოება შედარებით ცუდად იცნობს. თავის გამოსვლაში ის, ახალი პრემიერმინისტრის მსგავსად, კარგად აღწერდა პრობლემებს, მაგრამ ძალზე ბუნდოვნად საუბრობდა მათი გადაწყვეტის გზებზე**

რაც შეეხება ეკონომიკის მინისტრს, აქ აღწერასთან დაკავშირებით გარკვეული სირთულეები შეიქმნა. ციტატა (მაგალითის სახით): „ანაკლიის პროექტზე ბევრი ლაპარაკი იყო. ეს არის მთლიანობაში საქართველოს ლოგისტიკური ჰაბის სტრატეგიის საკითხი. არ შეიძლება ანაკლიის პორტი ცალკე იყოს. ჩვენთვის, როგორც მთავრობისთვის, მნიშვნელოვანია მთლიანად ქვეყნის სარგებელი. ანაკლიის პროექტი არის აბსოლუტურად განსახილველი პრიორიტეტი. აქ არის საუბარი ამ საკითხის კომპლექსურად შესწავლაზე და ჩვენ კიდევ ერთხელ უნდა გადავხედოთ მას. ჩემთვისაც პრიორიტეტია, ეს არის ერთ-ერთი უმსხვილესი პროექტი და როგორ შეიძლება ჩემთვის პრიორიტეტი არ იყოს. საქმე იმაშია, რომ სიტუაცია ძალიან სწრაფად იცვლება ტვირთბრუნვების თვალსაზრისით. ჩვენ უნდა გადავხედოთ კიდევ ერთხელ. ჩემს გუნდთან საუბარი მქონდა, რომ კიდევ ერთხელ უნდა ავწიოთ ის კვლევები, რომელიც გაკეთებული იყო და შეიძლება განვაახლოთ და კიდევ ერთხელ შევხედოთ ამას უფრო ახალი თვალით... როგორ გავხადოთ საქართველო ჰაბად და როგორ გამოვიყენოთ მაქსიმალურად ეს კორიდორი — ჯერჯერობით პასუხი ამ კითხვაზე არ მაქვს, მაგრამ გვექნება".

**რაც შეეხება ეკონომიკის მინისტრს, აქ აღწერასთან დაკავშირებით გარკვეული სირთულეებია. მისი ნათქვამიდან ვინც აზრის გამოტანა მოახერხა, ალბათ, პრემია და ფულადი ჯილდო ეკუთვნის**

მისი ნათქვამიდან ვინც აზრის გამოტანა მოახერხა, ალბათ, პრემია და ფულადი ჯილდო ეკუთვნის, უმრავლესობამ კი ვერაფერი გაიგო და მინისტრობის კანდიდატს დაზუსტება დასჭირდა, რომ იგულისხმა არა ანაკლიის პროექტის, არამედ საქართველოს, როგორც ლოგისტიკური ჰაბის, და დერეფნის სტრატეგიის გადახედვა, თუმცა მეორე, „განმარტებითი" ციტატის მოყვანას აშკარად სადისტური ხასიათი ექნება. ზოგადად კი, დამსწრე საზოგადოების კონცენტრირება ანაკლიის პორტზე კვირკაშვილთან დაკავშირებული ეჭვებისა და ვარაუდების გამოძახილს წარმოადგენდა.

ორიოდე სიტყვა, ალბათ, კანდიდატის მეხსიერებაზეც უნდა ითქვას. ,,ბატონ მიხეილ სააკაშვილთან მე შეხვედრილი ვარ სადღაც 2007 წელს. შეიძლება გახსოვთ, იყო ასეთი ინიციატივა, რომ საქართველოს ფარგლებს გარეთ მოღვაწე ეკონომისტების რაღაც კომისიასავით შეიქმნა და ამ ფარგლებში მახსოვს ჩამოსული ვიყავი. რაღაც კრიზისი იყო, ხომ გახსოვთ. მერე მახსოვს ძაან კარგად მცხეთაში წავედით, სალობიეში და ეს ძაან კარგად დამამახსოვრდა. კარგი იყო რა. წაგვიყვანეს ყველა და კაი ლობიო იყო განსაკუთრებით რა" *(სტილი დაცულია),* — განაცხადა გიორგი ქობულიამ. საქმე ისაა, რომ სააკაშვილმა პირველი შეხვედრა უცხოეთში მოღვაწე ქართველ ეკონომისტებთან, რომელსაც ქობულიაც ესწრებოდა, 2009 წლის 31 იანვარს გამართა, მეორე კი 2 თებერვალს. „გვინდა რომ შევქმნათ დიდი საერთაშორისო საბჭო ჩვენი წარმატებული, საზღვარგარეთ მყოფი თანამემამულეებისგან კრიზისის საწინააღმდეგოდ", — განაცხადა მან. ის ცალსახად გულისხმობდა მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისს, რომელიც 2008 წელს დაიწყო, და არა 2007 წლის ამერიკულ იპოთეკურ კრიზისს და მის თანმდევ 2007-08 წლების ფინანსურ კრიზისს. შესაბამისად, ან 2007-ში ადგილი ჰქონდა სხვა ჯგუფურ შეხვედრას, რაც ნაკლებ სავარაუდოა, ან ქობალიას ეშლება. ეს, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო შეცდომაა, მაგრამ **2007 წლის საქართველო და 2009 წლის ომგამოვლილი საქართველო ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავდება, მათ წინაშე სხვადასხვა ეკონომიკური გამოწვევები (მათ შორის მსოფლიო კრიზისის გამო) იდგა. როგორც ჩანს, ქობულიამ ეს ვერ დაიმახსოვრა. კარგია, რომ ლობიო მაინც ახსოვს.**

ამ დეტალებს თავი რომ დავანებოთ, მინისტრობის კანდიდატმა პრიორიტეტები მთლიანობაში სწორად მონიშნა — მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება, ინდუსტრიალიზაცია და ახალი საწარმოების შექმნა, ინვესტიციების მოზიდვა აგრარულ და მომიჯნავე სექტორებში და მათი განვითარება — ყველაზე შთამბეჭდავი ამ კონტექსტში აგროპოლისების შექმნის იდეა იყო, მაგრამ კონკრეტიკის გარეშე ეს, ალბათ, მაინც პოეზია იყო. რა ინდუსტრიალიზაცია? რა მასშტაბის? რა რესურსებით? ამ ეტაპზე შეგვიძლია მხოლოდ ის ვივარაუდოთ, რომ ლობიო ერთ-ერთი პრიორიტეტი იქნება, ვინაიდან ის მინისტრს ასე (მწარედ?) დაამახსოვრდა.

ეკონომიკური ბლოკის მუშაობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ყველაზე თამამ რეფორმებსაც კი მყისიერი ცვლილებები არ მოაქვს. **პრობლემა ისაა, რომ მოსახლეობა გადაღლილია, შესაბამისად, ბახტაძის კაბინეტს ძალიან მცირე დრო აქვს იმისთვის, რომ პირველი წარმატებების დემონსტრირება მოახდინოს. აქედან გამომდინარე, ის შეიძლება პიარის მძევალი გახდეს, რაც საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლებისთვის, პრინციპში, ბუნებრივი მდგომარეობაა.** რაოდენ ბანალურადაც უნდა გაიჟღეროს, იძულებულნი ვართ, ვაცადოთ. ამ ეტაპზე სხვა გზა არ გვაქვს.

გეოპოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„მძევლებთან დაკავშირებულმა კრიზისმა გააფუჭა ამერიკისა და ირანის ურთიერთობა, რომლის გამოსწორებას ათწლეულები არ ეყოფა, — დაწერა პიტერ ლ. ჰანმა თავის სტატიაში „როგორ დაკარგა კარტერმა ირანი", — ამან წარმოშვა პოპულისტური უნდობლობა და სიძულვილი ორივე ქვეყანაში, გააცამტვერა ამ სახელმწიფოთა მთავრობების დაახლოების იმედი. ჰომეინის ირანი შეერთებული შტატების მუდმივ სტრატეგიულ მოწინააღმდეგედ იქცა".**

**მოაზროვნე საზოგადოებრიობამ მოულოდნელ სენსაციად აღიქვა აშშ-ის პრეზიდენტის, დონალდ ტრამპის, გადაწყვეტილება ირანთან დადებული ბირთვული ხელშეკრულებიდან ამერიკის გამოსვლის შესახებ. ერთი მხრივ, ეს მართლაც ექსცენტრიკულ, უადგილო დემარშს ჰგავდა, რომელიც ნიადაგს გამოაცლიდა ბირთვული უსაფრთხოების არსებულ სტაბილურობას არა მარტო ახლო აღმოსავლეთში, არამედ, საერთოდ, მსოფლიოში, რომელიც რიგი წამყვანი ქვეყნების მიერ წლების განმავლობაში გაწეული ურთულესი მოლაპარაკებების შედეგად იქნა მიღწეული და გაფორმდა აღნიშნული აქტით.**

# ისტორია და პერსპექტივა

# ირანი — აშშ: ხვალ მშვიდობა თუ კატასტროფა?

ამ „ექსცენტრიკას" თავისი ისტორია აქვს და მოქმედი პრეზიდენტის ახირებად არ შეიძლება ჩაითვალოს. აშშ-ს არასოდეს არ უთქვამს უარი მსოფლიო ბატონობის იდეაზე, მსოფლიო რესურსების, უწინარესად, ენერგეტიკული მარაგის დაპატრონების იმპერიალისტურ მისწრაფებაზე.

ნავთობით მდიდარ ქვეყნებზე გავლენის მოპოვება ამერიკის ყველა დროისა და ყველა ადმინისტრაციის პირობებში იყო და რჩება შტატების ექსპანსიური საგარეო-პოლიტიკური კურსის ერთ-ერთ უმთავრეს სტრატეგიულ მიზნად და ამოცანად.

ისტორიიდან ცნობილია, რომ ირანის შაჰის, **რეზა ფეჰლევის,** მმართველობის პერიოდში, რომელიც სწორედ აშშ-ის უპრეცედენტო და მრავალმხრივი მხარდაჭერითა და ქვეყნის საშინაო პოლიტიკაში ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს უპარდონო ჩარევის შედეგად აღზევდა, ამერიკულმა მონოპოლიებმა განუსაზღვრელი გავლენა მოიპოვეს და პრაქტიკულად დაეპატრონენ ირანის ბუნებრივ სიმდიდრეს. მხოლოდ ისლამურმა რევოლუციამ ბოლო დაუდო ქვეყნის ამგვარ ამერიკანიზაციას და ხალხს დაუბრუნა ის, რაც იმთავითვე მისი საკუთრება იყო.

მას შემდეგ, რაც ირანი დამოუკიდებელი პოლიტიკური კურსის რეალიზაციას შეუდგა, აშშ ამ ქვეყანას, როგორც შეურიგებელ მტერს, ისე დაუპირისპირდა.

ეს პუბლიკაცია ამ დაპირისპირების ეტაპებს დეტალებში გაახსენებს „საქართველო და მსოფლიოს" მკითხველებს. ეს განსაკუთრებით საჭიროა დღეს, როცა ტრამპის განზრახვის მატერიალიზაციას შეიძლება რეგიონში გეოპოლიტიკური სტაბილურობის დარღვევა მოჰყვეს: **ირანი დაემუქრა ტრამპს, რომ საპასუხოდ გადაკეტავს ორმუზდის ყურეს, რომლის გავლით ხორციელდება მსოფლიო ნავთობპროდუქტების ტრანსპორტირების მნიშვნელოვანი ნაწილი.** ამ შემთხვევაში რეგიონში (მსოფლიოში თუ არა) ვითარების გამწვავება შეიარაღებულ დაპირისპირებამდეც კი, როგორც ანალიტიკოსები გვაფრთხილებენ, გარდაუვალი იქნება, რაც ჩვენ, როგორც ირანის ლამის კარის მეზობლებს, რაღა თქმა უნდა, საეჭვო პერსპექტივის წინაშე გვაყენებს: „ორ ზღვას შუა ძველიძველად საომარი იყო ლელო".

ის, გადარჩა.

გადარჩება კი ამჯერად ასეთი საშიშროების წინაშე მდგარი ჩვენი სამშობლო?

ახლა კი იმ შტრიხებზე ვილაპარაკებთ, რომლებითაც რეგიონის ბოლო ათწლეულების გეოპოლიტიკური პორტრეტი დაიხატა.

## ტერორი – ამერიკის პოლიტიკის ინსტრუმენტი

**30 წლის წინათ, 1988 წლის ივლისში, აშშ-მა ხმელთაშუა ზღვაში ჩამოაგდო ირანის სამგზავრო თვითმფრინავი, რომელშიც 290 მგზავრი და ეკიპაჟის წევრები იმყოფებოდნენ. რა თქმა უნდა, ყველა დაიღუპა.**

**ეს იყო აშშ-ის მიერ ირანის წინააღმდეგ განხორციელებული დემონსტრაციული სადამსჯელო ოპერაცია, რომელსაც არაადამიანური სისასტიკითა და ცინიზმით ძნელად მოეძებნება ანალოგი.**

**რა მოხდა და რატომ — ამას ჩვენი პუბლიკაციიდან შეიტყობთ.**

ამერიკა-ირანის დღევანდელი დაპირისპირება ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის დასასრულიდან იღებს სათავეს, როცა ირანის პრემიერმინისტრი, **მოჰამედ მოსადიკი,** შეეცადა ბრიტანეთის ნავთობკომპანიების ნაციონალიზაციას. 1953 წელს იგი დაამხო ირანის შაჰმა **ფეხლევიმ.** ამ გადატრიალების უკან იდგა ამერიკის სპეცსამსახურები, რომლებიც ნავთობის წყაროების დაკარგვის პერსპექტივამ შეაშფოთა.

„სამხედრო გადატრიალება, რომელსაც მოსადიკისა და მისი ეროვნული მთავრობის დამხობა მოჰყვა, ორგანიზებული იყო ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მიერ აშშ-ის მთავრობის თანხმობითა და მხარდაჭერით", — ნათქვამია ერთ-ერთ დოკუმენტში, რომელიც გამოქვეყნებული იყო ამერიკული დაზვერვის საიტზე. ამ დოკუმენტს ციტირებს გაზეთი The Guargian-ი.

## ირანული ნავთობი ირანელ ხალხს

**მოჰამედ მოსადიკი XX საუკუნის შუა წლებში ირანელი პოლიტიკოსი იყო. ამ დროს ქვეყანას მართავდა მონარქი — შაჰი მოჰამედ რეზა ფეჰლევი.**

**ქვეყნის უმდიდრეს საბადოებს ამუშავებდა ბრიტანული ინგლის-ირანის ნავთობკომპანია, რომელიც მოგვიანებით British Petroleum-ად ჩამოყალიბდა. ირანის ნავთობის გაყიდვიდან მიღებული მოგების ლომის წილი ბრიტანელების ჯიბეებში ილექებოდა, ირანის ბიუჯეტში კი მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი შედიოდა.**

1950-იან წლებში ახლო აღმოსავლეთის არაბულმა ქვეყნებმა დაიწყეს ბრძოლა კოლონიალიზმის შედეგების აღმოსაფხვრელად. რიგ ქვეყნებში ძალაუფლება ხელთ იგდეს ნაციონალისტებმა, რომლებმაც გააუქმეს დასავლეთის ქვეყნებთან დადებული კაბალური ხელშეკრულებები.



ისლამური რევოლუცია

ირანში ასეთ ნაციონალისტად მოსადიკი მოგვევლინა. მან ჩამოაყალიბა „ეროვნული ფრონტის" პარტია და შაჰისგან მთავრობის ფორმირების უფლება მიიღო. მოსადიკმა განაცხადა, რომ მისი მთავრობა მზად იყო ნავთობმომპოვებელი კომპანიების ნაციონალიზაციის მოსახდენად და მათ მოგების განაწილების ხელშეკრულების გადახედვა მოსთხოვა.

## ოპერაცია „ტრაიაქსი"

**დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ენტონი იდენი მოსადიკს „რეგიონში სამეფოს ეკონომიკური ინტერესების საფრთხედ" მიიჩნევდა. მან ნება დართო, დაეწყოთ მოსადიკის დამხობის ოპერაციის შემუშავება. ოპერაცია ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოში „ტრაიაქსის" სახელით მონათლეს, „МИ-6"-ში კი „მხარდაჭერა" დაარქვეს.**

ირანის არმიის მოსყიდულმა გენერლებმა დაამხეს მოსადიკის მთავრობა. პოლიტიკოსს შინაპატიმრობა მიუსაჯეს. მის ნაცვლად პრემიერმინისტრი გახდა **ფაზლულა ზაჰედი.** მან შეაჩერა ინგლის-ამერიკის სანავთობო კომპანიების ქონების ნაციონალიზაცია.

ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ოპერაცი წარმატება ხანმოკლე გამოდგა. მოსადიკის დამხობიდან 20 წლის შემდეგ ირანში უცხოელთა ქონების ნაციონალიზაციის ლოზუნგები წამოაყენა რელიგიურმა ოპოზიციამ, რომელმაც 1976 წელს დაამხო შაჰის რეჟიმი და შექმნა ირანის ისლამური რესპუბლიკა. მოსადიკი ამ დღეს ვერ მოესწრო, თუმცა მის სახელს დღესაც დიდი პატივისცემით მოიხსენიებენ.

## ახალგაზრდობა შეტევაზე გადადის

**ირანსა და აშშ-ში 1979 წლის 4 ნოემბერს — თეირანში ამერიკის საელჩოს ამბოხებული ახალგაზრდობის მიერ ხელში ჩაგდების თარიღს — მიიჩნევენ ერთ-ერთ ყველაზე დრამატულ დღედ ორი ქვეყნის ურთიერთობის ისტორიაში. მომხდარს შტატებში ტერაქტად აფასებენ, ირანელების აზრით კი, ეს დღე ვაშინგტონის გავლენისგან გათავისუფლებისა და სუვერენიტეტის მოპოვების დღეა.**

რევოლუციურად განწყობილი სტუდენტების შეტევას ამერიკის საელჩოზე თეირანში 1979 წლის ისლამური რევოლუციის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მოვლენად მიიჩნევენ.

მაშინ, სახალხო მღელვარების ფონზე, რომელიც 1978 წელს ქუმში სტუდენტური დემონსტრაციის დახვრეტის შედეგად დაიწყო, ირანში დაემხო აშშ-ის მხარდაჭერილი მოჰამედ რეზა ფეჰლევის რეჟიმი. 1979 წლის თებერვალში, შაჰის საზღვარგარეთ გაქცევის შემდეგ, ჩამოყალიბდა დროებითი მთავრობა, რომელსაც **მეჰდი ბაზარგანი** ჩაუდგა სათავეში.

მთელ ქვეყანაში იმართებოდა რევოლუციის ლიდერის — იმამ **ჰომეინის** მხარდამჭერი დემონსტრაციები. 1979 წლის 24 ოქტომბერს სახალხო რეფერენდუმზე ირანმა აირჩია ისლამურ რესპუბლიკაზე, როგორც მმართველობის ახალ ფორმაზე, გადასვლა. ახალი ხელისუფლების ინსტიტუტები ჯერ არ იყო ჩამოყალიბებული.

ასეთ ვითარებაში ჯგუფმა, რომელსაც ხელმძღვანელობდა **იბრაჰიმ ასჰარზადე** და სახელად ერქვა „ისლამური სტუდენტები — იმამ ჰომეინის კურსის მიმდევრები", გადაწყვიტა სიტუაციის საკუთარ ხელში აღება. ასჰარზადეს თქმით, მას და მის მომხრეებს თავიანთი გეგმები აიათოლა ჰომეინთან არ შეუთანხმებიათ. ამაში მათ მხარი დაუჭირა აიათოლას ჯგუფის სულიერმა ლიდერმა **მუჰამად მუსავი ჰოენიმ.**

1979 წლის თებერვალში ჰომეინის მიერ დანიშნულ ბაზარგანის მთავრობას უკვე გათავისუფლებული ჰყავდა ტყვედჩავარდნილი ამერიკელი ჯარისკაცი **კენეტ კრაუსი,** რომელიც აშშ-ის საელჩოს იცავდა. სტუდენტები ეჭვობდნენ, რომ ქვეყნის ხელმძღვანელობას შეიძლება მხარი არ დაეჭირა მათი რადიკალური მოქმედებისთვის.

**1979 წლის 4 ნოემბრის სტუდენტური დემონსტრაციის მსვლელობისას ახალგაზრდები შეეცადნენ, ხელთ ეგდოთ აშშ-ის საელჩო. მას შემდეგ, რაც პირველი შეტევა დაცვამ მოიგერია, გააფთრებულმა ბრბომ გადათელა საზღვაო ფეხოსნები და დიპლომატიურ წარმომადგენლობაში შეიჭრა. თავდაპირველად სტუდენტებს შენობის მხოლოდ სიმბოლური დაპყრობა ჰქონდათ ჩაფიქრებული, მაგრამ საღამოს მათ მხარდასაჭერად გამოვიდა ჰომეინი. მან ახალგაზრდების ქმედებას უწოდა რევოლუცია, ამერიკის საელჩოს კი — ჯაშუშების ბუდე.**

იგივე განაცხადეს სტუდენტებმა. მათ ხელთ იგდეს საელჩოს საიდუმლო დოკუმენტები, რომელთა განადგურება ამერიკელმა დიპლომატებმა ვერ მოასწრეს. ირანული მხარის მტკიცებით, ზოგიერთი დოკუმენტი ადასტურებდა, რომ რიგი აქაური თანამშრომლებისა ამერიკის სპეცსამსახურების დავალებებს ასრულებდა.

საელჩოს 60 თანამშრომელი მძევლად აიყვანეს. რამდენიმე დღის შემდეგ მეამბოხეებმა გაათავისუფლეს ყველა ქალი და აფროამერიკელი. 1980 წელს გაათავისუფლეს კიდევ ერთი მძევალი — ვიცეკონსული **რიჩარდ ქვინი.** დანარჩენი 52 მძევალი 444 დღის განმავლობაში ჰყავდათ დაკავებული.



ირანის შაჰი უმოწყალოდ არბევდა ოპოზიციის ნებისმიერ აქციას

ამბოხებულების მთავარი მოთხოვნა ლტოლვილი შაჰის მათთვის გადაცემა იყო. ამას გარდა, ისინი დაჟინებით მოითხოვდნენ ქვეყნის გაყინული ფინანსური აქტივების დაბრუნებას და ოფიციალური ბოდიშის მოხდას ირანის საშინაო საქმეებში ჩარევის გამო 1953 წელს, როცა აშშ-ის აქტიური დახმარებით ▶

**ექსპერტების აზრით, კრიზისი, რომელიც აშშ-ის საელჩოს ხელში ჩაგდებას მოჰყვა, უფრო მეტად იყო სიმპტომი, ვიდრე ამერიკა-ირანის ურთიერთობის გამწვევების მიზეზი. ისლამურმა რევოლუციამ, რომელმაც წერტილი დაუსვა თეირანის ისლამურ პოლიტიკას, მკვეთრად შეცვალა ძალთა ბალანსი რეგიონში. აშშ-ს ხელიდან გამოეცალა კონტროლი ნავთობის უდიდეს მარაგებზე და თავის მოკავშირეზე შუა აღმოსავლეთში.**

გეოპოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

პროამერიკელებმა დაამხეს პოპულარული პრემიერმინისტრი მოჰამედ მოსადიკი.

მძევლები მხოლოდ 1981 წლის 20 იანვარს გაათავისუფლეს. ამ დროს შაჰი ფეჰლევი უკვე გარდაცვლილი იყო. 1981 წლის 19 იანვარს ალჟირის შუამავლობით მიაღწიეს შეთანხმებას, რომლის თანახმად აშშ გახსნიდა ირანის გაყინულ ფინანსურ ანგარიშებს, გააუქმებდა სავაჭრო სანქციებს და ოფიციალურად უარს იტყოდა ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩარევაზე. საელჩოს არც ერთი წევრი სერიოზულად არ დაზიანებულა, არავინ უწამებიათ და არავის დამუქრებიან სიცოცხლის ხელყოფით.

ლოზუნგი „სიკვდილი ამერიკას!“, რომელსაც თეირანში ამერიკის საელჩოს ხელში ჩაგდების დროს გაიძახოდნენ, დღესაც პოპულარულია ირანელ კონსერვატორთა შორის. მაშინ ამ მოწოდებას ქვეყნის საზოგადოებრიობის უმრავლესობამ დაუჭირა მხარი. ანტიამერიკული განწყობილება მაშინ ძალიან ძლიერი იყო და არც ამჟამად დამცხრალა.

ამერიკის სპეცოპერაცია „არწივის კლანჭი“, რომელსაც მძევლები უნდა გაეთავისუფლებინა, ჩაფლავდა, სამაგიეროდ გამწვავდა კრიზისი.

„აი, რეალურად ასეთები არიან ამერიკელი სპეცრაზმელები; ასე შეიჭრნენ ირანის ტერიტორიაზე“, — აცხადებდნენ რევოლუციის მომხრენი. ამის კვალად ირანზე ერაყის თავდასხმა, რომელსაც შეერთებული შტატები იარაღით ამარაგებდა და დაზვერვის მონაცემებს აწვდიდა, მხოლოდ აძლიერებდა აშშ-ისადმი უარყოფით დამოკიდებულებას.

ყოველწლიურად, 4 ნოემბერს, ათასობით ადამიანი გამოდის შეერთებული შტატების საელჩოს ყოფილ შენობასთან იმ დღის აღსანიშნავად, როცა თეირანმა მნიშვნელოვანი დარტყმა მიაყენა ვაშინგტონის იმიჯს და 1953 წლის გადატრიალებისთვის შური იძია.

**„მძევლებთან დაკავშირებულმა კრიზისმა გააფუჭა ამერიკისა და ირანის ურთიერთობა, რომლის გამოსწორებას ათწლეულები არ ეყოფა, — დაწერა პიტერ ლ. ჰანმა თავის სტატიაში „როგორ დაკარგა კარტერმა ირანი“, — მან წარმოშვა პოპულისტური უნდობლობა და სიძულვილი ორივე ქვეყანაში, გააცამტვერა ამ სახელმწიფოთა მთავრობების დაახლოების იმედი. ნაცვლად იმისა, რომ თავდაცვის საქმეში აშშ-ის სანდო პარტნიორი ყოფილიყო, ჰომეინის ირანი შეერთებული შტატების მუდმივ სტრატეგიულ მოწინააღმდეგედ იქცა. ამ მეტოქეობამ აშშ-ის სტრატეგიული შეცდომები გამოიწვია, მაგალითად, სადამ ჰუსეინის მხარდაჭერა 1980 წელს“.**

ამ მოვლენაზე ხშირად მიუთითებენ დღევანდელი ამერიკელი პოლიტიკოსები. მაგალითად, შარშან, 13 ოქტომბერს, აშშ-ის პრეზიდენტმა **დონალდ ტრამპმა** თავისი სიტყვა, რომელიც 2016 წელს ირანთან ბირთვული გარიგებიდან აშშ-ის შესაძლო გამოსვლას ეძღვნებოდა, სწორედ ამ მოვლენების გახსენებით დაიწყო.

**„ჯერ კიდევ 1979 წელს ირანის რეჟიმის აგენტებმა უკანონოდ ხელთ იგდეს აშშ-ის საელჩო თეირანში და 60 ამერიკელი მძევლად ჰყავდათ კრიზისის 444 დღის განმავლობაში, — შეახსენა ტრამპმა შეერთებული შტატების მოქალაქეებს, — ირანის დიქტატორული რეჟიმის აგრესია დღემდე გრძელდება“.**

## კრიზისის სიმპტომები

**„იმაზე, თუ როგორ აღიქვამს შეერთებული შტატები ირანს და მის როლს ახლო აღმოსავლეთში საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში, მოქმედებს არა მხოლოდ 1979 წლის მოვლენები, არამედ ისიც, რომ თეირანი შემდგომი ათწლეულების განმავლობაში ატარებს დამოუკიდებელ საგარეო პოლიტიკას ახლო აღმოსავლეთსა და მსოფლიოში“, — აღნიშნავენ ანალიტიკოსები.**

ექსპერტების აზრით, კრიზისი, რომელიც აშშ-ის საელჩოს ხელში ჩაგდებას მოჰყვა, უფრო მეტად იყო სიმპტომი, ვიდრე ამერიკა-ირანის ურთიერთობის გამწვევების მიზეზი. ისლამურმა რევოლუციამ, რომელმაც წერტილი დაუსვა თეირანის პოლიტიკას, მკვეთრად შეცვალა ძალთა ბალანსი რეგიონში. აშშ-ს ხელიდან გამოეცალა კონტროლი ნავთობის უდიდეს მარაგებსა და თავის მოკავშირეზე შუა აღმოსავლეთში.

მკითხველებს შევახსენებთ, რომ დიდი ხნის განმავლობაში ირანი დიდი ბრიტანეთის ნახევარკოლონია იყო და განიხილებოდა, როგორც ბრიტანელების ინტერესის ზონა. აშშ-მა უცვლელად მიითვისა და გააძლიერა ასეთი დამოკიდებულება.

პოლიტოლოგები მიიჩნევენ, რომ მოვლენათა ასეთი განვითარება მნიშვნელოვანწილად „ნავთობის ფაქტორთან“ არის დაკავშირებული. 1980 წელს გაცხადებული **კარტერის დოქტრინის** შემდეგ, რომ სპარსეთის ყურეში ძალთა ბალანსის ნებისმიერი შეცვლის მცდელობა შეერთებული შტატების მიერ განიხილებოდა, როგორც ამერიკის ეროვნული ინტერესების ხელყოფა ნიშნავდა: იანკები ძალას არ დაიშურებდნენ ირანის რეჟიმის შესაცვლელად.

ასეთ ანალოგიას გვთავაზობენ: „ამერიკელები წლების განმავლობაში იბრძოდნენ ვიეტნამში და სერიოზული დანაკარგები განიცადეს, მაგრამ, როცა „ცივი ომის“ დამთავრების შემდეგ დაინახეს, რომ მათთვის გაცილებით მომგებიანი იქნებოდა ვიეტნამში თავიანთი გავლენის გაძლიერება, გადაწყვიტეს ხოშიმინთან დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენა და ეკონომიკური თანამშრომლობის გაფართოება“. ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ აშშ-ის პოლიტიკა ირანის მიმართ ნაკარნახევი იყო, არა საელჩოს მიტაცებითა და დიპლომატების მძევლად აყვანის ფაქტით, არამედ თეირანის საგარეო პოლიტიკით.

**30 წლის წინათ, 1988 წლის 3 ივლისს ამერიკის კრეისერმა „ვინსენსმა“ რაკეტით ჩამოაგდო ირანის სამგზავრო ლაინერი Airbus A300B2-203. თვითმფრინავის ბორტზე, რომელიც რეისით SR655 თეირანი — ბენდერ-აბასი — დუბაი მიემართებოდა, იმყოფებოდა 290 ადამიანი.**



რაკეტმზიდ კრეისერ „ვინსენსის“ საბედისწერო გასროლა

**ამერიკელებმა წინასწარი განზრახვით რომ ჩამოაგდეს ირანის სამოქალაქო თვითმფრინავი, ამაზე ნათლად მეტყველებს ის, თუ როგორ მოექცა ამერიკის ხელისუფლება ინციდენტის უშუალო დამნაშავეს. კრეისერის კაპიტნის გარდა, რომელიც «ღირსების ლეგიონის» ორდენით დააჯილდოვეს, მისი ხელქვეითების მოქმედებაც ჯილდოების მინიჭებით აღნიშნეს**

მიუხედავად იმისა, რომ ამ კატასტროფაში აშკარად ჩანდა ამერიკის ხელი, თეთრმა სახლმა კატეგორიულად უარყო ბრალდება. მეტიც, ხომალდის კაპიტანი, რომელმაც გასცა სამოქალაქო თვითმფრინავის განადგურების ბრძანება, აშშ-ის ერთ-ერთი უმაღლესი ორდენით დაჯილდოვდა. ისტორიკოსები და სამხედრო ექსპერტები თანხმდებიან, რომ ამერიკელი მეზღვაურების მოქმედება სამხედრო დანაშაულია.

## კატასტროფის წინაპირობები

როგორც ვთქვით, 1979 წლის ისლამურმა რევოლუციამ ირანში დაამხო აშშ-ის მიერ მხარდაჭერილი შაჰის — მოჰამედ რეზა ფეჰლევის რეჟიმი. ირანის მეზობელი ერაყის ხელისუფლებას ამერიკელები აქეზებდნენ, რომ რევოლუციურმა განწყობილებამ შეიძლება მოიცვას ოფიციალური ბაღდადის კონტროლს დაქვემდებარებული ტერიტორიები, სადაც ცხოვრობდა შიიტების მრავალრიცხოვანი თემი. ამავე დროს **სადამ ჰუსეინი,** რომელიც ერაყში ახალი აღზევებული იყო, იმავე ამერიკელების კარნახით, აპირებდა ირანის საზღვრისპირა, ნავთობით მდიდარი რაიონების დაპყრობას.

ერაყის ლიდერი სავსებით საფუძვლიანად მიიჩნევდა, რომ მას ამ იდეის განხორციელებაში მხარს დაუჭერდა აშშ და ევროპის ქვეყნები. ამიტომ იყო, რომ 1980 წელს ერაყის არმიამ გადალახა ირანის საზღვარი, მაგრამ სიტუაცია არ განვითარდა ისე, როგორც ჰუსეინი ვარაუდობდა. ირანელებმა შეძლეს მისი სამხედრო ძალების შეტევის არა მარტო მოგერიება, არამედ ეფექტიან კონტრშეტევაზეც გადავიდნენ.

**ერაყის ხელისუფლებამ შეცვალა ირანზე შეტევის მეთოდი და გადავიდა ე.წ. ტანკერების წინააღმდეგ ომზე — დაიწყო ტანკერების ჩაძირვა, რომლებითაც ირანულ ნავთობს დანარჩენ მსოფლიოში ეზიდებოდნენ. ჰუსეინი და მისი კურატორები იმედოვნებდნენ, რომ ასეთი მეთოდი დაანგრევდა ოფიციალური თეირანის ეკონომიკას და მსოფლიო სახელმწიფოებს შეიარაღებულ კონფლიქტში ჩაითრევდა.**

მაგრამ მოხდა ისე, რომ ირანის სამხედრო-საჰაერო ძალების საპასუხო დარტყმებით ჩაიძირა ბაღდადის მოკავშირე ქვეყნების ტანკერები, რომლებსაც ირანული ნავთობი გადაჰქონდათ. 1987 წელს აშშ-მა და საფრანგეთმა სპარსეთის ყურეში თავიანთი ჯარების ნაწილები გადაისროლეს.

1988 წლის 14 აპრილს ორმუზის ყურეში გაურკვეველი წარმოშობის ნაღმზე აფეთქდა ამერიკელების ფრეგატი. არსებობს ვერსია, რომ ამერიკელებმა თვითონ ჩაძირეს თავიანთი გემი, რათა გაემართლებინათ ირანის ობიექტებზე შეიარაღებული თავდასხმა. ამას გარდა, გავრცელდა ხმები, თითქოს ირანმა ჩინეთში შეისყიდა ახალი ხომალდსაწინააღმდეგო რაკეტები. ამერიკულმა სარდლობამ ამით გაამართლა სპარსეთის ყურეში ხომალდის შეყვანა, რომელიც აღჭურვილი იყო მრავალფუნქციური საინფორმაციო მართვის სისტემით Aegis. მიაჩნდათ, რომ ეს სისტემა ეფექტიანად რეაგირებდა მოწინააღმდეგის სარაკეტო დარტყმებზე. ეს გემი იყო აშშ-ის სამხედრო საზღვაო ძალების რაკეტმზიდი კრეისერი „ვინსენსი“.

## A300-ის დაღუპვა

1988 წლის 3 ივლისს ამერიკელებმა მიიღეს ინფორმაცია, რომ ირანის კატარღები ემუქრებიან პაკისტანის გემს. „ვინსენსის“ კაპიტანმა **უილიამ როჯერს III-ემ** შესაძლო კონფლიქტის ადგილზე გააგზავნა შვეულმფრენი. მის დანახვაზე ირანელებმა თავიანთი ტერიტორიული წყლებისკენ დაიხიეს, მაგრამ ამან არ შეაჩერა ამერიკელები და მათი შვეულმფრენი ისლამური რესპუბლიკის საჰაერო სივრცეში კონფლიქტის პროვოცირების მიზნით შეიჭრა. ირანელებმა, ბუნებრივია, ცეცხლი გაუხსნეს. მფრინავმა მომხდარის შესახებ აცნობა კაპიტანს და როჯერსმა კრეისერი ირანის ტერიტორიული წყლებისკენ დაუყოვნებლივ წარმართა. პარალელურად სარდლობისგან მოითხოვა და მიიღო ცეცხლის გახსნის ნებართვა. მალევე ორი ირანული კატარღა აკვატორიის წყლებში ჩაძირეს.

იმავე დროს ბენდერ-აბასის აეროდრომიდან აფრინდა ირანის სამგზავრო ლაინერი Airbus A300B2-203, რომელიც ასრულებდა რეისს SR655 არაბეთის გაერთიანებული ემირატებისკენ. იგი მიფრინავდა 35 კილომეტრის სიგანის საერთაშორისო საჰაერო დერეფნის ფარგლებში. ამერიკული კრეისერის Aegis სისტემამ მაშინვე შეამჩნია ირანის ლაინერი. ექსპერტების თქმით, ლაინერი აღჭურვილი იყო სპეციალური კოდით, რომელსაც მხოლოდ სამოქალაქო ხომალდები იყენებენ, მაგრამ „ვინსესმა“ ამ ფაქტს შეგნებულად არ მიაქცია ყურადღება. მოგვიანებით ამერიკულმა მხარემ განაცხადა, რომ A300-ის ფრენის პროფილი თითქოს ჰგავს შეტევაზე გადასული ავიაგამანადგურებლის — F-14-ის პროფილს და კრეისერის მეთაურმა თითქოს მიიჩნია, რომ ირანელებმა მათ ტერიტორიაზე შეჭრილი კრეისერის დასჯა გადაწყვიტეს.

ამერიკელებმა განაცხადეს, რომ 11-ჯერ შეეცადნენ, დაემყარებინათ კონტაქტი აირბუსთან რადიოკავშირის მეშვეობით, მაგრამ კოდების არეულობის მომიზეზებით, რითაც ირანელი მფრინავები თითქოს ცდილობდნენ თავიანთი სამხედრო-საჰაერო ძალებისადმი კუთვნილების დაფარვას, როჯერსმა თვითმფრინავის ჩამოგდების ბრძანება გასცა. ბრძანება დაუყოვნებლივ აღსრულდა. თვითმფრინავი აფეთქდა და ორ ნაწილად გადატეხილი სპარსეთის ყურეში ჩავარდა. 274 მგზავრი და ეკიპაჟის 16 წევრი დაიღუპა.

**ამერიკის მხარის ოფიციალური პატაკის ტექსტის მიხედვით, თვითმფრინავი, როგორც სამოქალაქო ტრანსპორტი მხოლოდ კატასტროფის შემდეგ იყო იდენტიფიცირებული. ინციდენტის მიზეზებად დასახელდა ეკიპაჟის „ფსიქოლოგიური მდგომარეობა“ და, როგორც ვთქვით, ლაინერისა და ავიაგამანადგურებლის ფრენის პროფილის მსგავსება.**

**სინამდვილეში კი ამერიკელებმა დემონსტრაციულად დასაჯეს ირანი და ამის განსახორციელებლად აირჩიეს ბილწი და საძაგელი საშუალება** — და მშვიდობიანი მოქალაქეები, რომელთა „დანაშაული“ ამერიკის ნებისგან დამოუკიდებელი და თანმიმდევრული კურსის მიმდევარი ირანის მოქალაქეობა იყო.

## „ვაშინგტონი ბოდიშს არ მოიხდის“

მხოლოდ მას შემდეგ, რაც თეირანმა საერთაშორისო სასამართლოს მიმართა, ვაშინგტონი დათანხმდა დაღუპული ადამიანების ნათესავებისთვის კომპენსაციის გადახდას; ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს „ნებაყოფლობით“ მიღებული გადაწყვეტილება იყო და სრულიადაც არ ნიშნავდა, რომ აშშ თავს დამნაშავედ მიიჩნევდა.

აშშ-მა, როგორც სახელმწიფომ, კატეგორიული უარი თქვა, ეღიარებინა დანაშაული. პრეზიდენტებმა რეიგანმა და ბუშმა ერთმანეთის მიყოლებით განაცხადეს, რომ ვაშინგტონი ბოდიშს არ მოიხდის, რაგინდ ფაქტები წარუდგინონ.

ამერიკელებმა წინასწარი განზრახვით რომ ჩამოაგდეს ირანის სამოქალაქო თვითმფრინავი, ამაზე ნათლად მეტყველებს ის, თუ როგორ მოექცა ამერიკის ხელისუფლება ინციდენტის უშუალო დამნაშავეს. კრეისერის კაპიტნის გარდა, რომელიც „ღირსების ლეგიონის“ ორდენით დააჯილდოვეს, მისი ხელქვეითების მოქმედებაც ჯილდოების მინიჭებით აღნიშნეს.

**მომზადებულია ინტერნეტში გამოქვეყნებული მასალების მიხედვით**

მუნდიალი 2018

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მსოფლიოს ჩემპიონი ფიფასგან 38 მილიონს მიიღებს. რუსეთის ნაკრები, რომელმაც მეოთხედფინალამდე მიაღწია, 16 მილიონი დოლარით დაჯილდოვდება.**

# 2018 წლის მსოფლიო ჩემპიონატის წყალობით ფიფამ რეკორდული 6,1 მილიარდი დოლარის მოგება მიიღო

**ფეხბურთში მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატზე ფიფას მოგებამ 5,718 მილიარდი დოლარი შეადგინა, რაც წლევანდელი ჩემპიონატის მაჩვენებელზე 6,7 პროცენტით ნაკლებია. ფიფას ფინანსური მოგება ყოველწლიურად იზრდება: 2008-2010 წლებში, მაგალითად, 4,189 მილიარდი დოლარი იყო, აქედან 3,6 მილიარდი 2010 წელს სამხრეთ აფრიკაში გამართული მსოფლიო ჩემპიონატისგან დარჩა.**
**2018 წლის მსოფლიო ჩემპიონატის წყალობით ფიფამ რეკორდული 6,1 მილიარდი დოლარის მოგება მიიღო. ამასთან, ძირითადი ხარჯი 14 მილიარდი დოლარი ჩემპიონატის მასპინძელმა ქვეყანამ — რუსეთმა გაიღო. მოგების ძირითადი ნაწილი (82 პროცენტი) ფიფას ფონდში თამაშების ტრანსლაციის უფლებების გაყიდვით ჩაერიცხება, ასევე, სპონსორებისა და პარტნიორებისთვის მარკეტინგული უფლებების მიყიდვით. დანარჩენ ფულს იღებს ლიცენზიების უფლებების (7 პროცენტი), ბილეთებისა და „სტუმართმოყვარეობის პაკეტების“ გაყიდვის საშუალებით — მატჩებზე დასასწრები უძვირესი ბილეთების გასაღებით VSP და VVSP ლოჟებში (8 პროცენტი). დანარჩენი მოგების ოდენობა 3 პროცენტია.**



ფიფას პრეზიდენტი ჯანი ინფანტინო საჯაროდ აცხადებს: გმადლობთ, რუსეთო!

## ფიფა, როგორც ფინანსური ორგანიზაცია

ფეხბურთის მოყვარულმა ჩვენმა მკითხველებმა იციან, სად, როდის და რატომ დაარსდა ეს საერთაშორისო ფედერაცია. აქ მხოლოდ ამ ორგანიზაციის ფინანსურ მოღვაწეობაზე გავამახვილებთ ყურადღებას. მაგალითად, შეგახსენებთ, რომ ეს საფეხბურთო ასოციაცია ერთ-ერთი უმსხვილესი კომერციული სტრუქტურაა მსოფლიოს სპორტულ სამყაროში. ამ ორგანიზაციის ყოველწლიური ბრუნვა მილიარდობით დოლარია, ხოლო ძირითადი ფუნქცია ფეხბურთში საერთაშორისო შეჯიბრებების მოწყობაა — პლაჟის, ქალთა, ჭაბუკებისა და კიბერფეხბურთის ჩათვლით. ფიფა, საერთო ჯამში, 16 საერთაშორისო ტურნირს ატარებს, რომელთაგან უმნიშვნელოვანესი და ყველაზე მასშტაბურია მსოფლიო ჩემპიონატი მამაკაცთა გუნდებს შორის. ეს უკანასკნელი ფიფას შემოსავლების ძირითადი გენერატორია.

The New York Times-ის მონაცემებით, რომლებიც ფიფას დოკუმენტებს ეყრდნობა, მიმდინარე ოთხწლიან საბიუჯეტო ციკლში ორგანიზაციამ 450 მილიონი დოლარით მეტი თანხა მიიღო, ვიდრე ბიუჯეტით ჰქონდა დაგეგმილი. ეს შესაძლებელი გახდა რამდენიმე მსხვილი კონტრაქტის გაფორმებით, რომლებსაც ახალ პატრონებთან ერთად ხელი მოაწერეს 2018 წლის მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე. დამატებით შემოსავალში ძირითადი შენატანი ჩინეთის კომპანიებმა გაიღეს. 2018 წელს ფიფას გლობალური პარტნიორი გახდა Wanda croup-ი, რომელიც დეველოპმენტსა და ლოგისტიკაზე სპეციალდება და რომელმაც ხელი მოაწერა კონტრაქტს 2030 წლამდე.

ფიფას სპონსორები „ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის პარტნიორის“ სტატუსით ასევე გახდნენ შემდეგი კომპანიები: Hisense (ელექტრონიკის წარმოება), Mengni (რძის პროდუქტების წარმოება) და Vivo (სმარტფონების წარმოება).


უპოპულარესი სუვენირი — კოკოშნიკი

მას შემდეგ, რაც რუსეთი ჩემპიონატის მასპინძელ ქვეყნად აირჩიეს, სპონსორული კონტრაქტი ფიფასთან არც ერთ ახალ კომპანიას არ გაუფორმებია.

**ბიუჯეტის სხვა მნიშვნელოვანი მუხლი, რომლითაც გაიზარდა ფიფას შემოსავალი განვლილ ოთხ წელიწადში, არის სალიცენზიო უფლებების გაყიდვა. აქედან მიღებული შემოსავალი წინა პერიოდთან შედარებით 50 მილიონი დოლარიდან 160 მილიონ დოლარამდე გაიზარდა EA SPORTS-თან, პოპულარული კიბერსპორტული თამაშების შემქმნელთან, დადებული კონტრაქტის წყალობით**. ამ კონტრაქტის ჩარჩოებში ეს კომპანია და ფიფა 2018 წლის აგვისტოში ჩაატარებენ მსოფლიოს გლობალურ ჩემპიონატს კიბერფეხბურთში.




## რამდენს ხარჯავს ფიფა

ოთხი წლის განმავლობაში მიღებული ფულადი შემოსავლის ერთ მესამედს ფიფა, ტრადიციულად, მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარებისთვის ხარჯავს. **2018 წლის ჩემპიონატის ხარჯმა 1,948 მილიარდი დოლარი შეადგინა. ამ თანხის მნიშვნელოვან ნაწილს — 627 მილიონ დოლარს (32 პროცენტს) ფიფა გადაუხდის რუსეთს გაწეული ხარჯების ნაწილობრივ ასანაზღაურებლად.**

გახარჯვის მეორე მსხვილი მუხლი — 400 მილიონი დოლარი ჩემპიონატის მონაწილე გუნდების საპრიზო თანხაა, რომელიც განაწილდება მათ მიერ მიღწეული შედეგების მიხედვით. **მსოფლიოს ჩემპიონი ფიფასგან 38 მილიონს მიიღებს. რუსეთის ნაკრები, რომელმაც მეოთხედფინალამდე მიაღწია, 16 მილიონი დოლარით დაჯილდოვდება.**

**600 მილიონი დოლარი მოხმარდება დანარჩენი იმ 15 შეჯიბრის ორგანიზებას, რომელსაც ფიფა ოთხწლიან საბიუჯეტო ციკლის განმავლობაში გამართავს.**

მნიშვნელოვან ხარჯებს გაიღებს ფიფა ინვესტიციების სახით განათლების პროგრამების განსახორციელებლად და მსოფლიოში ბავშვთა ფეხბურთის განვითარებისთვის. ასევე, მიზნობრივი დახმარების სახით ფეხბურთის ეროვნული ფედერაციებისთვის, მსაჯებისა და მწვრთნელების სემინარების მოსაწყობად და ა.შ. **2015-2018 წლებში ფიფამ საერთო ჯამში 5,556 მილიარდი დოლარი დახარჯა, მოგებამ 544 მილიონი შეადგინა, რაც ორგანიზაციის ისტორიაში რეკორდულია.**

## რამდენი დახარჯა რუსეთმა 2018 წლის ჩემპიონატის მოსაწყობად

რუსეთის დანახარჯი ფიფას მიერ გაღებულ თანხას ბევრად აღემატება. რუსეთის ფედერაციის მიერ დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული იყო 679 მილიარდი რუბლი, ანუ დაახლოებით 11 მი- ▶





ქუჩებში და სტადიონებზე

უცხოეთის პრესის პუბლიკაციებით თუ ვიმსჯელებთ, მეორე უეჭველი გამარჯვებული არის ჩემპიონატის მასპინძელი ქვეყანა — რუსეთი. სრულიად რუსეთი, რომელიც გულშემატკივრობდა ფეხბურთს სტადიონებსა თუ ეკრანების წინ, ათიათასობით უცხოელს ხელგაშლილი და გულწრფელი სიხარულით ხვდებოდა, ეხმარებოდა, აკვალიანებდა, მოკლედ — ღირსეულად მასპინძლობდა.

მუნდიალი 2018
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# მილიონი, მილიონი მადლობა

## მსოფლიო დღესასწაული: რუსეთმა ბრწყინვალე მსოფლიო ჩემპიონატი მოაწყო



მუნდიალის სიმბოლო „ზაბივაკა“



გუნდმა დამსახურებული გამარჯვება ასე იზეიმა

**2018 წლის მსოფლიო ჩემპიონატს უკვე ჰყავს გამარჯვებული გუნდი — საფრანგეთის ფენომენალური ნაკრები. ვაშა ფრანგებს!**

◀ლიარდი დოლარი. 850 მილიონი რუბლი დამატებით გამოიყო ჩემპიონატის დაწყების შემდეგ. ეს თანხა დასჭირდათ ბოლო მომენტში ფიფას დამატებითი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, კერძოდ, ახალ სტადიონებზე VSP ლოჟების მოსაწყობად და სხვ.

**ძირითადი ხარჯი — 551,93 მილიონი რუბლი (81,4 პროცენტი) დაკავშირებული იყო სტადიონებისა და საწვრთნელი მინდვრების ასაშენებლად და მსოფლიო ჩემპიონატისთვის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოსაწყობად.** 12 სტადიონიდან, რომლებზეც ჩემპიონატის შეხვედრები უნდა გამართულიყო, შვიდი აშენდა ფედერალური ბიუჯეტის ხარჯებით, ასევე — 92 საწვრთნელი მინდორი. მათი აშენება და კეთილმოწყობა ბიუჯეტს 150 მილიარდი რუბლი დაუჯდა.

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოსაწყობად პროგრამით გათვალისწინებული იყო 352,5 მილიარდი რუბლი, რაც სრულად იქნა ათვისებული.

ხარჯის ნაწილი რეგიონებმა იკისრეს, უმთავრესად ეს შეეხო ფასადების, გზების, საფეხმავლო ზონების, საკანალიზაციო სისტემების შეკეთებას, ახალი ავტობუსების, სასწრაფო დახმარების მანქანების შეძენას და ა.შ. ყველაზე მასშტაბური პროგრამები შესრულდა მოსკოვსა და სანქტ-პეტერბურგში.

საერთო ჯამში, **2018 წლის მსოფლიო ჩემპიონატი რუსეთს 884 მილიარდი რუბლი, ანუ 14,2 მილიარდი დოლარი დაუჯდა.**

### ჩემპიონატები – მხოლოდ ძლიერებისთვის

ფიფას საერთო პოლიტიკა მსოფლიო ჩემპიონატის გეოგრაფიის გაფართოებას ითვალისწინებს, რაც, ბუნებრივია ფინალურ სტადიაში მონაწილეთა რაოდენობას 48 გუნდამდე გაზრდის (ამჟამად 32-ია). ამ შემთხვევაში ტურნირის მოწყობას შეძლებს ეკონომიკურად ძალიან ძლიერი ქვეყანა ან რამდენიმე ქვეყნის კოლაბორაცია, ისეთი, მაგალითად, როგორებიცაა აშშ, მექსიკა, კანადა. 2022 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლებად სწორედ ეს ქვეყნებია არჩეული.

ყატარის გარდა, რომელსაც განზრახული აქვს 200 მილიარდი დოლარის დახარჯვა მომდევნო მსოფლიო ჩემპიონატისთვის, ჩემპიონატის მასპინძლობას მხოლოდ ჩინეთი თუ შეძლებს.

მომგებიანია კი მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარება?

პასუხის გაცემა ამ შეკითხვაზე უაღრესად რთულია, რადგან გათვალისწინებული უნდა იქნას არა მხოლოდ დასახარჯი თანხა, არამედ არამატერიალური შემოსავალი, მათ შორის, იმიჯის დივიდენდები, მაგრამ მათი ზუსტი დაანგარიშება პრაქტიკულად შეუძლებელია. ძირითადი ბენეფიციარი იქნება ტურიზმის დარგი.

ჩიკაგოს უნივერსიტეტის პროფესორი **კონსტანტინე სონინი** მიიჩნევს, რომ მთავარი მოგება, რომელიც რუსეთმა მსოფლიო ჩემპიონატის შედეგად მიიღო, არის ფეხბურთის მოყვარულთა ფართო აუდიტორიის ინტერესის გაღვივება ხანგრძლივ პერსპექტივაში: 10-15 მილიარდი დოლარი, რომელიც ჩემპიონატისთვის დაიხარჯა „მცირე სიდიდეა საერთოდ ეკონომიკისთვის, ფეხბურთის მოყვარულთა უზარმაზარი ჩართულობა კი ხარჯების არაპროპორციულია, გარკვეული აზრით, სტადიონებისა და ინფრასტრუქტურის აშენება-მოწყობაზე“, უფრო მნიშვნელოვანიც კი ფეხბურთის განვითარების თვალსაზრისით.

მისი აზრით, **„ამ ჩემპიონატმა წარმოაჩინა სპორტული ღონისძიებების სტანდარტები და გვაჩვენა, რომ ყველაფრის ორგანიზება შეიძლება ისე, რომ ადამიანები მივიდნენ სტადიონებზე ფეხბურთის საყურებლად არა მხოლოდ მოსკოვსა და სანქტ-პეტერბურგში, არამედ სარანსკშიც, სარატოვშიც და სხვა ქალაქებში“.**

ეს კი, თავის მხრივ, შემოსავალს ზრდის.

მაგრამ უცხოეთის პრესის პუბლიკაციებით თუ ვიმსჯელებთ, მეორე უეჭველი გამარჯვებული არის ჩემპიონატის მასპინძელი ქვეყანა — რუსეთი. სრულიად რუსეთი, რომელიც გულშემატკივრობდა ფეხბურთს სტადიონებსა თუ ეკრანების წინ, ათიათასობით უცხოელს ხელგაშლილი და გულწრფელი სიხარულით ხვდებოდა, ეხმარებოდა, აკვალიანებდა, მოკლედ — ღირსეულად მასპინძლობდა.

**საკუთარი ძალისხმევისა და გერეშე ფაქტორების იდეალურ დამთხვევას შედეგად მოჰყვა პოზიტიური პიარეფექტი, მსოფლიო პრესის დადებითი ხასიათის პუბლიკაციების სახით: „ო, რა შესანიშნავი მუნდიალია, ბატონო პუტინ“ (მექსიკური გაზეთი El Universal), „გაიმარჯვა რუსეთმა“ (თურქული Milliyet), „რუსეთმა არაჩვეულებრივი მსოფლიო ჩემპიონატი გამართა“ (ავსტრალიური Sydney Morning Herald) და ასე შემდეგ მსოფლიოს ასობით სხვადასხვა მედიის სტატიებსა და სიუჟეტებში.** განსაკუთრებით დამაჯერებლად წარმოგვიდგება ეს მედიატრიუმფი იმ ფონზე, რომელსაც სულ ცოტა ხნის წინათ აპოკალიფსურ ფერებში ხატავდნენ გავლენიანი მედიასაშუალებები.

განრისხებული გაზეთი **Popitico** ასე მიმართავდა მკითხველებს: „მზად ხართ სირცხვილის მსოფლიო ჩემპიონატისთვის?“, ხოლო **Washington Post** და ათეულობით სხვა გამოცემა **პუტინისგან** უკრაინელი რეჟისორის, **ოლეგ სენცოვის,** გათავისუფლებას მოითხოვდნენ, რათა მისი (სენცოვის) ციხეში ყოფნის ფაქტს არ ჩაემწარებინა ჩემპიონატით გამოწვეული სიხარული.

ინგლისელი ფანატების რუსეთში ჩამოსვლა ცალკე სიუჟეტია. ფეხბურთის ათასობით თაყვანისმცემელი, რომლებიც რუსეთში პირველად ჩამოვიდნენ, აღმოჩნდნენ იმ რეალობაში, რომელიც აბსოლუტურად განსხვავდებოდა ადგილობრივი პრესის თავგამოდებული ნეგატიური მცდელობისგან. თვეების განმავლობაში ტაბლოიდები, და არა მხოლოდ ისინი, ვარჯიშობდნენ საშინელი კარიკატურების დახატვაში, რომლებსაც რუსეთის ქალაქებში ჩასული ბრიტანელები წააწყდებოდნენ: მათ ხიფათში ჩაითრევდნენ პუტინის პროვოკატორები — მაცდუნებელი ქალიშვილები (**The Sun**); პუტინის სხვა პროვოკატორები სისხლისმსმელი „ულტრასები“ ინგლისელებს „სისხლიან აბანოს“ მოუწყობდნენ (**Dauly Express**) ან „სასიკვდილო განაჩენს“ გამოუტანდნენ (**Daily Mail**).

ჩემპიონატის დაწყებიდან ერთი კვირის შემდეგ იგივე გაზეთები წერდნენი მათი აღფრთოვანების შესახებ, ვინც არ შეუშინდა ტოტალურ შემოტევას და მაინც ჩავიდა რუსეთში.

ეს კონტრასტი აშკარად გამოჩნდა.

**სკეპტიკოსებს თავს ლაფი დაესხათ ყველა ფრონტსა და ყველა მიმართულებით. არ ახდა არც ერთი შავბნელი წინასწარმეტყველება: ჩემპიონატი არ იქცა უკრაინის ფრონტზე საომარი მოქმედების, სირიაზე განსახორციელებელი შეტევის საფარად, არ შეიმჩნეოდა ჰომოფობიის, რასიზმის, ხულიგნობის „ეპიდემიის“ არავითარი ნიშანი. ხოლო წლეულს, მარტში, BBC-2-ის ეთერში, დასავლეთის პუბლიცისტიკაში ერთ-ერთი გამორჩეული ანტიპუტინისტის, ედვარდ ლუკასის, საქვეყნოდ გავრცელებული გაფრთხილება, რომ „რუსეთს შეუძლია ინგლისის ნაკრების ფეხბურთელების ინფიცირება ისეთი ნივთიერებით, რომელიც მათ მოქმედებას მინდორზე შეანელებს“ (ზანტად იმოქმედებენო) დღეს სასაცილო მარგინალიზაციად აღიქმება.**

მედიის მიმომხილველები აღნიშნავენ, რომ პუბლიკაციების უმრავლესობა ჩემპიონატის დადებით მხარეებზეა კონცენტრირებული, უწინარესად, მიმღები მხარის გულთბილ მიღებაზე, და პირდაპირ ამბობენ, რომ რიგითი რუსი მოქალაქეების გულწრფელობას ვერავინ ახსნის კრემლის ვერავითარი მანიპულაციით. „ბრიტანელი ფანატები ვოლგოგრადში (სტალინგრადში) ერთხმად აქებენ მასპინძლების სტუმართმოყვარეობას“, — წერს **Independent**-ი. თავის სარედაქციო სვეტში სათაურით „თავისუფლების ფესტივალი“, **Economist**-ი, რომელიც ტრადიციულად კრიტიკულად არის განწყობილი რუსეთის მიმართ, აღნიშნავს, რომ „თავიანთი ნაკრების ზღაპრულად წარმატებული გამოსვლით აღფრთოვანებულმა რუსებმა საერთო-სახალხო დღესასწაული გამართეს“.

ექსპერტები მიუთითებენ, მსოფლიო ჩემპიონატიდან გადმოცემული რეპორტაჟები სავსეა უცხოელი ფანატების აღფრთოვანებული შეფასებებით: „ჩვენს პრესაში ისეთი საშინელებები წავიკითხეთ რუსეთის შესახებ, რომ კინაღამ უარი ვთქვით იქ ჩასვლაზე. მაინც ჩავედით, და დღესასწაული დაგვხვდა“. ფრიად დამახასიათებელია **Guardian**-ში გამოქვეყნებული სტატიის ქვესათაური: „ქვეყანამ მსოფლიოს თავისი საუკეთესო მხარეები დაანახვა“.

**P.S. ფრანგებმა გამარჯვება კოკისპირულ წვიმაში იზეიმეს.**

**წვიმა კარგის ნიშანიაო, ნათქვამია.**



ფეხბურთი წითელ მოედანზე







საერთო კმაყოფილება

დედაქალაქის ისტორია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ხარფუხი (ანუ ხარბუხი) ძველებურ სომხურ ენაზე სურდოს ნიშნავს. მართლაც, ხარფუხის თავზე, სოფელ შინდისის გზის დასაწყისში, კლდის ქიმზე დღესაც მოჩანს პაწაწა ნანგრევები, რომელსაც „სურდოს ხატს“ უწოდებენ. სურდოიანი პაციენტი ეხლაც ესტუმრება ხოლმე ამ ხატს. ამ ხატს მოუტანს საყმაწვილო ჭინჭილებს, მიამტვრევს ხატის წინაშე და ვითომ ამით სურდო იკურნება ხოლმე“.**

**ფეოდალური ხანის ქართულმა ისტორიოგრაფიამ ძველ თბილისზე მხოლოდ ფრაგმენტული ცნობები დაგვიტოვა. მეტი ყურადღება დაუთმო ქალაქებს XVIII საუკუნის სახელოვანმა ისტორიკოსმა ვახუშტი ბაგრატიონმა, რომლის ისტორიულ-გეოგრაფიული ხასიათის აღწერილობებს ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. იმ ეპოქის დამკვირვებლები, ჩვეულებრივ, ნაკლებად ან სრულიად არ ეხებოდნენ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საკითხებს.**

თბილისის წარმოშობა ხალხმა ვახტანგ გორგასლის სახელს დაუკავშირა, მეფისა, რომელიც „ღმერთს უყვარდა“ და მისადმი მიძღვნილი ლეგენდით გვაუწყა ქალაქის დაბადების ამბავი. ძლევამოსილი მეფის ქანდაკება, მეტეხის პლატოდან რომ გადაჰყურებს ძველ თბილისს, თითქოს აცოცხლებს იმ სევდანარევ მოგონებას, როცა დაჭრილ ხოხობსა და მას ადევნებულ შევარდენს გოგირდოვან ცხელ წყლებში დაულევიათ სული. მართლაც, „ტფილისმა“ სახელი თბილი წყაროებიდან მიიღო და ეს სიმბოლურიც იყო.

თვალწარმტაც გარემოში ნაშობ ქალაქს იმთავითვე თან დაჰყოლია მაცოცხლებელი სითბო, ხოხბისებური სილამაზე და უზომო სიყვარული. მას ხომ ბედმა არგუნა უდიდესი მისია ქართველი ხალხის ისტორიულ განვითარებაში.

მრავალ ათას წელს ითვლის თანამედროვე თბილისის მიწებზე დამკვიდრებული ძველი მოსახლეობის შრომისა და ბრძოლის ისტორია; უდიდესი მსხვერპლის ფასადაა მოპოვებული ყოველი ახალი ნაბიჯი ცივილიზაციის მაღალი საფეხურებისაკენ. არქეოლოგიური მასალები ადასტურებს აბორიგენთა განვითარების უწყვეტ პროცესს ძველი წელთაღრიცხვის V-IV ათასწლეულებიდან, როცა თბილისის მიკრორეგიონი საკმაოდ მაღალი სამიწათმოქმედო კულტურის მქონე დასახლებათა გარემოცვაში ყოფილა. **ძველი თბილისის არეალში აღმოჩენილი მასალა ადასტურებს მის მემკვიდრეობით კავშირს გვიანბრინჯაოსა და რკინის ხანის კულტურებთან.**

V საუკუნის მეორე ნახევარში, ვახტანგ გორგასალის ბრძანებით, მტკვრის ვიწროებში შენდება ქალაქი თბილისი ზღუდეებითურთ.

VI საუკუნის დამდეგიდან უკვე ქართლის პოლიტიკური ცენტრი „დიდი მცხეთიდან“ თბილისში ინაცვლებს, ხოლო მცხეთა ამიერიდან სამეფოს ქრისტიანულ-იდეოლოგიურ ცენტრად, კათალიკოსის სარეზიდენციო ქალაქად, რჩება.

ასაკით თბილისის ტოლნი იყვნენ უპირატესად სტრატეგიულ პუნქტებში აგებული ქალაქები — უჯარმა, ჭერემი, არტანუჯი და საქართველოს მეზობლად წარმოქმნილი ქალაქები ბარდა — ბარდავი (პეროზაპატი) — ალბანეთ-აზერბაიჯანში, დვინი — სომხეთში და სხვ. ბევრმა მათგანმა ვერ გაუძლო ისტორიულ ქარტეხილს, ხოლო საგარეო მტრებისგან მრავალგზის ფერფლად ქცეულ თბილისს კი აღდგენა-განახლების საოცარი უნარი აღმოაჩნდა. იგი დღეისათვის ერთ-ერთ ძველ და სილამაზით გამორჩეულ ქალაქად ითვლება მსოფლიოში.

დღეს თბილისს უამრავი ტურისტი სტუმრობს და ეცნობა ქალაქის ღირსშესანიშნაობებს, მის უძველეს უბნებს, რომელთა ისტორია, ბევრმა ქართველმა, შესაძლოა, არც კი იცოდეს. ამიტომ გადავწყვიტეთ, მკითხველს შევთავაზოთ რუბრიკა „დედაქალაქის ისტორია“. დავიწყოთ ხარფუხით.

# ხარფუხი



**წმ. ნიკოლოზის ბერძნული ეკლესია**

აბანოების უბანსა და ორთაჭალას შორის, თაბორის მთის ძირში, XVIII და XIX საუკუნეების მიჯნაზე პატარა სოფელი ხარფუხი წარმოიშვა.

XIX საუკუნემდე უბანს **სეიდაბადი** ეწოდებოდა.

XII საუკუნიდან საქართველო და მისი დედაქალაქი დამანგრეველ შემოსევებს განიცდიდა, რის გამოც ქალაქის ტერიტორია შემცირდა. ამიტომ შეთხელებულა ქალაქის ეს ძველი უბანიც და XVII საუკუნიდან უკვე თბილისის გარეუბნად ქცეულა. მის ტერიტორიაზე შაჰ-აბას I-ის მემკვიდრეს, შაჰ-სეფის, ჩაუსახლებია მაჰმადიანთა ტომი — სეიდები, ამიტომ სეიდების უბანი — **სეიდაბადი** დაერქვა.

XIX საუკუნის დასაწყისში სოფელში დასახლებულან ლეკების მიერ დარბეული სოფელ **წალასყურიდან** გადმოხიზნული გლეხები. 1811 წელს ხარფუხი თურმე თბილისის მაზრას მიაწერეს. 1819 წელს კი სამოქალაქო გუბერნატორმა ოფიციალურად სთხოვა მთავარმართებელ გენერალ ერმოლოვს ხარფუხის თბილისთან შემოერთება, რადგან, მისი თქმით, ხარფუხში თავშესაფარს პოულობდნენ ბოროტმოქმედნი, სხვადასხვა ჯურის უპასპორტო საეჭვო ხალხი და საქონლით დატვირთული კონტრაბანდისტები.

ერმოლოვი დაეთანხმა ამ წარდგენას და მისი **1819 წლის 15 მარტის ბრძანებით, ხარფუხი ოფიციალურად თბილისის ნაწილად იქცა.** ამ დროისთვის ხარფუხის მოსახლეობა სულ 33 კომლს (143 კაცს) შეადგენდა, მიუხედავად ოფიციალური აქტისა, რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში ხარფუხი კვლავ სოფლად რჩებოდა და მხოლოდ XIX საუკუნის 60-იან წლებში იწყებს დამკვიდრებას ცხოვრების ქალაქური წესი და სათანადო განაშენიანება.

ამ უბანში, თათრების სასაფლაოს სიახლოვეს, მცირე ნაგები კედელი თუ საკულტო დანიშნულების ქვა იდგა ხატითურთ. თბილისელების რწმენით, ამ ხატს სურდოს განკურნება შეეძლო და მასთან სურდოშეყრილი ბავშვები მოჰყავდათ.

იოსებ გრიშაშვილი წერდა: **„ხარფუხი (ანუ ხარბუხი) ძველებურ სომხურ ენაზე სურდოს ნიშნავს. მართლაც, ხარფუხის თავზე, სოფელ შინდისის გზის დასაწყისში, კლდის ქიმზე დღესაც მოჩანს პაწაწა ნანგრევები, რომელსაც „სურდოს ხატს“ უწოდებენ. სურდოიანი პაციენტი ეხლაც ესტუმრება ხოლმე ამ ხატს. ამ ხატს მოუტანს საყმაწვილო ჭინჭილებს, მიამტვრევს ხატის წინაშე და ვითომ ამით სურდო იკურნება ხოლმე“.**

პოეტმა შესანიშნავი ლექსი უძღვნა ხარფუხს, რომელიც იმთავითნე აიტაცა ხალხმა და მალევე ძველ თბილისურ ქალაქურ სიმღერად იქცა: „...როცა გიყვარდი, ჩემი ხარფუხი / შენს შესახვედრად ფეხზე დგებოდა / და სუზსარქისის მკაცრი ქარბუქი / უნაზეს სიოდ გეჩვენებოდა“.

დღეს ხარფუხში ერთ-ერთი ქუჩა გრიშაშვილის სახელს ატარებს. ამ ქუჩაზე წმ. ნიკოლოზის სახელობის ეკლესიაა აღმართული. გვიან შუა საუკუნეებში აქ საბაჟო ყოფილა მოწყობილი, რომელიც 1883 წელს ანატოლიიდან ჩამოსახლებულ ბერძნებს შეუსყიდიათ, მოგვიანებით, 1846-1854 წლებში, კი ეკლესია აუგიათ. ეკლესიაში თავდაპირველად მღვდელმსახურება ბერძნულ ენაზე მიმდინარეობდა. წმინდა ნიკოლოზის ეკლესია წითელი აგურითაა აგებული. გუმბათი მოცისფრო ფილებით, ხოლო მკლავები წითელი კრამიტითაა გადახურული. აქ ჩატარებული გათხრების შედეგად აღმოჩენილია კერამიკული საამქროები, რომლებიც მეცნიერებმა XI-XII საუკუნეებით დაათარიღეს.

XX საუკუნის 70-იან წლებში ეკლესია გაუქმებული ყოფილა და მასში თეატრალური საზოგადოების საწარმოო კომბინატის მექანიკური საამქრო ფუნქციონირებდა. 80-იან წლებში ეკლესიის შენობაში საპატრიარქოს ბიბლიოთეკა დაუარსებიათ. 1990 წელს სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ძალისხმევით ტაძარში მღვდელმსახურება კვლავ განახლდა.

გრიშაშვილის ქუჩის პარალელურად (ეკლესის უკანა მხარეს) დღესაც არის ქუჩა, სახელად ბერძნის ქუჩა, რომელიც მიგვანიშნებს, რომ ამ უბანში ბერძნები სახლობდნენ.

**XII საუკუნიდან საქართველო და მისი დედაქალაქი დამანგრეველ შემოსევებს განიცდიდა, რის გამოც ქალაქის ტერიტორია შემცირდა. ამიტომ შეთხელებულა ქალაქის ეს ძველი უბანიც და XVII საუკუნიდან უკვე თბილისის გარეუბნად ქცეულა. მის ტერიტორიაზე შაჰ-აბას I-ის მემკვიდრეს, შაჰ-სეფის, ჩაუსახლებია მაჰმადიანთა ტომი — სეიდები, ამიტომ სეიდების უბანი — სეიდაბადი დაერქვა**






**გამქრალი სახეობების აღდგენა და მათი პოპულაციის შენარჩუნება ველურ ბუნებაში ძალიან ძნელი იქნება. ონტარიოს უნივერსიტეტის მეცნიერები მიუთითებენ იმაზე, რომ დედამიწის ეკოლოგიური რესურსები საკმარისი არაა იმისთვის, რომ ერთდროულად შევინარჩუნოთ დღეს გადაშენების პირას მყოფი ცხოველებიც და აღდგენილი მამონტებიც ან სხვა უძველესი ცხოველებიც.**

ეს საინტერესოა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რომელი პრეისტორიული ცხოველების კლონირებაა შესაძლებელი?

**კლონირების ტექნოლოგიები, დნმ-ის სეგმენტაცია და უჯრედების გადაპროგრამება შესაძლებელს ხდის, მომავალში ალვადგინოთ გადაშენებულ ცხოველთა სახეობები.**



ამა წლის მარტში, როდესაც ჩრდილოეთის თეთრი მარტორქის მამრის უკანასკნელი წარმომადგენელი, სახელად სუდანი, მოკვდა, სპეციალისტებმა განაცხადეს, რომ უახლოეს მომავალში ეს ცხოველები სამუდამოდ გადაშენდებიან, რადგან მსოფლიოში მხოლოდ ორი მდედრი წარმომადგენელი იყო დარჩენილი — ნაჯინი და ფატუ. თუმცა ახლახან იმედი გაჩნდა, რომ ეს სახეობა შეიძლება აღადგინონ. **უახლესი რეპროდუქციული ტექნოლოგიების დახმარებით ევროპელმა ბიოლოგებმა შექმნეს ჰიბრიდული ჩანასახი სამი წლის წინათ სუდანისგან აღებული სპერმითა და აფრიკაში მცხოვრები ნათესავების კვერცხუჯრედებით.**

ახლა მეცნიერები აპირებენ უკანასკნელი ორი მდედრი მარტორქიდან კვერცხუჯრედების აღებას, რათა მიიღონ წმინდა სისხლის ემბრიონები. სავარაუდოდ, ნაყოფის მუცლით სატარებლად სუროგატ დედებად გამოიყენებენ სამხრეთ აფრიკის თეთრ მარტორქებს. ბიოლოგები ირწმუნებიან, რომ ამგვარად ჩრდილოეთის ქვესახეობა აღდგება.

## რა არის საჭირო წარმატებული კლონირებისათვის

სხვა გადაშენებული სახეობების ასე სწრაფად აღდგენა ვერ მოხერხდება. კლასიკური ტექნოლოგიით კლონირება, როდესაც კვერცხუჯრედში ათავსებენ ცოცხალი უჯრედის ბირთვს, შეუძლებელია. მამონტის რბილ ქსოვილებში, თუნდაც ძალიან კარგად შენახულში (რომლებიც ძირითადად იაკუტიაშია აღმოჩენილი), არ არსებობს ასეთი უჯრედები: შენახვის ისეთ იდეალურ პირობებშიც კი, როგორიც მუდმივი გამყინვარებაა, უჯრედები და მაშასადამე, დნმ იშლება.

სპეციალისტების ცნობით, ცხოველის სიკვდილიდან 158 ათასი წლის შემდეგ დნმ-ის აზოტოვანი საფუძვლებსშორისი კავშირების ნახევარი ირღვევა, ამიტომ შეუძლებელია, მაგალითად, მიწაზე მავალი სახეობის დინოზავრების კლონირება, რომლებიც ცარცული პერიოდის ბოლოს გადაშენდნენ (დაახლოებით 65 მილიონი წლის წინათ). მათი დნმ განადგურებულია და ტირანოზავრისა და ბრახილოფოზავრის ძვლებიდან აღებული ცილები ამ პრეისტორიული გიგანტების კლონირებისთვის უვარგისია.



მამონტი იუკა



მავრიკიული დრონტი



მღვიმის ლომის ნეშტი

**ზოგჯერ გაყინული ქსოვილის ნიმუშებში შესაძლებელია მთლიანი უჯრედის ბირთვის აღმოჩენა, მაგრამ, როდესაც უძველესი ცხოველების ნარჩენები ლღვება, ყველაფერი ქრება. ქსოვილის სტრუქტურის შენარჩუნება მისი გალღობის შემდეგ მეცნიერებს ჯერჯერობით არ შეუძლიათ**

ზოგჯერ გაყინული ქსოვილის ნიმუშებში შესაძლებელია მთლიანი უჯრედის ბირთვის აღმოჩენა, მაგრამ, როდესაც უძველესი ცხოველების ნარჩენები ლღვება, ყველაფერი ქრება. ქსოვილის სტრუქტურის შენარჩუნება მისი გალღობის შემდეგ მეცნიერებს ჯერჯერობით არ შეუძლიათ.

## ახალი ტექნოლოგიები და პრეისტორიული გიგანტები

მიუხედავად ამისა, უკვე ორი ათწლეულია, რაც საუბრობენ იმაზე, რომ შესაძლებელია ბეწვიანი მამონტის სახეობის (Mammuthus primigenius) აღგენა. პალეონტოლოგებმა არაერთხელ აღმოაჩინეს ამ ცხოველების დაუზიანებელი რბილი ქსოვილები. იმასაც იტყობინებოდნენ, რომ მამონტის სისხლი იპოვეს, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს მხოლოდ ქსოვილური სითხე აღმოჩნდა.

2011 წელს პენსილვანიის უნივერსიტეტის მკვლევარებმა მამონტის დნმ-ის 70%-ით აღდგენა შეძლეს, ხოლო 2015 წელს ჰარვარდის უნივერსიტეტში მათმა კოლეგებმა პრეისტორიული ცხოველის 14 გენი აზიური სპილოს ცოცხალ უჯრედში გადანერგეს. მეცნიერებმა სპილოს კანის უჯრედების გენომში შეიყვანეს გენები, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან პატარა ყურებზე, კანქვეშა ცხიმის სქელ ფენაზე და გრძელ ბეწვზე. ამის მიუხედავად, ბევრი სპეციალისტი სკეპტიკურად არის განწყობილი. იმიტომ, რომ ყოველივე ამის შედეგად მივიღებთ არა მამონტს, არამედ სახეობათაშორის ჰიბრიდს (თანამედროვე სპილოები და უძველესი მამონტები შორეული ნათესავები არიან). ასეთი ჰიბრიდები, როგორც წესი, ვერ ცოცხლობენ. არსებობს მხოლოდ ერთი პრეცედენტი. 1978 წელს ჩესტერის ზოოპარკში აზიური და აფრიკული სპილოებს ნაშიერმა მხოლოდ 12 დღე იცოცხლა.

## უძველესი გამოქვაბულის (მღვიმის) ლომები

გამოქვაბულის ლომს (Pantheraleo spelaea) უფრო მეტი შანსი აქვს — თუ მისი ბირთვის დნმ-ის რეკონსტრუქცია მოხდება, შეიძლება მისი ჩანერგვა თანამედროვე აფრიკული ლომის გენომში. ისინი საკმაოდ ახლო ნათესავები არიან — უფრო ახლო, ვიდრე მამონტები და აზიური სპილოები. უკანასკნელი მონაცემებით, გამოქვაბულის ლომები შეიძლება იყვნენ თანამედროვე ლომების (Pantheraleo) ქვესახეობა.

პრეისტორიული კატის დნმ-ის რეკონსტრუქციის ბიოლოგიური მასალა საკმარისზე მეტია. 2015-2017 წლებში იაკუტიაში აღმოაჩინეს გამოქვაბულის ლომის სამი ნაშიერის ნეშტი. ორი მათგანის მთლიანობა შენარჩუნებული იყო, მესამეს უკანა ფეხები აკლდა. მეცნიერთა ძალისხმევა წარმატებით არ დასრულებულა, ნეშტები კარგად არ იყო შენახული, მკვლევარებმა დნმ-ის მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტების გამოყოფა შეძლეს.

## იფრენენ თუ არა გადაშენებული ფრინველები

ევოლუციის ბიოლოგი და ეკოლოგი **ბენ ნოვაკი** დამოუკიდებელი სამეცნიერო ორგანიზაციიდან Revive&Restore („აღორძინება და აღდგენა“) 2025 წლისთვის აპირებს, აღადგინოს მოხეტიალე მტრედი (Ectopistes migratorius). ამ სახეობის უკანასკნელი წარმომადგენელი, რომელიც ცხოვრობდა ჯერ კიდევ მამონტების დროს (ამ ფრინველის ყველაზე ძველი ნაშთი ასიათასობით წლისაა) მოკვდა, 1914 წელს.

ბიოლოგებმა კალიფორნიის უნივერსიტეტის პალეოგენომის ლაბორატორიიდან, სანტაკრუზში, რომელთანაც თანამშრომლობს Revive & Restore, გამოყვეს და ნაწილობრივ გაშიფრეს ბირთვული დნმ-ი მტრედის ოთხი შემონახული სხეულიდან და მიტოქონდრული დნმ 41 ნიმუშიდან. ასე რომ, ნოვაკს აქვს სამუშაო მასალა.

XVII საუკუნის ბოლოს გადაშენებული მავრიკიული დრონტის, იმავე დოდოს (Raphuscucullatus), დნმ-ის რეკონსტრუქციასა და გაშიფვრაზე მუშაობს მეცნიერთა საერთაშორისო გუნდი ოქსფორდის უნივერსიტეტის ევოლუციური ბიოლოგიის პროფესორის, **ბეტ შაპიროს,** ხელმძღვანელობით. მათ შეძლეს მისი დნმ-ის ნაწილობრივ აღადგენა და ცოცხალი ნათესავების — ფაფრიანი (ან ქოჩრიანი) მტრედის (Saloenasnicobarica) დნმ-თან შედარება.

და მაინც, გენომის გაშიფვრა ერთია და სრულიად სხვაა, რომ იპოვო მთლიანი ბირთვი დაუნაწევრებელი, მთელი ქრომოსომებით (ჯერ ასეთი შემთხვევა არ ყოფილა). ამიტომ ბევრი არ იზიარებს გადაშენებული ცხოველების აღდგენის იდეის მომხრეების ენთუზიაზმს. გარდა ამისა, გამქრალი სახეობების აღდგენა და მათი პოპულაციის შენარჩუნება ველურ ბუნებაში ძალიან ძნელი იქნება. ონტარიოს უნივერსიტეტის მეცნიერები მიუთითებენ იმაზე, რომ დედამიწის ეკოლოგიური რესურსები საკმარისი არაა იმისთვის, რომ ერთდროულად შევინარჩუნოთ დღეს გადაშენების პირას მყოფი ცხოველებიც და აღდგენილი მამონტებიც ან სხვა უძველესი ცხოველებიც.

# როგორ გაჩნდა გერმანიაში ქართული ლიტერატურის მიმართ ინტერესი?

**1852 წლიდან დღემდე ქართულ ენაზე, სულ მცირე, 500 გერმანელი ავტორის წიგნია ნათარგმნი; იმ ენაზე, რომელსაც საკუთარი დამწერლობა და ზედმიწევნით რთული გრამატიკა გააჩნია და რომელ ენაზეც დაახლოებით 4 მილიონი ადამიანი საუბრობს. ეს ადამიანები ცხოვრობენ საკმაოდ შორს, სამხრეთ კავკასიაში მდებარე ქვეყანაში. აქ გერმანელ მკითხველთა რაოდენობა საკმაოდ შეზღუდულია, მიუხედავად იმისა, რომ გერმანულ ენაზე მოლაპარაკეთა რაოდენობა დაახლოებით 100 მილიონია. კიდევ უფრო დიდ საოცრებას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ამავე 1852 წლიდან დღემდე გერმანულ ენაზე ნათარგმნია 420 ქართველი ავტორის, სულ მცირე, 750 პუბლიკაცია. არსებობს თუ არა ორმხრივი დაინტერესების მიზეზი? ან როგორ გაჩნდა გერმანიაში ქართული ლიტერატურის მიმართ ინტერესი ათწლეულების განმავლობაში?**



ჯერ კიდევ მეფის რუსეთის დროს, მაშინ, როდესაც საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენელი ნაწილი იყო, ქართველი ახალგაზრდები სასწავლებლად გერმანიაში მიემგზავრებოდნენ. **ბერლინის უნივერსიტეტში შესაძლებელი იყო ქართული ენის შესწავლა და 1915 წელს იქ ქართული ჟურნალ-გაზეთების გამოცემა.** ამასთანავე, ამ ქალაქში მწერლები და ხელოვანები დამკვიდრდნენ და სულაც არ არის გასაკვირი, რომ ამ ფაქტმა მნიშვნელოვანწილად განაპირობა საქართველოსთან როგორც მეცნიერული, ასევე კულტურული კავშირის დამყარება. გარდა ამისა, 200 წლის წინათ საქართველოში მრავალი გერმანული ოჯახი დასახლდა. ასევე, 1918 წლის მაისში მოხდა გერმანიის იმპერიის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის დეკლარაციის დაუყოვნებლივ აღიარება.

ისევე, როგორც საბჭოთა მმართველობის პერიოდში, 1921-1991წლებში, საქართველოში დღესაც ცოცხლობს ინტერესი გერმანიის სახელმწიფოს, გერმანული ხელოვნებისა და ლიტერატურის მიმართ. ამის დასტურია გერმანული ლიტერატურის ნიმუშების უახლესი თარგმანები ქართულ ენაზე.

გერმანულ ინტერესს ქართული ლიტერატურის მიმართ მრავალი წყარო ადასტურებს. მაგალითად, თბილისში მცხოვრებმა გერმანელმა მწერალმა და ჟურნალისტმა **არტურ ლაისტმა** (1885 წლიდან 1903 წლამდე) ქართული ლიტერატურის შედევრების სხვადასხვა თარგმანი გამოსცა. აღსანიშნავია მისი პირველი თარგმანის, ქართული ეროვნული პოემის — „ვეფხისტყაოსანის" სრულყოფილი გამოცემა 1889 წელს. არტურ ლაისტი 1922 წლამდე გახლდათ დღემდე არსებული გაზეთ „კავკასიური ფოსტის" მთავარი რედაქტორი. ის, ამასთანავე, უნივერსიტეტში გერმანისტიკის ლექციებს კითხულობდა.

არტურ ლაისტის მოღვაწეობის შემდეგ, მომდევნო 50 წლის განმავლობაში, თარგმანების რაოდენობამ იმატა. მეორე მსოფლიო ომის დასასრულს უკვე 50-მდე ნათარგმნი პუბლიკაცია არსებობდა, რომელთაგან თვრამეტი 1918 წლამდე არსებული თარგმანია. 1990 წელს, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის დასასრულს, პუბლიკაციების რიცხვი გაექვსმაგდა. ამის ძირითადი მიზეზი იყო ის, რომ გდრ-ის გამომცემლობებში ხდებოდა საბჭოთა კავშირის ხალხების ლიტერატურის თარგმანების გამოქვეყნება, ხოლო საბჭოთა ლიტერატურული ჟურნალების გერმანულენოვან გამოცემებში, თავის მხრივ, მრავალი ქართული ლიტერატურული ნაწარმოები შეინიშნებოდა. აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში მხოლოდ რამდენიმე ქართველი ავტორი იყო ცნობილი, რომლებიც ავსტრიაში, შვეიცარიასა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გამოსცემდნენ თავიანთ ნაშრომებს.

საბჭოთა კავშირის დაშლისა და საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადების შემდეგ, 1991 წლის აპრილიდან, იწყება ქართული ლიტერატურის თარგმანების მთელი რიგი კრებულების გერმანულ ენაზე გამოცემა. ისევე, როგორც გაერთიანებულ გერმანიაში, გერმანულენოვან საზღვარგარეთაც ამ საქმეში უამრავი გამომცემლობა ჩაერთო. 2018 წლის მაისამდე, სულ მცირე, 400 პუბლიკაციას ითვლიდნენ, რომლის გამოცემასაც 2010 წლიდან ეყრება საფუძველი. აღსანიშნავია პუბლიკაციების რაოდენობის გაზრდა ინტერნეტსივრცეშიც.

ლიტერატურული ჟანრის დაახლოებით 40% მიეკუთვნება ლირიკას. სწორედ ამაზეა დაფუძნებული სახელწოდება „გეორგიენ (საქართველო) — პოეზიის ქვეყანა".

უნდა აღინიშნოს, რომ დაახლოებით 200 მთარგმნელი მუშაობდა მინიმუმ 750 ნაშრომზე, სადაც, ცალკეულ შემთხვევებში, ღიად არის დარჩენილი ის ფაქტი, თარგმანი ქართული ენიდან ხდებოდა თუ რუსულიდან. აღსანიშნავია ისიც, რომ ზოგიერთი ცნობილი ქართველი ავტორი გერმანულ ენაზე წერდა (მაგ., რობაქიძე, მარგველაშვილი, ხარატიშვილი) და, ალბათ, შემდეგ ითარგმნებოდა ქართულ ენაზე.

რით შეიძლება აიხსნას ქართული ლიტერატურის გერმანულ ენაზე არსებული თარგმანების სიხშირე, რომელსაც დაახლოებით 2000 წლიდან ეყრება საფუძველი?

ამის ერთ-ერთ მიზეზად შეიძლება დასახელდეს ცნობილი პოლიტიკური ფაქტორი: ქრისტიანული ქვეყანა საქართველო მდებარეობს ისლამურ თურქეთსა და აზერბაიჯანს შორის, რომელსაც ჩრდილოეთით დიდი მეზობელი ქვეყანა — რუსეთი ესაზღვრება. სწორედ ამის გამო ჩნდება გერმანიასა და ევროპაში ინტერესი საქართველოს მიმართ. მეორე მხრივ, არსებობს სამი კონკრეტული მოვლენა, რომლებიც ამ ქვეყნის ლიტერატურის მიმართ ინტერესს უფრო აღვივებს:

1996 წელს დაფუძნდა „საქართველოს წიგნის გამომცემელთა ასოციაცია", 1998 წლიდან მას ეწოდა „საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაცია", რომლის მოღვაწეობის მიზანსაც, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ, ქართული ლიტერატურის პოპულარიზაცია წარმოადგენდა.

კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს (დღევანდელი საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო) მიერ, 2014 წელს, დაარსებულ იქნა ქართული წიგნის ეროვნული ცენტრი „Georgian National Book Center (GNBC)", რომლის ძირითად მისიას ქართული ლიტერატურის თარგმანის პოპულარიზაცია და ინტერკულტურული ლიტერატურული დიალოგის მეშვეობით გამომცემლობათა საერთაშორისო წრეებში საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ინტელექტუალური საგანძურის გავრცელება წარმოადგენს. წიგნის ეროვნულ ცენტრს ამჟამად თორმეტ ენაზე მთარგმნელთა წრე ჰყავს. გერმანულ ენაზე მთარგმნელთა რაოდენობა (33 პირი) გაცილებით დიდია.

2018 წლის 10-14 ოქტომბერს ქ. ფრანკფურტში გამართულ წიგნის ბაზრობაზე საქართველო წარმოდგენილი იქნება, როგორც სტუმარი ქვეყანა და უდავოა, რომ ამაში ორივე ზემოხსენებულ ორგანიზაციას დიდი წვლილი მიუძღვის. ბაზრობაზე 2017 და 2018 წლებში გამოქვეყნებული ასზე მეტი ნაშრომი იქნება წარმოდგენილი. წიგნის ბაზრობა დაინტერესებულ საზოგადოებას ქართულ ლიტერატურასა და საგამომცემლო საქმიანობაზე ყოვლისმომცველ წარმოდგენას შეუქმნის და უფრო მეტ მკითხველს მოიზიდავს.

**ჰანს გიუნტერი და პატრიცია გრიგოლეიტი, „საქართველო – პოეზიის ქვეყანა", თარგმნა**
**ლელა გაბროშვილმა**

# რუსეთში, ქალაქ ნიჟნი ნოვგოროდში წმინდა ნინოს სახელობის ტაძარი შენდება

**მაშინ, როდესაც ქართველი სოროსელები მიზანმიმართულად ძირს უთხრიან საქართველოს დედა ეკლესიას, ჩრდილს აყენებენ პატრიარქის ავტორიტეტს, მათ მიერ მტრად შერაცხულ რუსეთში ადგილობრივი ხელისუფლების მხარდაჭერით ქართული ეკლესიის მშენებლობა მიმდინარეობს.**

ნიჟეგოროდისა და არზამასის მიტროპოლიტ გიორგის კურთხევით წმიდა ნინოს ქართული ტაძრის მშენებლობას ქალაქ ნიჟნი ნოვგოროდში საძირკველი 2017 წლის მაისში ჩაეყარა.

ტაძრის ესკიზი ქართულმა მხარემ წარმოადგინა. რუსი სპეციალისტები შვიდი თვე მუშაობდნენ ტაძრის პროექტზე. პროექტირებისას გათვალისწინებული იქნა ქართული ხუროთმოძღვრების ტრადიციები. ტაძარი გათვლილია ოთხას მომლოცველზე. მისი ფართობი 432 კვ.მ იქნება, ხოლო სიმაღლე — 28 მეტრი.

კომპანია „რეგიონული საინჟინრო ცენტრის" დირექტორ იური კოვალის აზრით, „პროექტი არაჩვეულებრივია. ამას შეამჩნევთ, თუ დააკვირდებით მის ფუნდამენტს, რომელიც არ არის დამახასიათებელი რუსეთის ცენტრალური რეგიონების მართლმადიდებლური ეკლესიებისთვის. ქართული მხარის მიერ წარმოდგენილი იქნა ტაძრის ფასადის ესკიზი. ჩვენმა სპეციალისტებმა შეისწავლეს საქართველოს ტაძრების არქიტექტურული თავისებურებები და შექმნეს ოთხი ვარიანტი. დასრულებული პროექტი, რომელზეც ოთხი თვის მანძილზე ვმუშაობდით, შეგიძლიათ იხილოთ ბანერზე".

„დღეს აღვასრულებთ ლოცვას ქართველთა განმანათლებლის — წმ. ნინოს სახელობის ტაძრის საძირკვლის ჩაყრასთან დაკავშირებით. ივერია ღვთისმშობლის წილხვედრი უძველესი მიწაა, რომელზეც IV საუკუნეში წმ. ნინოს დახმარებით დაიწყო ქრისტიანობის გავრცელება. ჩვენ ვილოცებთ, რათა წარმატებით დასრულდეს ტაძრის მშენებლობა, რომელიც აღიმართება უძველესი ქართული არქიტექტურის ძეგლების შესაბამისად", — განაცხადა მიტროპოლიტმა გიორგიმ, რომელსაც ქართული დიასპორის წარმომადგენლებმა საჩუქრად გადასცეს წმ. ნინოს ხატი.



ნიჟეგოროდის მიწაზე მრავლად შეხვდებით რუსი და ქართველი ხალხების ძირძველი ისტორიული კავშირის დამადასტურებელ ძეგლებს. ქალაქის ისტორიულ ნაწილში არის ქუჩა გრუზინსკაია, რომელიც დაკავშირებულია ქართველი თავადის — გიორგი ალექსანდრეს ძე გრუზინსკის სახელთან. იგი იყო ვახტანგ VI-ის შვილის – ბაქარის შთამომავალი და გახლდათ 1812 წლის ნიჟეგოროდის აჯანყების ერთ-ერთი ინიციატორი (მთელი ბატალიონი უზრუნველყო იარაღითა და ტანსაცმლით). იგი ასევე გულუხვად სწირავდა მართლმადიდებლურ ეკლესიებს.

**დავით სუხიაშვილი**



**გუშინ დიდი მწუხარებით დავემშვიდობეთ საქვეყნოდ ცნობილ მწერალს, კრიტიკოსსა და პუბლიცისტს, ჭეშმარიტ მამულიშვილს, კოლეგასა და მეგობარს**

**თამაზ წივწივაძეს**

**ღმერთმა გაანათლოს მისი ბობოქარი სული.**

**ნუგზარ ფოფხაძე, არმაზ სანებლიძე**


## ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

**კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.**

**ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.**

**გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.**

**ტელ: 599-722-138; 247-58-83**
**მის.: წერეთლის №142, I სართ.**
**კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი**


საქართველო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

http://www.geworld.ge

სარედაქციო კოლეგია
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru

ISSN 2233-3894